186
1970

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 5

სექტემბერი—ოქტომბერი

1970 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11494

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 5 სექტემბერი—ოქტომბერი 1970 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

88. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის აღსანიშნავად საიუბილეო საპატიო სიგელების დაწესების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

89. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 20 ივლისის № 566 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

90. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 23 აპრილის № 278 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

91. საბინაო-კოოპერაციული მშენებლობის მდგომარეობისა და შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

92. „რესპუბლიკაში სახელმწიფო საცალო ფასების და ვაჭრობის წესების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ზომების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 19 მარტის № 127 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

93. დაბა სურამსა და მის მახლობლად მდებარე სოფლებში ინდივიდუალური ბინათმშენებლობის შესახებ
94. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის მისაყიდი კარტოფილის შესასყიდი ფასების შესახებ
95. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 23 აპრილის № 278 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ცნობის შესახებ
96. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო და რაიონული დაქვემდებარების ქალაქების საბჭოების აღმასკომებთან არსებული ცენტრალიზებული ბუღალტერიების დებულების დამტკიცების შესახებ
97. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნავთობპროდუქტების მომარაგებისა და გასაღების სამმართველოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ნავთობპროდუქტების მომარაგებისა და გასაღების მთავარ სამმართველოდ გარდაქმნის შესახებ
98. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 31 ივლისის № 627 დადგენილება „დამამზადებელი ორგანიზაციების მიერ პირუტყვის, ფრინველის, ბოცვრისა და კვერცხის მიღების, შენახვისა და გაცემის წესის, აგრეთვე ჯიშიანი პირუტყვის, ტყისა და სხვა ფრინველის შესყიდვის შესახებ სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა გაერთიანების თაობაზე“
99. შრომის მყარი უუნარობით დაავადებულთა აღდგენითი მკურნალობის შემდგომი გაუმჯობესებისა და მათი შრომითი მოწყობის შესახებ
100. არასაკმაო ტენიანობის რაიონების სიის დამტკიცების შესახებ
101. დაბა მესტიის ტერიტორიის ზონირების შესახებ
102. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაწყებითი კლასების იმ მასწავლებელთა შრომითი მოწყობის შესახებ, რომლებიც სკოლაში მუშაობისაგან თავისუფლდებიან იმასთან დაკავშირებით, რომ IV კლასები გადაყვანილი არიან მეცნიერებათა საფუძვლების სისტემატურ სწავლებაზე და დროებით შემცირდა დაწყებითი კლასების მოსწავლეთა რიცხვი
103. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აგვისტოს № 250 დადგენილების დამატების შესახებ
104. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ
105. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე იმ პირთა შრომითი მოწყობის წესის დამტკიცების შესახებ, ვინც თავს არიდებს საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას
106. კურორტების ტერიტორიის და დასვენების ზონების განაშენიანების და სანატორიულ-საკურორტო, დასასვენებელ დაწესებულებათა მშენებლობის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ
107. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ
108. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 17 ივლისის № 558 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

109. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 20 ივლისის № 567 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

110. აკრძალულ კუსტარულ-ხელოსნური საოჯახო ნუსხაში ცვლილების შეტანის შესახებ

111. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 13 ივლისის № 537 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

112. საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების (საქწყალმაშველი) წესდების დამტკიცების შესახებ

113. სუპერელიტური, ელიტური და ჯიშიანი სათესლე კარტოფილის ფასების ფულადი ჯიშობრივი დანამატების ოდენობის შესახებ

114. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 10 სექტემბრის № 571 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

115. ნ. პ. კანდელაკის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

116. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნავთობპროდუქტების მომარაგებისა და გასაღების მთავარი სამმართველოს საკითხები

117. მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატის სამკერდე ნიშნის ესკიზისა და აღწერილობის დამტკიცების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

88 საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის აღსანიშნავად საიუბილეო საპატიო სიგელების დაწესების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო აღნიშნავენ, რომ რესპუბლიკის საწარმოების, მშენებლობების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებმა ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის აღსანიშნავად.

რესპუბლიკის მშრომელთა მაღალი პოლიტიკური აქტივობა, თავდადებული შრომა და შემოქმედებითი ინიციატივა მიმართულია იქითკენ, რომ წარმატებით შეასრულონ კომუნისტური მშენებლობის ამოცანები, რომლებიც სკკპ პროგრამითა და პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებით არის დასახული.

რესპუბლიკის მშრომელები, ემზადებიან რა საბჭოთა საქართველოს ნახევარსაუკუნოვანი იუბილესათვის, წარმატებით ასრულებენ შრომის ეფექტიანობის ამაღლების, წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის, ახალ სიმძლავრეთა სწრაფად ამოქმედებისა და ათვისების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს.

რესპუბლიკის იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა, კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა კოლექტივების შრომითი წარმატებების აღსანიშნავად, რომლებმაც საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული რესპუბლიკის საწარმოებისა და ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივების წასახალისებლად დაწესდეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს საიუბილეო საპატიო სიგელები.

საიუბილეო საპატიო სიგელები მიენიჭოთ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ერთობლივი დადგენილებით.

გახაწილდეს საიუბილეო საპატიო სიგელები რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს შორის № 1 დანართის თანახმად.

რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილე საწარმოთა, მშენებლობათა, კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა კოლექტივებისათვის, რომლებიც დაჯილდოებული არიან საიუბილეო საპატიო სიგელებით, ფულადი პრემიების გაცემა წარმოებს იმ ოდენობით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშების მინიჭების დრის.

2. იმასთან დაკავშირებით, რომ საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის აღსანიშნავად დაწესდა საიუბილეო საპატიო სიგელები ფულადი პრემიებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს, სამინისტროების, უწყებებისა და დარგობრივ პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების გარდამავალი წითელი დროშები პირველი ფულადი პრემიებით საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივებს 1970 წლის მეოთხე კვარტალის შედეგების მიხედვით და კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს 1970 წლისათვის, — არ მიენიჭოთ.

3. ფულადი პრემიების გაცემა იმ დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის, რომლებიც რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში არ მონაწილეობენ, მოხდეს № 2 დანართში აღნიშნული თანხების ოდენობით, დაწესებულების, ორგანიზაციის ხარჯთაღრიცხვის მიხედვით მიღებული ეკონომიის ხარჯზე, ხოლო ამ თანხების სიმცირის დროს, — იმ ხარჯების ეკონომიის ანგარიშში, რაც გათვალისწინებულია მთლიანად შესაბამისი სამინისტროების (უწყებების) ხარჯთაღრიცხვით ცალკეულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის.

4. დაწესდეს, რომ საიუბილეო საპატიო სიგელებით დაჯილდოვდება აგრეთვე საკავშირო დაქვემდებარების 25 საწარმო, რომელთა კოლექტივებმა მაღალი საწარმოო მაჩვენებლები მოიპოვეს და წარმატებით შეასრულეს რესპუბლიკის იუბილეს აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი.

5. საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის საიუბილეო საპატიო სიგელების გადაცემა და მათი მინიჭების შესახებ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილების გამოცხადება მოხდეს საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების საზეიმო სხდომებზე, კრებებსა და მიტინგებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. დაევალოთ სამინისტროებს, უწყებებს და პროფკავშირთა შესაბამის რესპუბლიკურ კომიტეტებს, საქართველოს კპ საქალაქო კომიტეტებთან და რაიკომებთან შეთანხმებით, შეაჯამონ საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის აღსანიშნავად საწარმოთა, კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობებისა და ორგანიზაციების კოლექტივების მიერ გამლილი საიუბილეო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები 1970 წლის საგეგმო დავალებათა და ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების მიხედვით, აგრეთვე წინა წლებში მათი მუშაობის გათვალისწინებით, და 1971 წლის 20 იანვრისათვის წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს მასალები რესპუბლიკის იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების შესახებ, რომლებისათვისაც მიზანშეწონილად მიაჩნიათ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს საიუბილეო საპატიო სიგელების მინიჭება.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი	**საქართველოს სსრ** უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე	საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე
ვ. მჟავანაძე.	**გ. ძოწენიძე.**	**გ. ჯავახიშვილი.**	**თ. მოსაშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 6 ოქტომბერი, № 555

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური
კომიტეტის, საქართველოს სსრ
უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
და საქართველოს პროფკავშირთა
რესპუბლიკური საბჭოს
1970 წლის 6 ოქტომბრის № 555
დადგენილების დანართი № 1

ბ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს საიუბილეო საპატიო სიგელებისა

საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების დასახელება	საიუბილეო საპატიო სიგელების რაოდენობა
კვების მრეწველობის სამინისტრო	12
ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო	4
მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	6
საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	3
მშენებლობის სამინისტრო	5
სასოფლო მშენებლობის სამინისტრო	2
ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო	3
საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო	4
საავტომობილო გზების სამინისტრო	1
კავშირგაბმულობის სამინისტრო	2
ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	3
კომუნალური მეურნეობის სამინისტრო	5
მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო	5
მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო	2
სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო	2
სოფლის მეურნეობის სამინისტრო:	
საბჭოთა მეურნეობებისა და სოფლის მეურნეობის სხვა საწარმოებისათვის	6
კოლმეურნეობებისათვის	18
ვაჭრობის სამინისტრო	4
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი სამმართველო	3

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების დასახელება	საიუბილეო საპატიო სიგელების რაოდენობა
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველო	3
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გაზიფიკაციის მთავარი სამმართველო	2
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველო	2
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტი	3
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტი „საქკონსერვხილბოსტანი“	4
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი	2
საქართველოს სსრ დამზადების სამინისტრო	2
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა“	2
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნავთობპროდუქტების მომარაგებისა და გასაღების მთავარი სამმართველო „საქნავთობმომარაგებაგასაღება“	2
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველო	2
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი	2
ცეკავშირი	4
თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველო	1
სახმშენი	1
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი	2
უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო	3
ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო	5
კულტურის სამინისტრო	4
განათლების სამინისტრო	5
ფინანსთა სამინისტრო	1
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია	3
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტი	1

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური
კომიტეტის, საქართველოს სსრ
უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
და საქართველოს პროფკავშირთა
რესპუბლიკური საბჭოს
1970 წლის 6 ოქტომბრის № 555
დადგენილების დანართი № 2

ოდენობა ფულადი პრემიებისა,

რომლებიც მიეცემათ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, საქართველოს სსრ სახმშენის, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სსრ ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოს და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა კოლექტივებს

საწარმო-ორგანიზაციის მომუშავეთა რაოდენობა (კაცი)		პრემიის ოდენობა (მანეთობით)
100-დან	150-მდე	1200
151-დან	200-მდე	1800
201-დან	250-მდე	2400
251-დან	300-მდე	2550
301-დან	400-მდე	3000
401-დან	500-მდე	3300
501-დან	750-მდე	5100
751-დან	1000-მდე	6750
1001-დან	1250-მდე	7800
1251-დან	1500-მდე	9000
1501-დან	1750-მდე	9900
1751-დან	2000-მდე	10950
2001-დან	2500-მდე	13590
2501-დან	3000-მდე	16800
3001-დან	4000-მდე	21000
4001-დან	5000-მდე	25200
5001-დან	7500-მდე	29400
7501-დან	10000-მდე	33750

შენიშვნა: პრემიები იმ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, სადაც მომუშავეთა რიცხვი 100 კაცზე ნაკლებია, მიეცემათ მომუშავეთა რაოდენობის პროპორციულად იმ საპრემიო თანხიდან, რაც დაწესებულია საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, სადაც მომუშავეთა რაოდენობა 100 კაცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

89 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 20 ივლისის № 566 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

„მშენებლობაში და სარემონტო-სამშენებლო სამუშაოებზე დასაქმებულ საშუალოხელფასიანი მუშაკებისათვის ხელფასის გადიდების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და სრულიად საკავშირო პროფსაბჭოს 1968 წლის 29 დეკემბრის № 1045 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 20 ივლისის № 566 დადგენილების შესაბამისად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 24 მაისის № 241 დადგენილება „საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სამინისტროს სისტემაში მშენებლობის გაუმჯობესების შესახებ“;

„1966 წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდობის სწავლების გაფართოებისა და სახალხო მეურნეობაში სამუშაოდ მოწყობის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 22 მარტის № 180 დადგენილების მე-14 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის პირველი აბზაცი იმ ნაწილში, რომელიც შეეხება იმ სამშენებლო ორგანიზაციების ახალგაზრდა მუშებისათვის გამომუშავების შემცირებულ ნორმებს, რომლებიც გათვალისწინებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და სრულიად საკავშირო პროფსაბჭოს 1968 წლის 29 დეკემბრის № 1045 დადგენილების მე-6 პუნქტით.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 20 ივლისის № 566 დადგენილების შესაბამისად „საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების მუშაკთა ხელფასის მოწესრიგების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 11 აგვისტოს № 895 დადგენილების მე-5 პუნქტში (დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 5 სექტემბრის № 629 დადგენილებით), სიტყვები: „სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და სრულიად საკავშირო პროფსაბჭოს 1959 წლის 19 სექტემბრის № 1120 დადგენილების № 2 დანართის № 3 ნუსხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში“ შეცვლილია სიტყვებით: „სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და სრულიად საკავშირო პროფსაბჭოს 1968 წლის 29 დეკემბრის № 1045 დადგენილების № 1 დანართით“.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ვ. მჟავანაძე.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
გ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი, 1970 წ. 18 სექტემბერი, № 525

90 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 23 აპრილის № 278 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

„სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის ორგანიზაციის საკითხზე სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა გაერთიანების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 23 აპრილის № 278 დადგენილების შესაბამისად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

„საქართველოს სს რესპუბლიკაში მეცხოველეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 4 დეკემბრის № 1624 დადგენილების III განაყოფი;

„საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა ეკონომიკისა და ფინანსური მდგომარეობის შემდგომი განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 26 იანვრის № 42 დადგენილების მე-7 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი;

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 15 აპრილის № 235 დადგენილება „სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის ორგანიზაციის გარდაქმნისა და გაუმჯობესების საკითხები“;

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 13 თებერვლის № 116 დადგენილება „სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა დადების შესახებ“;

„საქართველოს სსრ დიდი ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების გარეუბნის ზონებში კვერცხისა და ფრინველის ხორცის წარმოების გადიდების შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 17 აპრილის № 270 დადგენილების მე-9 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი;

„საქართველოს სსრ ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა ეკონომიკის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 5 მაისის № 269 დადგენილების მე-5 პუნქტი;

„1966-1970 წლებისათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის გეგმის შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 28 აპრილის № 256 დადგენილების მე-6 პუნქტი;

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 23 აპრილის № 278 დადგენილებით ძალადაკარგულად არის ცნობილი:

„სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების საქმის გაუმჯობესებისა და მათი წარმოება-დამზადების გადიდებისათვის მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, საბჭოთა მეურნეობების, სასოფლო-სამეურნეო და დამამზადებელი ორგანოების მუშაკთა პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 24 იანვრის № 96 დადგენილების პუნქტები 6 და 8-12.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 25 თებერვლის № 175 დადგენილება „სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის ორგანიზაციის გარდაქმნისა და გაუმჯობესების შესახებ.“

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

ქ. თბილისი, 1970 წლის 22 სექტემბერი, № 532

ეროვნული ბიბლიოთეკა

91 საბინაო-კოოპერაციული მშენებლობის მდგომარეობისა და შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ ამ ბოლო დროს რესპუბლიკაში გარკვეული მუშაობაა გაწეული საბინაო-კოოპერაციული მშენებლობის გასაუმჯობესებლად.

მიმდინარე წელს საქართველოს სსრ ქალაქებში შენდება საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების 200-მდე სახლი. ამ კოოპერატივებში 20 ათას წევრზე მეტია გაერთიანებული. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მიიღო ზომები, რათა შემდგომ გაეუმჯობესებინა მშენებლობის ორგანიზაცია, ჩამოეყალიბებინა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები, კონტროლი გაეწია მათი საქმიანობისათვის.

ამასთანავე, როგორც საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის მიერ ჩატარებული შემოწმებით გამოვლინდა, კოოპერაციული საბინაო მშენებლობის ორგანიზაციაში არის სერიოზული ნაკლოვანებანი და ხარვეზები.

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა და საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმები სისტემატურად არ სრულდება. თბილისში საბინაო-კოოპერაციული მშენებლობის დაწყებიდან (1963—1969 წლებიდ) ათვისებულია დაახლოებით 60 მილიონი მანეთი, ანუ გამოყოფილი სახსრების 65 პროცენტი; საექსპლოატაციოდ არ გადაცემულა 300 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი; მნიშვნელოვნად გაიზარდა დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობა.

საბინაო-კოოპერაციული მშენებლობის გეგმის შეუსრულებლობა საჯარო სამშენებლო ორგანიზაციების არადამაკმაყოფილებელ მუშაობასთან ერთად მისი დაგეგმვის ნაკლოვანებებითაც არის გამოწვეული. მაშინ როდესაც მიმდინარე წლისათვის იყო ბევრი გარდამავალი ობიექტი, 1970 წლის გეგმით გათვალისწინებულია დაიწყოს 41 ახალი ობიექტის მშენებლობა.

ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როცა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლები პროექტდება და შენდება ინდივიდუალური პროექტებით, იზრდება დაწესებული სამშენებლო ნორმები იმ ნაწილში, რომელიც განსაზღვრავს სასარგებლო, საცხოვრებელი და საზაფხულო სადგომების ფართობებს, სართულების სიმაღლეს.

არის ფაქტები, როცა მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოების აღმასკომებს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებში შეჰყავთ საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფილი მოქალაქენი; ცალკეულ შემთხვევებში ერთსა და იმავე ოჯახის რამდენიმე წევრი ეწერება კოოპერატივის წევრად დამოუკიდებელი მეპაიის უფლებით.

ცალკეულ მოქალაქეთა უკანონო მოქმედების შედეგად ადგილი ჰქონდა ფაქტებს, როცა თვითნებურად იშენებდნენ სახლებს რეკონსტრუქციის ზონაში, ჰყიდდნენ, წერდნენ ამ სახლებში მდგმურებს, ნაჩუქრობით გადასცემდნენ ბინებს. იმის შედეგად, რომ რაიაღმასკომებს და მილიციის რაიონულ განყოფილებებს სათანადო კონტროლი არ ჰქონდათ დამყარებული სარეკონსტრუქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციო ზონების განაშენიანების მიმდინარეობისადმი, მნიშვნელოვნად იმატა საგარანტიო წერილების რიცხვმა. ეს იმან გამოიწვია, რომ საჭირო იყო უკანონოდ აშენებული დროებითი სახლების აღება და ამ სახლებში მცხოვრებ პირთათვის საბინაო ფართობის მიცემა კოოპერაციულ სახლებში. მაგალითად, მოქალაქე გ. ა. არსენიშვილმა — ანაგის ქუჩის № 2ა სახლის მფლობელმა, წლების მანძილზე უკანონოდ მიაშენა თავის სახლს სადგომები, რომლებიც შემდეგ მიჰყიდა 44 სულისაგან შემდგარ 13 ოჯახს, ხოლო რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით № 252 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები ამჟამად იძულებულია ამ ოჯახებს მისცეს 4 ერთოთახიანი, 3 ოროთახიანი და 6 სამოთახიანი ბინა; გ. გ. გრძელურის მიზეზით № 130 საბინაო სამშენებლო კოოპერატივები იძულებული იყო 160 კვადრატული მეტრი ფართობი მიეცა იმ პირებისათვის, ვისაც 34 კვადრატული მეტრი ეკავა უკანონოდ აშენებულ სადგომებში ხოლო ვ. გ. კარაპეტიანის მიზეზით, შესაბამისად — 35 კვადრატული მეტრის ნაცვლად მიეცა 208 კვადრატული მეტრი ფართობი.

ამჟამად მოქმედი „საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სანიმუშო წესდება“ არ განმარტავს ზოგიერთ საკითხს, რომლებიც საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების საქმიანობისას წამოიჭრება.

იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს საბინაო-კოოპერაციული მშენებლობის მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესება, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოთ ქ. თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, რუსთავის, გორის, ბორჯომის და ქალაქ თბილისის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს მკაცრი კონტროლი გაუწიონ საბინაო-კოოპერაციულ მშენებლობას, უმოკლეს ვადაში სახელმწიფო წესრიგი დაამყარონ ამ საქმეში, რისთვისაც:

— გადასინჯონ მიმდინარე წლის დამლევამდე იმ მოქალაქეთა სიები, ვინც აყვანილია კოოპერაციული მშენებლობის აღრიცხვაზე და მშენებარე კოოპერატივების წევრად ითვლება, ამორიცხონ ამ სიებიდან პირნი, ვინც უზრუნველყოფილია საცხოვრებელი ფართობით, აგრეთვე არ ცხოვრობს მოცემულ ქალაქში;

— ერთი თვის ვადაში უზრუნველყონ კოოპერაციულ სახლებში შესახლებულ მოქალაქეთა ბინების კომუნალურ ფონდში ჩაბარება;

— გადასინჯონ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების გამგეობების თავმჯდომარეთა შემადგენლობა, უზრუნველყონ ამ თანამდებობაზე პატიოსან და შემოწმებულ პირთა არჩევა.

გაწეული მუშაობის შესახებ მოახსენონ საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს.

2. დაევალოს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს, მშენებლობის სამინისტროს და ამიერკავკასიის ტრესტ „ტრანსმშენს“ მიიღონ საჭირო ზომები, რათა გაძლიერდეს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლების მშენებლობის ტემპი, მკაცრად იქნეს დაცული მშენებლობის ხანგრძლიობის ნორმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტივული ვადები და მკვეთრად შემცირდეს დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობა.

3. დაევალოს სახმშენს და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

— უზრუნველყონ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლების მშენებლობა მოქმედი ტიპობრივი პროექტებით, იმ ვადებში, რაც დაწესებულია სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე მშენებარე საცხოვრებელი სახლებისათვის.

— განიხილონ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლების ინდივიდუალური პროექტები, რომლებიც ახლა მუშავდება, და შეცვალონ ისინი ტიპობრივი პროექტებით, ამოიღონ სატიტულო სიებიდან ის სახლები, რომელთა მშენებლობა ჯერ არ დაწყებულა და დასახულია განხორციელდეს ინდივიდუალური პროექტებით, ამასთან უზრუნველყონ მათ ნაცვლად ტიპობრივი პროექტებით გათვალისწინებული სახლების შეტანა.

4. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ 1971 წლიდან დაწყებული, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლების მშენებლობა განხორციელდება „მთლიანად ობიექტის“ დაფინანსების წესით.

5. სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა, სსრ კავშირის მშენბანკის საქართველოს კანტორამ დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად წლის ბოლომდე მოამზადონ წინადადებანი „საბინაო-კოოპერაციული მშენებლობის სანიმუშო წესდებაში“ ცვლილებათა შესატანად და დასამტკიცებლად წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

6. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების და შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი განყოფილებების ხელმძღვანელებს დაეკისროთ პერსონალური პასუხისმგებლობა მოქალაქეთა ჩაწერის წესის დაცვისათვის და თვითნებური მშენებლობის თავიდან აცილებისათვის.

7. დაევალოთ საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო, თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, გორის საქალაქო კომიტეტებს და ბორჯომის რაიკომს მკაცრი კონტროლი დაუწესონ საბინაო-კოოპერაციულ მშენებლობას და არ დატოვონ უყურადღებოდ საბინაო-კოოპერაციული მშენებლობის მოქმედი დებულების დარღვევის ფაქტები.

საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტმა განიხილოს საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის მოხსენებითი ბარათი ამ საკითხზე, მიიღოს საჭირო ზომები იმ პირთა მიმართ, ვინც დაუშვა სახელმწიფო წესრიგის დარღვევა საბინაო-კოოპერაციულ მშენებლობაში, და შედეგები მოახსენოს საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 22 ოქტომბერი, № 553

ეროვნული ბიბლიოთეკა

92 „რესპუბლიკაში სახელმწიფო საცალო ფასების და ვაჭრობის წესების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ზომების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 19 მარტის № 127 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. მიჩნეულ იქნეს შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების, სავაჭრო ორგანიზაციებისა და საწარმოების პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ვაჭრობის და საზოგადოებრივი კვების ყველა მუშაკის უმნიშვნელოვანეს ამოცანად, რომ გაიშალოს გადამჭრელი ბრძოლა სახელმწიფო საცალო ფასების დარღვევისა და სხვა ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ, ყოველი ღონისძიებით ამაღლდეს მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების კულტურა და უცილობლივ შესრულდეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 19 მარტის № 127 დადგენილება.

2. დაევალოთ ვაჭრობის სამინისტროს, ცეკავშირის გამგეობას, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხილისა და ბოსტნეულის დამზადების, გადამუშავების და რეალიზაციის სახელმწიფო კომიტეტს, მუშათა მომარაგების სამმართველოებსა და განყოფილებებს, საცალო სავაჭრო ქსელის მქონე სამინისტროებს და უწყებებს:

— განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია რესპუბლიკის მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესება, აამაღლონ მომთხოვნელობა ვაჭრობის ყველა რგოლის მუშაკისადმი და მიაღწიონ მომხმარებელთა მომსახურების ძირფესვიან გაუმჯობესებას;

— გადაჭრით აღკვეთონ მყიდველთა ანგარიშში და ზომა-წონაში მოტყუების, გადიდებული მოთხოვნილების საქონლის გადამალვის, უფაქტურო საქონლით ვაჭრობის შემთხვევები და სხვა დარღვევა-ბოროტმოქმედებანი. უზრუნველყონ საბჭოთა ვაჭრობის წესების მკაცრად დაცვა ვაჭრობის და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ხელმძღვანელების პირადი პასუხისმგებლობით;

— დააყენონ 1970 წლის დამლევამდე მაღაზიებში, სასადილოებსა და კაფეებში საკონტროლო-საკასო აპარატები, ხოლო იქ, სადაც არის, ვაჭრობის და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ხელმძღვანელების პირადი პასუხისმგებლობით უზრუნველყონ ამ აპარატების გამართული მუშაობა, აგრეთვე მომხმარებლებისათვის ჩეკებისა და ანგარიშების მიცემა;

— გააძლიერონ სავაჭრო ორგანიზაციებისა და საწარმოების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევისა, გაფლანგვა-დატაცებისა და სხვა დარღვევებისათვის ნასამართლევ პირთა მიღებისათვის ისეთ სამუშაოზე, რაც დაკავშირებულია სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მიღებასთან, დაცვა-შენახვასთან, გაცემასთან, რეალიზაციასა და აღრიცხვასთან;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დააწესონ, რომ გასტრონომიული და პურ-ფუნთუშეულის მაღაზიების, სკოლის ბუფეტების, ხილ-ბოსტნეულის მაღაზიების გამყიდველებად, კაფეებისა და დიეტური სასადილოების ოფიციანტებად, მებუფეტეებად უპირატესად ქალები მიიღონ;

— მკაცრად დაიცვან წესი, რათა საქონლის გადარჩევა საბითუმო ბაზებსა და საწყობებში ხდებოდეს საქონლის ნიმუშების სპეციალურად მოწყობილ დარბაზებში, არ დაუშვან ამ სამუშაოზე საცალო ქსელის ის მუშაკები, ვის მოვალეობაშიც არ შედის საქონლის გადარჩევა; მიიღონ ზომები ფონდების დროული დასაქონლებისა და სავაჭრო ქსელისათვის საქონლის ასორტიმენტით მიწოდებისათვის;

— გადიდებული მოთხოვნილების საქონლის ფონდები გამოუყონ სპეციალიზებულ სავაჭრო ორგანიზაციებს დიდი მაღაზიებისათვის, რომლებიც მოთავსებულია საბჭოთა მეურნეობების ცენტრალურ კარმიდამოში, რაიონულ ცენტრებში, მუშათა დასახლებებში, და იმ მაღაზიებისათვის, რომლებიც ემსახურებიან მსხვილ სამრეწველო საწარმოთა მუშებს;

— აუკრძალონ საზოგადოებრივი კვების საწარმოებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვა საკოლმეურნეო ბაზრებში, გარდა ქორფა მწვანილისა. საზოგადოებრივი კვების საწარმოებს შეუძლიათ ნაღდი ანგარიშსწორებით შეიძინონ ქორფა მწვანილი (სატაცური, სალათი, მწვანე ხახვი, ფხალი, კამა, ბოლოკი, აგრეთვე იშვიათი საკმაზი) საკოლმეურნეო ბაზრებში, კოლმეურნეებისა და კოლმეურნეობებისაგან არსებულ საბაზრო ფასებსა და იმ ფარგლებში, რაც დაწესებული აქვთ ამ საწარმოებს აღნიშნული მიზნისათვის გამოყოფილი ფულადი სახსრების ლიმიტებით;

— ნება დართონ სავაჭრო ორგანიზაციებს შეისყიდონ 1970-1971 წლებში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისაგან, სხვა სახელმწიფო მეურნეობებისაგან, აგრეთვე მოსახლეობისაგან პატისონი, ფხალი, ოხრახუში, კამა, ნიახური, სალათი, ძირთეთრა და სხვა იშვიათი ბოსტნეული მხარეების მიერ ურთიერთ შეთანხმებულ ფასად;

— ნება დართონ რესტორანებსა და საზოგადოებრივი კვების სხვა საწარმო-ორგანიზაციებს შეისყიდონ საბჭოთა მეურნეობებში, მეფრინველეობის ფაბრიკებში, საინკუბატორო-მეფრინველეობის სადგურებში და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, აგრეთვე კოლმეურნეობებში, გოჭები და ფრინველის მოზარდეული (წიწილები, იხვის, ბატის, ინდაურის ჭუკები) მხარეების მიერ ურთიერთ შეთანხმებულ ფასად; საბჭოთა მეურნეობებს, მეფრინველეობის ფაბრიკებს, საინკუბატორო-მეფრინველეობის სადგურებს და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს შეუძლიათ გაყიდონ გოჭები და ფრინველის მოზარდეული, თუ ამით ზიანს არ მიაყენებენ მათთვის დაწესებული პირუტყვისა და ფრინველის შესყიდვის სახელმწიფო გეგმის შესრულებას;

— მიიღონ ზომები, რათა შემდგომ ფართოდ დაინერგოს ვაჭრობის ახალი ფორმები, განვითარდეს თვითმომსახურების სასურსათო მაღაზიების ქსელი, გახსნან ამა წლის დამლევამდე და თვითმომსახურებაზე გადაიყვანონ სამომხმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებლო კოოპერაციის სისტემის საზოგადოებრივი კვების 190 და სახელმწიფო ვაჭრობის სისტემის 39 მაღაზია და საწარმო.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სტანდარტების, ზომების და საზომი ხელსაწყოების კომიტეტის რწმუნებულის სამმართველოს უზრუნველყონ, რომ შემდგომ გაძლიერდეს კონტროლი ფასების სახელმწიფო დისციპლინის დაცვისადმი სახალხო მოხმარების საქონლის მწარმოებელ საწარმოებსა და ვაჭრობაში.

4. დაევალოთ მსუბუქი, კვების, ხორცისა და რძის, ადგილობრივი მრეწველობის და ვაჭრობის სამინისტროებს, ცეკავშირის გამგეობას, „საქკონსერვხილბოსტანს", მუშათა მომარაგების სამმართველოებს და განყოფილებებს, საცალო ვაჭრობის ქსელის მქონე სხვა სამინისტროებსა და უწყებებს მიიღონ საჭირო ზომები ფასების სახელმწიფო დისციპლინის დასაცავად, აღკვეთონ ვაჭრობისათვის ფასაღუნიშნავი და ფასდაუსაბუთებელი სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდება.

ერთი თვის ვადაში განახორციელონ ღონისძიებანი საწარმოებიდან, ბაზებიდან და საწყობებიდან საქონლის ცენტრალიზებული მიტანის გასაუმჯობესებლად, ამასთან მკაცრად დასაჯონ ის პირნი, ვინც არ ასრულებს ვაჭრობის და საზოგადოებრივი კვების საწარმოებისათვის საქონლის მიტანის გრაფიკებს.

5. დაევალოთ შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურას და უმაღლეს სასამართლოს გააძლიერონ თავიანთი ადგილობრივი ორგანოების საქმიანობა ვაჭრობაში ბოროტმოქმედებათა გამოსავლენად და თავიდან ასაცილებლად:

— გამოავლინონ მატერიალურად პასუხისმგებელი პირნი, ვინც წინათ დაუშვა გაფლანგვა-დატაცება ან ნასამართლევი იყო საბჭოთა ვაჭრობის წესების უხეში დარღვევის და სხვა დანაშაულებებისათვის, და აცნობონ ვაჭრობის საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს სათანადო ზომების მისაღებად;

— მოკვლევის და წინასწარი გამოძიების წარმოებისას გულდასმით შეამოწმონ მიზეზები, თუ რატომ მიიღეს სამუშაოზე პირნი, ვისაც წინათ დაშვებული ჰქონდა გაფლანგვა-დატაცება ან ნასამართლევი იყო საბჭოთა ვაჭრობის წესების უხეში დარღვევებისა და სხვა დანაშაულობებისათვის, და შეიტანონ წარდგინებანი, რათა მკაცრ პასუხისგებაში იქნენ მიცემულნი კადრების შერჩევის დადგენილი წესის დამრღვევი ხელმძღვანელები;

— სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცენ სავაჭრო ორგანიზაციათა და საწარმოთა ხელმძღვანელები, ვინც სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ან დანაშაულებრივი დაუდევრობის შედეგად მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობაზე დანიშნავს პირებს, რომლებსაც დაშვებული ჰქონდათ გაფლანგვა, დატაცება ან ნასამართლევი იყვნენ ანგარების მიზნით ჩადენილი დანაშაულობებისათვის;

— საბჭოთა ვაჭრობის წესების უხეში დარღვევის საქმეთა განხილვისას გამოიტანონ კერძო განჩინებანი ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების იმ საწარმოების ხელმძღვანელთა მიმართ, სადაც გამოვლინდა ამ დარღვევის ფაქტები.

6. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო კომიტეტებს, რაიკო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს:

— აამაღლონ სავაჭრო ორგანიზაციებისა და საწარმოების ხელმძღვანელთა პერსონალური პასუხისმგებლობა საქვეუწყებო ობიექტებზე არსებულ საქმეთა მდგომარეობისათვის და მკაცრად აგებინონ მათ პასუხი სახელმწიფო საცალო ფასების დარღვევის, მომხმარებელთა მოტყუების და სხვა ბოროტმოქმედებათა დამშვებ კონკრეტულ დამნაშავეებთან ერთად;

— გააძლიერონ ვაჭრობის საწარმო-დაწესებულებათა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობა, აამაღლონ ვაჭრობის მუშაკთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის დონე, ჩაუნერგონ მათ მაღალი პასუხისმგებლობა მოსახლეობის კულტურული სავაჭრო მომსახურებისათვის;

— ფართო მონაწილეობა მიაღებინონ მუშებს, მოსამსახურეებს და კოლმეურნეებს ყოველდღიურ კონტროლში ვაჭრობის საწარმოთა მუშაობისადმი. მიიღონ ზომები, რათა გაჩაღდეს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან შექმნილი ფასების და ვაჭრობის წესების დაცვის კომისიების მუშაობა, განმტკიცდეს მათი კავშირი საზოგადოებრიობასთან, გაუმჯობესდეს საზოგადოებრივ საწყისებზე მოქმედი ყველა ადგილობრივი კომისიის მუშაობის კოორდინაცია.

7. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ მასალები კონკრეტულ დამნაშავეებზე, ვაჭრობის წესების გამოვლენილ უხეშ დარღვევებზე გადაეცა საგამომძიებლო ორგანოებს დამნაშავეთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად, ხოლო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ამ საწარმოთა ხელმძღვანელები მოხსნილი არიან სამუშაოდან.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 20 ოქტომბერი, № 574

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

93 დაბა სურამსა და მის მახლობლად მდებარე სოფლებში ინდივიდუალური ბინათმშენებლობის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 3 ივლისის № 392 დადგენილების მეორე პუნქტის შესაბამისად სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტმა „საქქალაქმშენსახპროექტმა“ შეადგინა, ხოლო საქართველოს სსრ სახმშენმა დაამტკიცა დაბა სურამისა და მიმდებარე სოფლების ტერიტორიების ფუნქციონალური ზონირების სქემა, საქართველოს სსრ **მინისტრთა საბჭო ადგენს:**

1. ნებადართულ იქნეს ინდივიდუალური ბინათმშენებლობა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 3 ივლისის № 392 დადგენილების პირველ პუნქტში ჩამოთვლილი სოფლების: ჩუმათელეთის, ბუღაურას, იტრიის, გვერდისუბნის, ურთხვის, ზეკოტის, ბაიათხევის, კაკალაანთხევისა და ჯაფინაურის ტერიტორიებზე, არსებული განაშენიანების ფარგლებში.

2. დაბა სურამში ინდივიდუალური ბინათმშენებლობის საკითხი განხილულ იქნეს სურამის გენერალური გეგმის დამტკიცების შემდეგ.

დაბა სურამის ინდივიდუალური სახლების რეკონსტრუქცია და მათ შორის ავარიული შენობების საკითხების გადაწყვეტა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განხორციელდეს ხაშურის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის მიერ დამტკიცებული პროექტის მიხედვით და საქართველოს სსრ სახმშენთან შეთანხმებით.

3. ამ დადგენილების პირველ პუნქტში ჩამოთვლილ სოფლებში ინდივიდუალური ბინათმშენებლობა ნებადართულ იქნეს მხოლოდ ხაშურის რაიაღმასკომის მიერ დამტკიცებული პროექტების მიხედვით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 3 სექტემბერი, № 485

ეროვნული ბიბლიოთეკა

94 კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის მისაყიდი კარტოფილის შესასყიდი ფასების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 6 აგვისტოს № 663 დადგენილება „კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის მისაყიდი კარტოფილის შესასყიდი ფასების შესახებ“ დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად სამინისტროებსა და უწყებებს, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს.

2. დაწესდეს და შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ, 1970 წლის მოსავლიდან დაწყებული, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის მისაყიდი ადრეული კარტოფილის შესასყიდი ფასები საშუალოდ ტონა 190 მანეთი, რაც დიფერენცირებულ იქნას შემდგომი პერიოდების მიხედვით: დამზადების დაწყებიდან 30 ივნისამდე — 400 მანეთი; 1 ივლისიდან 31 ივლისამდე — 250 მანეთი;, 1 აგვისტოდან 31 აგვისტომდე — 170 მანეთი.

3. კარტოფილის შესასყიდი ფასების შეცვლასთან დაკავშირებით, დაევალოს ფინანსთა სამინისტროს შეიტანოს სათანადო ცვლილებანი სახელმწიფო კომიტეტის „საქკონსერვხილბოსტანის“ შემოსავალ-გასავლის ბალანსში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 3 სექტემბერი, № 487

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 663

1970 წლის 6 აგვისტო

მოსკოვი, კრემლი

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის მისაყიდი კარტოფილის შესასყიდი ფასების შესახებ

„კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის წარმოების, დამზადების გადიდებისა და ამ პროდუქტებით მოსახლეობის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 27 მარტის № 207 დადგენილების შესაბამისად, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს და შემოღებულ იქნას სამოქმედოდ, 1970 წლის მოსავლის შესყიდვიდან დაწყებული, იმ კარტოფილის შესასყიდი ფასები, რომელსაც სახელმწიფოს მიჰყიდიან კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა მეურნეობები, დანართით გათვალისწინებული ოდენობით.

2. დაწესდეს, რომ იმ ადრეული კარტოფილის შესასყიდ ფასებს, რომელსაც სახელმწიფოს მიჰყიდიან კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა მეურნეობები, დაამტკიცებენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები.

3. როდესაც კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა მეურნეობები კარტოფილს მიიტანენ უშუალოდ მაღაზიებში, საზოგადოებრივი კვების საწარმოებში, აგრეთვე საბავშვო და სამკურნალო დაწესებულებებში, მისი ანაზღაურება წარმოებს საცალო ფასებში, რასაც გამოაკლდება სავაჭრო ფასდაკლება, მიტანის მანძილის მიუხედავად.

4. დაწესდეს, რომ 1971 წლის მოსავლის შესყიდვიდან დაწყებული, კარტოფილი, რომელსაც კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა მეურნეობები მიჰყიდიან სპირტის და სახამებელ-ბადაგის ქარხნებს, ანაზღაურდება შემდეგნაირად: შეუფარდდება სახამებლის გადიდებული შემცველობის დროს გადასამუშავებელი კარტოფილის შესასყიდი ფასის დანამატი 4 მანეთის ოდენობით სახამებლის ყოველ ტონა-პროცენტში იმ საბაზისო ნორმის გადამეტებით, რაც გათვალისწინებულია კარტოფილის სახელმწიფო სტანდარტით, და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასდაკლება ამავე ოდენობით—საბაზისო ნორმაზე ნაკლები სახამებლის შემცველი კარტოფილის გაყიდვის დროს.

დაევალოთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სტანდარტების, ზომებისა და საზომი ხელსაწყოების კომიტეტს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით 1971 წლის იანვრამდე დააზუსტოს გადასამუშავებელი კარტოფილის სახელმწიფო სტანდარტის სახამებლიანობის საბაზისო ნორმები, ამასთან იქონიოს მხედველობაში, რომ საჭიროა შეუფარდდეს ეს ნორმები კარტოფილის უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში შექმნილ ფაქტიურ ბადაგიანობას ცალკეული მოკავშირე რესპუბლიკების და ჩვენი ქვეყნის ზონების მიხედვით.

5. 1 დეკემბრის შემდეგ გაყიდული კარტოფილისათვის შესასყიდი ფასებით ანგარიშსწორების დროს კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვა მეურნეობებს აუნაზღაურდებათ მისი ხანგრძლივი შენახვის ხარჯები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 30 ივლისის № 602 დადგენილებით დაწესებული ნორმების მიხედვით.

6. დაწესდეს, რომ 1970 წლის მოსავლის შესყიდვიდან დაწყებული, კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობებისაგან ისეთი კარტოფილის მიღებისას, რომელსაც აქვს სახელმწიფო სტანდარტისაგან გადასვლა ხარისხის მხრივ, კარტოფილის არასტანდარტული ტუბერები სახელმწიფო სტანდარტის მიერ დასაშვები რაოდენობის გადამეტებით, ანაზღაურდება: როდესაც ანგარიშს ასწორებენ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა მეურნეობები დამამზადებელ ორგანიზაციებთან — შესასყიდი ფასის 28 პროცენტის დაკლებით (ეს ფასდაკლება გამოიყენება მაშინაც, როდესაც დამამზადებელი ორგანიზაციები აღნიშნულ კარტოფილს აწვდიან სავაჭრო ორგანიზაციებს და სხვა მიმღებებს), ხოლო როდესაც ანგარიშს ასწორებენ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა მეურნეობები სავაჭრო ორგანიზაციებთან და სხვა მიმღებებთან — საცალო ფასის 40 პროცენტის დაკლებით.

ისეთი კარტოფილის მიღების დროს, რომელიც გაბინძურებულია მიწით, კარტოფილის ტუბერებზე იმ ნორმის ზევით მიკრული მიწის ყოველ პროცენტში, რაც დასაშვებია სახელმწიფო სტანდარტით, იწარმოებს ფასდაკლება წონიდან ერთი პროცენტის რაოდენობით.

7. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტმა ორი კვირის ვადაში შეიმუშაონ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინონ წინადადებანი ამ დადგენილებასთან დაკავშირებით ჯიშიანი კარტოფილის, სუპერელიტური და ელიტური კარტოფილის ფასების დაზუსტების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. ძალადაკარგულად ჩაითვალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 10 სექტემბრის № 967 დადგენილება (ამასთან შენარჩუნებულ იქნას 1971 წლის 1 იანვრამდე მე-2 პუნქტის მეოთხე აბზაცი) და 1965 წლის 6 სექტემბრის № 673 დადგენილება (სსრკ კან. კრ. 1965 წ. № 18, მუხ. 145).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ა. კოსიგინი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
1970 წლის 7 აგვისტოს № 663
დადგენილების დანართი

შესასყიდი ფასები

სასურსათო კარტოფილისა და გადასამუშავებელი კარტოფილისა, რომელსაც სახელმწიფოს მიჰყიდიან კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა მეურნეობები

(მანეთობით საბაზისო კონდიციის თითოეულ ტონაში)

	სასურსათო კარტოფილი		გადასამუშავებელი კარტოფილი	
	სექტემბერი—ოქტომბერი	1 იანვრიდან	სექტემბერი—დეკემბერი	1 იანვრიდან
I ზონა				
რუსეთის სფსრ ბრიანსკის, ვლადიმირის, ივანოვოს, კალუგის, ორიოლის, რიაზანის, სმოლენსკის, ტულის, კურსკის, ლიპეცკის, ტამბოვის, პენზის, ულიანოვსკის ოლქები, მარის ასსრ, მორდვეთის ასსრ, ჩუვაშეთის ასსრ; უკრაინის სსრ, კიევის, ვოლინის, ჟიტომირის ივანო-ფრანკოს, სუმის, ტერნოპოლის, ხმელნიცკის, ჩერნიგოვის, ლვოვის, როვნოს ოლქები; ლიტვის სსრ, ლატვიის სსრ, ესტონეთის სსრ, ბელორუსიის სსრ	63	80	60	80
II ზონა				
რუსეთის სფსრ კალინინგრადის, ფსკოვის, ნოვგოროდის, კალინინის, იაროსლავის, კოსტრომის, კიროვის; ორენბურგის ტიუმენის, ირკუტსკის, ჩიტის, კურგანსკის, ომსკის, ტომსკის, კემეროვოს, ნოვოსიბირსკის, ამურის ოლქები, კრასნოიარსკის და ალტაის მხარეები, ტუვის ასსრ, უდმურტეთის ასსრ, თათრეთის ასსრ, ბაშკირეთის ასსრ, ბურიატის ასსრ;	68	80	60	80
III ზონა				
რსფსრ ვორონეჟის, ბელგოროდის ოლქები, უკრაინის სსრ ხარკოვის, ვინიცკის, პოლტავის, ჩერკასკის, ჩერნოვიცის, იმიერკარპატის, კიროვოგრადის ოლქები.	70	80	60	80
IV ზონა				
რუსეთის სფსრ მოსკოვის, ლენინგრადის, გორკის, სვერდლოვსკის, ჩელიაბინსკის, არხანგელსკის, ვოლოგდის, პერმის ოლქები, კარელიის ასსრ და კომის ასსრ	80	90	65	80

ეროვნული ბიბლიოთეკა

	სასურსათო კარტოფილი		გადასამუშავებელი კარტოფილი	
	სექტემბერი—ოქტომბერი	1 იანვრიდან	სექტემბერი—დეკემბერი	1 იანვრიდან
V ზონა				
რუსეთის სფსრ კრასნოდარის მხარე, სტავროპოლის მხარე, დაღისტნის ასსრ; ყაბარდო-ბალკარეთის ასსრ, ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ, ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ, ყალმუხეთის ასსრ, როსტოვის, ასტრახანის, ვოლგოგრადის, სარატოვის, კუიბიშევის ოლქები; უკრაინის სსრ დნეპროპეტროვსკის, დონეცკის, ზაპოროჟიეს, ვოლოშილოვგრადის, ნიკოლაევის, ყირიმის, ოდესის, ხერსონის ოლქები, ყაზახეთის სსრ აქტიუბინსკის, ალმა-ატის, აღმოსავლეთ ყაზახეთის, ტალდი-კურგანსკის, კოკჩეტავის, კუსტანაისკის, პავლოდარის, ჩრდილოეთ ყაზახეთის, სემიპალატინსკის, ურალის, ცელინოგრადის ოლქები	85	95	70	80
VI ზონა				
საქართველოს სსრ, მოლდავეთის სსრ, უზბეკეთის სსრ, ყირგიზეთის სსრ, ყაზახეთის სსრ, ჯამბულის, ყარაგანდის, ჩიკმენტის ოლქები	115	125	—	—
VII ზონა				
რუსეთის სფსრ ხაბაროვსკის და ზღვისპირეთის მხარეები, ყაზახეთის სსრ გურიევის და ყზილ-ორდის ოლქები; აზერბაიჯანის სსრ, ტაჯიკეთის სსრ, სომხეთის სსრ, თურქმენეთის სსრ				

შენიშვნა: ზონების შემადგენლობაში არ არის შეტანილი უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონები და მათთან გათანაბრებული შორეული ადგილები, რომლებისთვისაც კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობებისაგან კარტოფილის შესყიდვის წესი და პირობები განისაზღვრება სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 16 მარტის № 300 დადგენილების შესაბამისად.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

95 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 23 აპრილის № 278 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

„სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის ორგანიზაციის საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა გაერთიანების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 23 აპრილის № 278 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

პუნქტი 3 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 24 იანვრის № 81 დადგენილებისა „სამამულო ომის ფრონტებზე დაღუპულ და უგზო-უკვლოდ დაკარგულ სამხედრო მოსამსახურეთა და პარტიზანთა ოჯახების შეღავათების შესახებ“ იმ ნაწილში, რომელიც ეხება სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიწოდების ნორმების დაკლებას;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 22 აპრილის № 428 განკარგულება;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 16 თებერვლის № 181 განკარგულება სოფლის მეურნეობის პროდუქტების სავალდებულო მიწოდების შეღავათების ნაწილში;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 23 მარტის № 326 განკარგულება სოფლის მეურნეობის პროდუქტების სავალდებულო მიწოდებისაგან განთავისუფლების ნაწილში;

პუნქტები 4, 16 და 23 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 15 ივლისის № 446 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში სავალდებულო მიწოდებისა და მტს-ების მიერ შესრულებულ სამუშაოთა ნატურასაზღაურის გაუქმების, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ახალი წესის, ფასებისა და პირობების შესახებ“, აგრეთვე ამ დადგენილების მე-7 პუნქტი იმ ნაწილში, რომელიც შეეხება პასუხისმგებლობას პროდუქციის ხარისხის შენარჩუნებისა და დამზადების ანგარიშგების წარდგენისათვის;

„საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ სახელმწიფოსათვის ჩაბარებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 2 მარტის № 110 დადგენილების მე-2 პუნქტის ქვეპუნქტი „გ“;

„საქართველოს სს რესპუბლიკაში 1962-1965 წლებში სატბორე მეთევზეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 20 ივნისის № 411 დადგენილების მე-14 პუნქტის ქვეპუნქტი „დ“;

პუნქტი 3 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 21 იანვრის № 27 დადგენილებისა „1966 წლისათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის კონტრაქტაციის ხელშეკრულებათა დადების შესახებ“;

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 26 ოქტომბრის № 649 „1968 წლისათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის კონტრაქტაციის გატარების შესახებ“.

2. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 23 აპრილის № 278 დადგენილებით ძალადაკარგულად ცნობილია პუნქტები 1-3 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 20 აპრილის № 335 დადგენილებისა „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის ფულადი ავანსებისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის კრედიტების მიცემის წესის შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 26 აპრილის № 462 განკარგულებასთან ერთად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 4 სექტემბერი, № 489

96 მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო და რაიონული დაქვემდებარების ქალაქების საბჭოების აღმასკომებთან არსებული ცენტრალიზებული გუღალტერიების დებულების დამტკიცების შესახებ

„მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების მატერიალურ-ფინანსური ბაზის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 23 აპრილის № 181 დადგენილების შესაბამისად 1969 წელს და 1970 წლის ადგილობრივი ბიუჯეტების დამტკიცების დროს სასოფლო და სადაბო ბიუჯეტებზე გადაეცა ორგანიზაციები და დაწესებულებები, აგრეთვე სოციალისტურ-კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსების თანხები, რამაც გამოიწვია ამ ბიუჯეტების მოცულობის მნიშვნელოვანი ზრდა.

სასოფლო და სადაბო ბიუჯეტების ხარჯები 1970 წელს 1968 წელთან შედარებით გაიზარდა 11.946 ათასი მანეთით, ანუ 58, 9 პროცენტით, გაფართოვდა და განმტკიცდა მათი შემოსავლის წყაროები. ამ ბიუჯეტების შემოსავალი 1970 წელს 1968 წელთან შედარებით გაიზარდა 15.932 ათასი მანეთით, რის შედეგად დოტაციურ ბიუჯეტების რიცხვი, რაც 1968 წელს 440 შეადგენდა, 1970 წელს შემცირდა 51 ბიუჯეტამდე, ხოლო დოტაციის თანხა 4993 ათასი მანეთიდან — 931 ათას მანეთამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიუჯეტების მოცულობის ზრდისა და წარმატებით შესრულების შედეგად მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოებს 1970 წლის 1 იანვრისათვის გააჩნდათ 3347 ათასი მანეთი ზეგეგმითი საბიუჯეტო ნაშთი, რაც მათთვის მინიჭებული საბიუჯეტო უფლებების მიხედვით საშუალებას აძლევს განახორციელონ საბჭოების შენობათა მშენებლობის, ინვენტარით მათი აღჭურვის, სოფლებისა და დაბების კეთილმოწყობის, მოსახლეობის სოციალურ-კულტურულ საჭიროებათა დამატებითი დაფინანსებისა და სხვა ღონისძიებანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 23 აპრილის № 181 და 1969 წლის 21 მარტის № 150 დადგენილებების შესაბამისად მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო და რაიონული დაქვემდებარების ქალაქების საბჭოების აღმასკომებთან შექმნილია 117 ცენტრალიზებული ბუღალტერია, რომელთა მუშაობამაც ხელი შეუწყო ამ საბჭოებში საბიუჯეტო-საფინანსო და საბუღალტრო აღრიცხვის უკეთ დაყენებას.

ამასთან აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ ბევრი ორგანიზაცია და დაწესებულება, რომელიც სოფლის ან დაბის მოსახლეობას ემსახურება, არ არის გადაცემული მშრომელთა დეპუტატების სათანადო სასოფლო და სადაბო საბჭოების ბიუჯეტებზე, ცენტრალიზებული ბუღალტერიების ჩამოყალიბება მეტად ნელა მიმდინარეობს, ყველგან არ ექცევა სათანადო ყურადღება სასოფლო და სადაბო ბიუჯეტების შემოსავლის წყაროების გაფართოება-განმტკიცებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული „დებულება მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო და რაიონული დაქვემდებარების ქალაქების საბჭოების აღმასკომებთან არსებული ცენტრალიზებული ბუღალტერიების შესახებ“.

2. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქ. თბილისის, ჭიათურის და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს მიმდინარე წლის ბოლომდე გადასცენ არანაკლებ ორ-სამ სასოფლო და სადაბო ბიუჯეტზე ყველა ის ორგანიზაცია და დაწესებულება, რომლებიც სათანადო საბჭოების მოსახლეობას ემსახურებიან და ამ საბჭოების აღმასკომებთან შექმნან ცენტრალიზებული ბუღალტერიები.

მუშაობა ამ მიმართულებით წარმართონ, ისე რომ 1971 წელს მთლიანად დაამთავრონ სასოფლო და სადაბო ბიუჯეტებზე სათანადო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების გადაცემა და მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებთან ცენტრალიზებული ბუღალტერიების შექმნა.

3. დაწესდეს, რომ სასოფლო, სადაბო და რაიონული დაქვემდებარების ქალაქების ბიუჯეტებზე მყოფ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში მომუშავე მასწავლებელთა, მედიცინის მუშაკთა და სხვა სპეციალისტთა ხელფასის განსაზღვრისათვის საჭირო ტარიფიკაციის მასალებს ადგენენ სათანადო რაიონული (საქალაქო) ორგანიზაციები და ყოველწლიურად გადასცემენ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო და რაიონული დაქვემდებარების ქალაქების საბჭოების აღმასკომებს, აგრეთვე აცნობებენ მათ წლის განმავლობაში მომხდარ ცვლილებებს.

მ. ჯავახიშვილის ბიბლიოთეკა

4. დაევალოთ საქართველოს სსრ განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, სოფლის მეურნეობის სამინისტროებს და სხვა უწყებებს, რომელთა სისტემაში შემავალი ორგანიზაციები და დაწესებულებები იმყოფებიან მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო და რაიონული დაქვემდებარების ქალაქების საბჭოების ბიუჯეტებზე, უზრუნველყონ ამ საბჭოების აღმასკომები დაგეგმვის, აღრიცხვის, შტატების, განკარგულების, ხარჯების და სხვ. ნორმატიული დოკუმენტებით, რაც საჭიროა აღნიშნულ ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საფინანსო გეგმების სწორად შედგენისა და შესრულებისათვის, აგრეთვე ხარჯთაღრიცხვების ბლანკებით.

5. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს:

— სისტემატურად განახორციელოს ღონისძიებანი მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო და რაიონული დაქვემდებარების ქალაქების საბჭოების მიერ ბიუჯეტების შედგენის, შესრულების და საბუღალტრო აღრიცხვის სწორად ორგანიზაციის, ამ ბიუჯეტების შემოსავლის წყაროების შემდგომი განმტკიცების, საბიუჯეტო სახსრების კანონიერად ხარჯვისა და ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა დაცვის უზრუნველსაყოფად;

— უზრუნველყოს მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო და რაიონული დაქვემდებარების ქალაქების საბჭოები ბიუჯეტის შედგენის, შესრულების და საბუღალტრო აღრიცხვის თაობაზე საჭირო მეთოდური მითითებებითა და ნორმატიული დოკუმენტებით, აგრეთვე სათანადო ბლანკებით;

— გაადიდოს მიღება თბილისის საფინანსო-ეკონომიური ტექნიკუმის დასწრებულ და დაუსწრებელ განყოფილებაზე მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო და რაიონული დაქვემდებარების ქალაქების საბჭოების აღმასკომებთან არსებული ცენტრალიზებული ბუღალტერიებისათვის სპეციალისტების მოსამზადებლად, ხოლო ამ ბუღალტერიებში მომუშავე მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად 1971 წლიდან მოაწყოს მუდმივმოქმედი კურსები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 8 სექტემბერი, № 496.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილებით
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1970 წლის 8 სექტემბრის № 496
დამტკიცებულია

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მშრომელთა დეპუტატების სოფლის, დაბის და ქალაქის (რაიონული დაქვემდებარების ქალაქის) საბჭოების აღმასკომებთან არსებული ცენტრალიზებული ბუღალტერიების შესახებ

I. ზოგადი დებულება

1. „ბუღალტერი აღრიცხვის ორგანიზაციის საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და სახალხო მეურნეობაში კონტროლის განხორციელების აღმოფხვრისა და სახალხო მეურნეობაში კონტროლის განხორციელების საქმეში მისი როლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 6 ნოემბრის № 923 დადგენილების შესაბამისად, სოფლის, დაბის და რაიონული დაქვემდებარების ქალაქის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელ დაწესებულებების ხარჯთაღრიცხვების შესრულების ბუღალტრული აღრიცხვის ცენტრალიზაცია ტარდება ცალკეულ დაწესებულებათა ბუღალტერიების გაუქმებისა და ამ დაწესებულებების მომსახურებისათვის მშრომელთა დეპუტატების სოფლის, დაბის და რაიონული დაქვემდებარების ქალაქის საბჭოების აღმასკომებთან ცენტრალიზებული ბუღალტერიების შექმნის გზით. ამასთანავე სოფლის, დაბის, რაიონული დაქვემდებარების ქალაქის საბჭოების აღმასკომებს ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით შეუძლიათ დამოუკიდებელი აღრიცხვის ნება მისცენ ცალკეულ დაწესებულებებს.

2. ცენტრალიზებული ბუღალტერიები სოფლის, დაბის და რაიონული დაქვემდებარების ქალაქის საბჭოს აღმასკომებთან იქმნებიან ამ საბჭოების და რაიონების (ქალაქის) ბიუჯეტზე მყოფ ყველა დაწესებულების მუშაკების საერთო რიცხვისა და ხელფასის ფონდის ანგარიშში. ცენტრალიზებული ბუღალტერიების მუშაკთა რიცხვი და თანამდებობრივი განაკვეთები განისაზღვრება შესაქმნელი ცენტრალიზებული ბუღალტერიის მუშაობის მოცულობის და სათანადო დადგენილებით დაწესებული თანამდებობრივი განაკვეთის შესაბამისად.

ცენტრალიზებული ბუღალტერიების შენახვის ხარჯები იგეგმება და აღირიცხება მე-200 კარის მე-100 თავის 44-ე პარაგრაფზე.

3. ცენტრალიზებული ბუღალტერიები მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სათანადო აღმასკომების თავმჯდომარეების ხელმძღვანელობით ახორციელებენ ბიუჯეტისა და საბიუჯეტო დაწესებულებათა ხარჯთაღრიცხვების შედგენისა და შესრულების სამუშაოებს, რაც დაკავშირებულია ამ საბჭოების მიერ იმ უფლება-მოვალეობათა განხორციელებასთან, რომელიც მათ მინიჭებული აქვთ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1961 წლის 27 დეკემბრის კანონით „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, აგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტონომიური რესპუბლიკისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საბიუჯეტო უფლებების შესახებ“, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 8 აპრილის ბრძანებულებით „მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების ძირითად უფლებათა და მოვალეობათა შესახებ“ და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1968 წლის 25 დეკემბრის კანონით „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს შესახებ“, აწარმოებენ ბიუჯეტისა და ხარჯთაღრიცხვების შესრულების აღრიცხვას და ახორციელებენ მათი შესრულების მიმდინარეობის, ანგარიშსწორებათა მდგომარეობის, ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა დაცულობის, სახელმწიფო სახსრების სწორად და ეკონომიურად ხარჯვის სისტემატურ კონტროლს, აგრეთვე უზრუნველყოფენ ბიუჯეტის შესრულების პერიოდულ და წლიურ ანგარიშგების სწორად და თავის დროზე შედგენას.

4. ცენტრალიზებულ ბუღალტერიას სათავეში უდგას მთავარი (უფროსი) ბუღალტერი, რომელიც თავის მუშაობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებით „სახელწიფო, კოოპერატიულ (გარდა კოლმეურნეობების), საზოგადოებრივ საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მთავარი (უფროსი) ბუღალტრის შესახებ“.

ცენტრალიზებული ბუღალტერიის მთავარი (უფროსი) ბუღალტერი ოპერატიულ მუშაობაში ემორჩილება საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს, ხოლო ბიუჯეტის შედგენის, ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისა და ანგარიშგების შედგენის საკითხებში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს და შესაბამის საფინანსო ორგანოების ინსტრუქციებითა და მითითებებით.

5. ცენტრალიზებული ბუღალტერიის მთავარი (უფროსი) ბუღალტერი და დანარჩენი მუშაკები ინიშნებიან და განთავისუფლდებიან თანამდებობიდან მშრომელთა დეპუტატების სოფლის, დაბის და რაიონული დაქვემდებარების ქალაქის საბჭოს აღმასკომის მიერ რაიონის (ქალაქის) საფინანსო განყოფილებასთან შეთანხმებით.

საქმეების მიღება და ჩაბარება ცენტრალიზებული ბუღალტერიის მთავარი (უფროსი) ბუღალტრის მიერ ხდება რაიონის (ქალაქის) საფინანსო განყოფილების წარმომადგენლის თანდასწრებით.

6. საბუთებს, რომლებიც ფულის, სასაქონლო-მატერიალურ და სხვა ფასეულობათა მიღება-გაცემის საფუძვლად ითვლებიან და აგრეთვე რომლებსაც აქვთ საკრედიტო და საანგარიშსწორებო ვალდებულება, ხელს აწერენ სოფლის, დაბის, ქალაქის რაიონული დაქვემდებარების ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე (პირველი ხელმოწერა) და ცენტრალიზებული ბუღალტერიის მთავარი (უფროსი) ბუღალტერი (მეორე ხელმოწერა).

7. სოფლის საბჭოების აღმასკომებთან არსებულ ცენტრალიზებულ ბუღალტერიებს (შტატში მოანგარიშე-მოლარის თანამდებობების არსებობისას), აგრეთვე დაბის და რაიონული დაქვემდებარების ქალაქის საბჭოების აღმასკომებთან არსებულ ცენტრალიზებულ ბუღალტერიებს ეკისრებათ საბიუჯეტო და სპეციალური სახსრების სალაროს დავთრის წარმოება. ცენტრალიზებული ბუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღალტერიის შტატში ასეთი თანამდებობის უქონლობისას, აღმასკომის თავმჯდომარის მითითებით, სალაროს დავთარს აწარმოებს მოანგარიშე-მოლარე ან საბჭოს მდივანი.

8. ცენტრალიზებულ აღრიცხვისას საბიუჯეტო დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, რომელთაც ცენტრალიზებული ბუღალტერიების შექმნამდე ჰქონდათ კრედიტების განმკარგულებლის უფლება, უნარჩუნდებათ კრედიტების განმკარგულებლის უფლებები.

კრედიტების განმკარგულებლებს საჭიროების შემთხვევაში შეუძლიათ, კერძოდ:

— დადონ ხელშეკრულებები საქონლის მიწოდებასა და მომსახურების გაწევაზე, აგრეთვე — შრომითი შეთანხმებები. ამასთან ხელშეკრულებები და შრომითი შეთანხმებები ვიზირებულ უნდა იქნეს აუცილებელი წესით ცენტრალიზებულ ბუღალტერიის მთავარი (უფროსი) ბუღალტრის მიერ;

— დადგენილ წესით მიიღონ ავანსები სამეურნეო და სხვა საჭიროებისათვის, ან ნება დართონ ავანსების გაცემისა თავის თანამშრომლებზე;

— ნება დართონ ხარჯების განაღდებაზე ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ასიგნების ანგარიშში;

— დადგენილი ნორმების შესაბამისად დამოუკიდებლად ხარჯონ დაწესებულების საჭიროებისათვის მასალები, კვების პროდუქტები და სხვა მატერიალური ფასეულობანი;

— ხელი მოაწერონ საბუთებს, რომლებიც წარმოადგენენ საფუძველს ფულის, სასაქონლო-მატერიალურ და სხვა ფასეულობათა გაცემისათვის, დაამტკიცონ აგნარიშვალდებულ პირთა საავანსო ანგარიშები, გაცვეთილი და უვარგისი მოწყობილობის და სხვა ინვენტარის ჩამოწერის აქტები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

— მიიღონ საჭირო ცნობები და მონაცემები ცენტრალიზებული ბუღალტერიებიდან ხარჯთაღრიცხვების შესრულების შესახებ და აგრეთვე გადაწყვიტონ დაწესებულებების საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

II. ცენტრალიზებული ბუღალტერიების ფუნქციები

ცენტრალიზებული ბუღალტერიების ძირითადი ფუნქციებია:

9. ხარჯთაღრიცხვების და მათი გაანგარიშებების პროექტების შედგენა სამომსახურეო დაწესებულებათა ხელმძღვანელებთან ერთად და სოფლის, დაბის და რაიონულ დაქვემდებარების ქალაქის საბჭოს თავმჯდომარესთან მათ განხილვაში მონაწილეობის მიღება.

10. სოფლის, დაბის, რაიონულ დაქვემდებარების ქალაქის ბიუჯეტის პროექტის შედგენა.

11. რაონულ, სასოფლო, სადაბო და რაიონულ დაქვემდებარების ქალაქის საბჭოს აღმასკომების გადაწყვეტილებით ბიუჯეტში და საბიუჯეტო დაწესებულებათა ხარჯთაღრიცხვებში შეტანილ ცვლილებათა აღრიცხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. საბიუჯეტო დაწესებულებათა ხარჯთაღრიცხვების შესრულების, ბიუჯეტის შემოსავლის და ხარჯების, სპეციალური სახსრების, აგრეთვე მატერიალურ ფასეულობათა ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს ინსტრუქციებისა და მეთოდური მითითებების შესაბამისად.

13. საბიუჯეტო დაწესებულებათა და სოფლის, დაბის, (რაიონული დაქვემდებარების, ქალაქის საბჭოს აღმასკომის მუშაკების ხელფასის დარიცხვა და დადგენილ ვადებში გაცემა, აგრეთვე ხელფასიდან გადასახადების სწორად დაკავება და მათი თავისდროზე გადარიცხვა ბიუჯეტის შემოსავალში.

14. ანგარიშვალდებულ პირებთან, ორგანიზაციებთან, დაწესებულებებთან და ცალკეულ პირებთან ხარჯთაღრიცხვების შესრულების პროცესში წარმოშობილ ანგარიშსწორებათა მოხდენა, აგრეთვე დამოუკიდებელ აღრიცხვის ანგარიშსწორებათა მოხდენა, აგრეთვე დამოუკიდებელ აღრიცხვის მქონე დაწესებულებათა დაფინანსების განხორციელება, ეკონომიის მკაცრი რეჟიმის დაცვით და ქსელის, შტატების და კონტინგენტების გეგმის შესრულების შესაბამისად სახსრების გაცემის უზრუნველყოფა.

15. აღსარიცხავად შემოსული საბუთების კანონიერების, მათი სისწორით და თავისდროულად გაფორმების — სახსრების დამტკიცებულ ასიგნების შესაბამისად ხარჯვის შემოწმება.

16. სკოლამდელ საბავშვო დაწესებულებებში, სკოლა-ინტერნატებს და მუსიკალურ სკოლებში მშობლებისაგან ბავშვთა შენახვისათვის მშობელთა გადასახდელის დარიცხვა და მშობლებისაგან მიღებული თანხების შედარება აღრიცხვის მონაცემებთან.

17. საბუღალტრო საბუთების და სააღრიცხვო რეგისტრების, ხარჯთაღრიცხვების და მათი გაანგარიშებების, საკანონმდებლო, საინსტრუქციო მასალებისა და სხვა საბუთების შენახვის უზრუნველყოფა.

18. საწარმოების, ორგანიზაციების და დაწესებულებების მიერ გადასახდელების ბიუჯეტში სრულად და დადგენილი ვადების მიხედვით ჩარიცხვაზე სისტემატური კონტროლის განხორციელება.

19. სოფლის, დაბის, რაიონული დაქვემდებარების ქალაქის საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით დაწესებულ ვადებში მატერიალურ ფასეულობის, ნაღდი ფულის და ანგარიშსწორებათა ინვენტარიზაციის ორგანიზაცია და აგრეთვე ამ სამუშაოთა შესრულებაში უშუალო მონაწილეობის მიღება.

20. სოფლის, დაბის და რაიონული დაქვემდებარების ქალაქის საბჭოს და სამომსახურეო დაწესებულებების კუთვნილ ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა დაცვისადმი კონტროლის განხორციელება.

21. სამომსახურეო დაწესებულების ხელმძღვანელის მოთხოვნის მიხედვით ცნობების შედგენა ხარჯთაღრიცხვის შესრულებისა და ასიგნებების გამოუყენებელი ნაშთების შესახებ.

22. დამოუკიდებელ ბუღალტრული აღრიცხვის მქონე დაწესებულებებისაგან ხარჯთაღრიცხვის შესრულების ანგარიშგების დროზე მიღების უზრუნველ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფა, მათი ანალიზი და ხარჯთაღრიცხვის შესრულების დოკუმენტალური რევიზიის ჩატარება.

23. მშრომელთა დეპუტატების სოფლის, დაბის, რაიონული დაქვემდებარების ქალაქის საბჭოს აღმასკომის დავალებით გაანგარიშების მომზადება ზემდგომი ბიუჯეტებიდან მოკლევადიანი სესხის მისაღებად და მიღებული სესხის და ურთიერთანგარიშსწორებით დავალიანებების თავის დროზე დაფარვა.

24. ბიუჯეტისა და სპეციალური სახსრების ხარჯთაღრიცხვების შესრულების ანგარიშგების შედგენა და ანალიზი.

25. მატერიალურად პასუხისმგებელი პირებისათვის ინსტრუქტაჟის გაწევა საბიუჯეტო დაწესებულებებში არსებულ ფასეულობათა აღრიცხვისა და დაცვის საკითხებზე, ხარჯთაღრიცხვების შესრულების დამოუკიდებელ ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მქონე კრედიტების განმკარგულებლებისათვის განმარტება-მითითებათა მიცემა.

26. ცენტრალიზებული ბუღალტერიის მუშაკებს ეკრძალებათ მოსახლეობიდან გადასახად-გამოსაღებთა ხელზე მიღება.

27. ჩამოთვლილი ფუნქციების გარდა ცენტრალიზებული ბუღალტერიები აწარმოებენ თვითდაბეგვრის სახსრების აღრიცხვას და ანგარიშგების შედგენას.

III. ცენტრალიზებული ბუღალტერიების მთავარი (უფროსი) ბუღალტრების უფლებები

28. ცენტრალიზებული ბუღალტრების მთავარი (უფროსი) ბუღალტრები, როდესაც ბუღალტერიის შტატში რამოდენიმე მუშაკია, მათ შორის ანაწილებენ სამსახურებრივ მოვალეობას, ისე, რომ თითოეულ მუშაკმა იცოდეს თავის მოვალეობანი და აგებდეს პასუხს მათი შესრულებისათვის.

ცენტრალიზებული ბუღალტერიის მუშაკთა შორის სამუშაოს განაწილება რეკომენდებულია მოხდეს ფუნქციონალური ნიშნის მიხედვით, ე. ი. თითოეულ მუშაკს მუშაობის მოცულობის შესაბამისად გამოეყოფა გარკვეული უბანი (მასალების აღრიცხვა, ანგარიშსწორებები მუშამოსამსახურეებთან ხელფასით ანგარიშსწორებები მშობლებთან საბავშვო დაწესებულებებში ბავშვების შენახვისათვის შესატანი გადასახდელით და ა. შ.).

ცენტრალიზებული ბუღალტერიების მთავარი (უფროსი) ბუღალტრები სისტემატურად ატარებენ ბუღალტერიის მუშაკებთან ტექნიკურ სწავლებას ბიუჯეტის ინდივიდუალური და საერთო ხარჯთაღრიცხვების შედგენის და შესრულების, ბუღალტრული აღრიცხვის საკანონმდებლო, საინსტრუქციო და სხვა მასალების შესწავლისათვის.

29. ცენტრალიზებული ბუღალტერიების მთავარი (უფროსი) ბუღალტრები აწესებენ ბუღალტრული აღრიცხვისა და კონტროლისათვის ყველა იმ საჭირო დოკუმენტების წარდგენის გრაფიკს, რაც დაკავშირებულია ბიუჯეტისა და სამომსახურეო დაწესებულებათა ხარჯთაღრიცხვების შესრულებასთან. ეს გრაფიკი მტკიცდება მშრომელთა დეპუტატების სოფლის, დაბის, რაიონული დაქვემდებარების ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბუთების და ცხობების წარმოდგენის ვადები, რომელიც დამტკიცებულ გრაფიკშია გათვალისწინებული, აგრეთვე მთავარი (უფროსი) ბუღალტრის განკარგულება ბიუჯეტისა და ხარჯთაღრიცხვის შესრულებასთან დაკავშირებულ ოპერაციების სწორად გაფორმების ნაწილში, სავალდებულოა სოფლის, დაბის, ქალაქის საბჭოს და მათ გამგებლობაში მყოფი საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ყველა თანამდებობის პირისათვის.

საბუთების უხარისხოთ გაფორმების, შედგენისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში და ანგარიშგებაში ასასახავად დაგვიანებით გადაცემისათვის, აგრეთვე იმ მონაცემების უსწორობისათვის, რომლებსაც საბუთები შეიცავენ, პასუხისმგებლობა ეკისრებათ თანამდებობის იმ პირებს, რომლებმაც შეადგინეს ეს საბუთები და ხელი მოაწერეს მათ.

30. სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მიღების, შეძენის ან გაცემის და სამუშაოს (მომსახურების) შესრულების შესახებ ხელშეკრულებები და შეთანხმებები, რომლებსაც დადებენ სოფლის, დაბის, რაიონული დაქვემდებარების ქალაქის საბჭოს აღმასკომი ან ცალკეული დაწესებულებები, რომლის ხელმძღვანელებს კრედიტების განმკარგულებლის უფლებები აქვთ, წინასწარ უნდა იქნეს ვიზირებული ცენტრალიზებული ბუღალტერიის მთავარ (უფროსი) ბუღალტრის მიერ.

31. მთავარ (უფროს) ბუღალტერს არ შეიძლება დაეკისროს მოვალეობანი, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა მატერიალურ პასუხისმგებლობასთან.

მთავარ (უფროს) ბუღალტერს ეკრძალება, ბანკისა და შემნახველი სალაროს სალაროებიდან ჩეკებითა და სხვა დოკუმენტებით ფულადი სახსრების მიღება.

32. მთავარმა (უფროსმა) ბუღალტერმა არ უნდა მიიღოს შესასრულებლად და გასაფორმებლად საბუთები ისეთ ოპერაციებზე, რომლებიც არღვევენ მოქმედ კანონმდებლობას და ფულადი სახსრების, მოწყობილობის. ინვენტარის, სასაქონლო-მატერიალურ და სხვა ფასეულობათა მიღების, შემოსავალში გატარების, შენახვისა და ხარჯვის დადგენილ წესებს.

ისეთი განკარგულების მიღების შემთხვევაში, რომელიც ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას ან ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების წარმოების დადგენილ წესს, მთავარი (უფროსი) ბუღალტერი ვალდებულია, მის შესრულებამდე წერილობით მიაქციოს დაწესებულების ხელმძღვანელის ყურადღება მის მიერ უკანონოდ გაცემულ განკარგულებაზე.

დაწესებულების ხელმძღვანელისაგან მის მიერ გაცემულ განკარგულებაზე წერილობითი დადასტურების მიღებისას ცენტრალიზებული ბუღალტერიის მთავარი (უფროსი) ბუღალტერი უკანონო მოქმედების შესახებ მოახსენებს შესაბამის სოფლის, დაბის, რაიონული დაქვემდებარების ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს.

იმ შემთხვევებში, როდესაც სოფლის, დაბის რაიონული დაქვემდებარების ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ადასტურებს დაწესებულების ხელმძღვანელის მოქმედებას, მთავარი (უფროსი) ბუღალტერი იმ განკარგულებას ასრულებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი შემთხვევებში, როდესაც მთავარი (უფროსი) ბუღალტერი ღებულობს განკარგულებას შეასრულოს მოქმედება, რომელიც სისხლის სამართლის წესით ისჯება, იგი ვალდებულია არ შეასრულოს ეს განკარგულება და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ რაიონის საფინანსო განყოფილებას და სახალხო კონტროლის რაიონულ კომიტეტს.

97 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნავთობპროდუქტების მომარაგებისა და გასაღების სამმართველოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ნავთობპროდუქტების მომარაგებისა და გასაღების მთავარ სამმართველოდ გარდაქმნის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. გარდაიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნავთობპროდუქტების მომარაგებისა და გასაღების სამმართველო („საქნავთობმომარაგებაგასაღება") საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ნავთობპროდუქტების მომარაგებისა და გასაღების მთავარ სამმართველოდ („საქმთავარნავთობმომარაგებაგასაღება").

2. „საქმთავარნავთობმომარაგებაგასაღებამ" ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნავთობპროდუქტების მომარაგებისა და გასაღების მთავარ სამმართველოს სტრუქტურა, შტატები და დებულება, შეთანხმებული სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და ფინანსთა სამინისტროსთან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი**

ქ. თბილისი, 1970 წ. 9 სექტემბერი, № 608

ეროვნული ბიბლიოთეკა

98 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 31 ივლისის № 627 დადგენილება „დამამზადებელი ორგანიზაციების მიერ პირუტყვის, ფრინველის, ბოცვრისა და კვერცხის მიღების, შენახვისა და გაცემის წესის, აგრეთვე ჯიშიანი პირუტყვის, ტყისა და სხვა ფრინველის შესყიდვის შესახებ სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა გაერთიანების თაობაზე“

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 31 ივლისის № 627 დადგენილება დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად სოფლის მეურნეობის, ხორცისა და რძის მრეწველობის, კვების მრეწველობის, დამზადების, ვაჭრობის სამინისტროებს, ცეკავშირს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს, „საქჯიშცხოველგაერთიანებას“, სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობების ტრესტებს, „საქფრინველმრეწვის“ სამმართველოს, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს.

2. ზემოაღნიშნული დადგენილების შესაბამისად:

ა) დაევალოთ დამზადების, სოფლის მეურნეობის, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროებს, ცეკავშირს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს უზრუნველყონ პირუტყვის, ფრინველისა და კვერცხის შესყიდვა იმ მოცულობით, რაც განსაზღვრულია ზეგეგმითი შესყიდვის გეგმებითა და დავალებებით, აგრეთვე პირუტყვისა და ფრინველის უფრო თანაბრად მიყიდვა სახელმწიფოსათვის წლის განმავლობაში საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებით კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა მეურნეობების მიერ, რათა შეიქმნას იმის პირობები, რომ გაუმჯობესდეს მოსახლეობის მომარაგება ხორცითა და ხორცის პროდუქტებით და უფრო რაციონალურად იქნას გამოყენებული ხორცის მრეწველობის საწარმოთა საწარმოო სიმძლავრენი;

ბ) დაევალოთ სოფლის მეურნეობის, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს:

— სისტემატური კონტროლი გაუწიონ სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელი პირუტყვის ხარისხს;

— გადაჭრით გააუმჯობესონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სახელმწიფოსათვის მისაყიდად განკუთვნილი პირუტყვის ბაგური კვება და იალაღებზე გასუქება, არ დაუშვან გაუსუქებელი, მჭლე პირუტყვის, განსაკუთრებით მცირე წონის მოზარდეულის, ჩაბარება დასაკლავად იმ ანგარიშით, რომ ხორცკომბინატებში შემოდიოდეს კარგი ნაკვებობისა და ისეთი მაღალი წონითი კონდიციების მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, ცხვარი და ღორი, როგორიც შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესაბამება ადგილობრივი პირობების მიხედვით დაწესებულ გადასამუშავებლად ჩასაბარებელი პირუტყვის ასაკობრივ და წონითს კონდიციებს, ამასთან გაუსუქებელი და მცირე წონის სულადობის ჩაბარებისა და დაკვლის ფაქტები მიიჩნიონ შეუწყნარებელი უყაირათობის გამოვლინებად, რაც იწვევს ხორცის რესურსების შემცირებას;

გ) აკრძალონ არასტანდარტული პირუტყვისა და ფრინველის გადაცემა გადასამუშავებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნებადაურთველად;

როდესაც კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვა სახელმწიფო მეურნეობებს არ ექნებათ სტანდარტული პროდუქცია, დამზადების სამინისტრომ სოფლის მეურნეობის და ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროებთან ერთად ყოველ ცალკე შემთხვევაში წარმოუდგინოს, როგორც გამონაკლისი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი, რომ ნება დაერთოს დამამზადებელ ორგანიზაციებს მიიღონ მათგან სათანადო ფასდაკლების გამოყენებით შესყიდვის გეგმების შესრულების ანგარიშში ისეთი პირუტყვი და ფრინველი, რომელთა ხარისხი არ შეესაბამება დაწესებულ კონდიციებს;

დ) დამზადების, ხორცისა და რძის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის სამინისტროებმა და ცეკავშირმა:

— უზრუნველყონ დადებული საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების შესაბამისად იმ პირუტყვის შეუფერხებელი მიღება და გადამუშავება, რომელიც სახელმწიფო შესყიდვის წესით შემოდის;

— უსასტიკესი კონტროლი გაუწიონ ჩამბარებლებისაგან შემოსული პირუტყვის სწორად მიღებას და ნაკვებობის დადგენას;

ის პირები, რომლებიც არღვევენ პირუტყვის ნაკვებობის დადგენის წესებს, მისცენ პასუხისგებაში არსებული წესით;

ე) აუკრძალონ დამამზადებელ ორგანიზაციებს და ხორცგადამმუშავებელ საწარმოებს პირუტყვის მიღება სანახირე უწყისებისა და თანმხლები საბუთების უქონლად;

ვ) იმ მიზნით, რომ თავიდან იქნას აცილებული დანაკარგი პირუტყვის წონასა და ნაკვებობაში, როდესაც მას ხორცკომბინატებსა და სასაკლაო პუნქტებში მიერეკებიან, დაევალოთ ხორცისა და რძის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის სამინისტროებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს მიიღონ საჭირო ზომები პირუტყვის გარეკვის მოსაწესრიგებლად, რისთვისაც:

— მიუჩინონ პირუტყვდამამზადებელ და პირუტყვგამსუქებელ ორგანიზაციებს მუდმივი სარგებლობისათვის მიწის სავარგულები სახელმწიფო მარაგის მიწებიდან, სადაც ასეთი მოიპოვება;

— დააწესონ პირუტყვის გასარეკი მუდმივი ტრასები, უზრუნველყონ ისინი სარწყულებლითა და გზაში პირუტყვის დასასვენებელი ადგილებით, მოაწყონ გადასასვლელები, გამოყონ საბალახო ნაკვეთები, შექმნან საკვების საკმაო მარაგი პირუტყვის საკვებ პუნქტებში, ამასთან მოაწყონ მწვანე კონვეიერი ძოვების პერიოდში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უზრუნველყონ ვეტერინარული კონტროლი პირუტყვის გასარეკ ველ ტრასაზე;

— მოაწყონ ხანგრძლივი გარეკვის ტრასებზე პირუტყვის საიალაღო გასუქება მისი მსვლელობის გზაზე, ამასთან დააწესონ გასარეკი პირუტყვის წონამეტის დავალებანი;

— განამტკიცონ დამამზადებელი ორგანიზაციების ქსელი პირუტყვის კვალიფიციურ გამრეკთა კადრებით;

ზ) ხორცისა და რძის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და დამზადების სამინისტროებმა ყოველწლიურად წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად რესპუბლიკის ხორცგადამმუშავებელი საწარმოებისათვის პირუტყვის მიწოდების გრაფიკები;

თ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა იურიდიულმა კომისიამ წარმოადგინოს წინადადებანი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 31 ივლისის № 627 დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილებების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯაჯანიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 9 სექტემბერი, № 504

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო
დადგენილება № 627

1970 წლის 31 ივლისი

მოსკოვი, კრემლი

დამამზადებელი ორგანიზაციების მიერ პირუტყვის, ფრინველის, ბოცვრისა და კვერცხის მიღების, შენახვისა და გაცემის წესის, აგრეთვე ჯიშიანი პირუტყვის, ტყისა და სხვა ფრინველის შესყიდვის შესახებ სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა გაერთიანების თაობაზე

სსრ კავშირის მთავრობის იმ გადაწყვეტილებათა ურთიერთ შეთანხმებისა და სიმრავლის აღმოფხვრის მიზნით, რომლებიც შეეხება დამამზადებელი ორგანიზაციების მიერ პირუტყვის, ფრინველის, ბოცვრისა და კვერცხის მიღების, შენახვისა და გაცემის წესს, აგრეთვე ჯიშიანი პირუტყვის, ტყისა და სხვა ფრინველის შესყიდვას, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საჭიროდ მიაჩნია გაერთიანდეს ამ დადგენილებაში სსრ კავშირის მთავრობის წინათ მიღებული გადაწყვეტილებანი აღნიშნულ საკითხებზე. ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის დამზადების სამინისტროს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს და „ცენტროსოიუზს“ უზრუნველყონ პირუტყვის, ფრინველისა და კვერცხის შესყიდვა იმ მოცულობით, რაც განისაზღვრება ზეგეგმითი შესყიდვის გეგმებითა და დავალებებით, აგრეთვე პირუტყვისა და ფრინველის უფრო თანაბარი ძიყიდვა წლის განმავლობაში სახელმწიფოსათვის კოლმეურნეობების, საბჭო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა მეურნეობების და სხვა მეურნეობების მიერ იმ ანგარიშით, რომ შეიქმნას იმის პირობები, რომ გაუმჯობესდეს მოსახლეობის მომარაგება ხორცითა და ხორცის პროდუქტებით და უფრო რაციონალურად იქნას გამოყენებული ხორცის მრეწველობის საწარმოთა სიმძლავრენი.

2. დაწესდეს, რომ პირუტყვის, ფრინველისა და ბოცვრის მიღებას, რომლებსაც სახელმწიფოს მიყიდიან კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა მეურნეობები ახორციელებენ სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს სისტემის საწარმოები და პირუტყვდამამზადებელი ორგანიზაციები, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის პირუტყვდამამზადებელი ორგანიზაციები (უზბეკეთის სს რესპუბლიკაში — უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პირუტყვის დამზადების, ბაგურ კვებასა და იალაღებზე გასუქების და გასაღების მთავარი სამმართველოს სისტემის ორგანიზაციები), ხოლო მცირე სასაქონლო რაიონებში (იმ სიების მიხედვით, რომლებსაც დაამტკიცებენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები და „ცენტროსოიუზი") — სამომხმარებლო კოოპერაციის დამამზადებელი პუნქტები, ბაზები და საწარმოები.

საბჭოთა მეურნეობებს და მეფრინველეობის ფაბრიკებს შეუძლიათ ჩააბარონ საკონტრაქტაციო ხელშეკრულების მიხედვით ფრინველის ხორცი უშუალოდ სავაჭრო ქსელს, ხოლო საბჭოთა მეურნეობებს და მეფრინველეობის ფაბრიკებს ქალაქების, სამრეწველო ცენტრებისა და კურორტების ზონებში (მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ დამტკიცებული სიების მიხედვით), სსრ კავშირის ფრინველმრეწვის სისტემის საწარმოებსა და ორგანიზაციებს, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების და სასწავლებლების საცდელ, საცდელ-საწარმოო და სასწავლო-საცდელ მეურნეობებს, — ამის გარდა, სანატორიუმებს, დასასვენებელ სახლებს, ბავშვთა სახლებსა და სხვა დაწესებულებებს.

3. იმ კვერცხის მიღებას, რომელსაც სახელმწიფოს მიჰყიდიან კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა მეურნეობები, განახორციელებენ სამომხმარებლო კოოპერაციის მიმღებ-დამამზადებელი პუნქტები, ბაზები და საწარმოები.

კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვა სახელმწიფო მეურნეობებს საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებით შეუძლიათ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩააბარონ კვერცხი უშუალოდ სავაჭრო ქსელს, სამკურნალო დაწესებულებებს, სანატორიუმებს, დასასვენებელ სახლებს, ბავშვთა სახლებსა და სხვა დაწესებულებებსა და საწარმოებს.

4. სახელმწიფოსათვის მისაყიდი პირუტყვის, ფრინველის, ბოცვრისა და კვერცხის კონდიციები უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ სტანდარტებს ან ტექნიკურ პირობებს.

5. დაევალოთ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო, რაიონული საბჭოე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის აღმასრულებელ კომიტეტებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს:

ა) სისტემატური კონტროლი გაუწიონ სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელი პირუტყვის ხარისხს;

ბ) გადაჭრით გააუმჯობესონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში იმ პირუტყვის ბაგურ კვებასა და იალაღებზე გასუქება, რომელიც განკუთვნილია სახელმწიფოსათვის მისაყიდად, არ დაუშვან გაუსუქებელი, მჭლე პირუტყვის, განსაკუთრებით მცირე წონის მოზარდეულის, ჩაბარება დასაკლავად იმ ანგარიშით, რომ ხორცკომბინატებში შემოდიოდეს კარგი ნაკვებობის და ისეთი მაღალი წონითი კონდიციების მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, ცხვარი და ღორი, როგორიც შეესაბამება ადგილობრივი პირობების მიხედვით დაწესებულ გადასამუშავებლად ჩასაბარებელი პირუტყვის ასაკობრივ და წონითს კონდიციებს, ამასთან გაუსუქებელი და მცირე წონის სულადობის ჩაბარებისა და დაკვლის ფაქტები მიიჩნიონ შეუწყნარებელი უყაირათობის გამოვლინებად, რაც იწვევს ხორცის რესურსების შემცირებას.

6. დაევალოს სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ძიღოს კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობებისაგან ხორცკომბინატებში (დამამზადებელ ორგანიზაციათა ბაზების გვერდის ავლით) ბრუცელოზით დაავადებული, დაწუნებული პირუტყვი დასაკლავად, ამასთან ჩაითვალოს აღნიშნული პირუტყვი ხორცის შესყიდვის სახელმწიფო გეგმის შესრულებაში.

7. უფლება მიენიჭოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ნება დართონ, როგორც გამონაკლისი, ხორცის მრეწველობის დამამზადებელ ორგანიზაციებსა და საწარმოებს მიიღონ კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო მეურნეობებისაგან პირუტყვისა და ფრინველის შესყიდვის გეგმის შესრულების ანგარიშში პირუტყვი და ფრინველი ხარისხის მხრივ დაწესებული კონდიციებიდან გადახრით იმ შემთხვევებში, როდესაც მათ არ მოეპოვებათ სტანდარტული პროდუქცია, სათანადო ფასდაკლების გამოყენებით.

აიკრძალოს არასტანდარტული პირუტყვისა და ფრინველის გადამუშავება მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების ნებადაურთველად.

8. დაევალოს სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს შეუფერხებლივ მიიღოს სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებისაგან, მათ მიერ შესყიდული ცხენები, ამასთან გასცეს ფასნამატი საერთო სადამამზადებლო და სხვა ხარჯების ასანაზღაურებლად, აგრეთვე უზრუნველყოს დაგროვება სამომხმარებლო კოოპერაციის იმ ორგანიზაციებისათვის დაწესებული ოდენობით, რომლებიც ახორციელებენ პირუტყვის შესყიდვასა და ჩაბარებას.

9. გადაეცეს რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს, უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს, ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს, აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს, ყირგიზეთის სსრ მინისტრთა საბჭოს, ტაჯიკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს და თურქმენეთის სსრ მინისტრთა საბჭოს გადასაწყვეტად საკითხი აქლემების შესყიდვისა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში პირუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყვის სახელმწიფო შესყიდვის გეგმის ანგარიშში იმ პირობით, თუ აქლემის ხორცი გამოყენებული იქნება ადგილობრივი მომარაგებისათვის.

10. სსრ კავშირის დამზადების სამინისტრომ, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ პირუტყვის დამზადების, ბაგურ და იალაღებზე გასუქებისა და გასაღების მთავარმა სამმართველომ და „ცენტროსოიუზმა“:

ა) შეუფერხებლივ მიიღონ დადებული საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების შესაბამისად და გადაამუშაონ სახელმწიფო შესყიდვის წესით შემოსული პირუტყვი;

ბ) უსასტიკესი კონტროლი გაუწიონ იმ პირუტყვის სწორად მიღებას და ნაკვებობის გამორკვევას, რომელიც ჩამბარებლებისაგან შემოდის. ის პირები, რომლებიც არღვევენ პირუტყვის ნაკვებობის განსაზღვრის წესებს, მისცენ პასუხისგებაში დადგენილი წესით.

11. აეკრძალოთ დამამზადებელ ორგანიზაციებს და ხორცგადამმუშავებელ საწარმოებს პირუტყვის მიღება ისე თუ მას არ ექნება სანახირე უწყისები და თანმხლები საბუთები.

12. დაწესდეს, რომ ნაღდი ფულის მიცემა დამამზადებლებისათვის კოლმეურნეებისა და სხვა მოქალაქეებისაგან პირუტყვის შესასყიდად, როგორც წესი, არ დაიშვება. კოლმეურნეებისა და სხვა მოქალაქეებისაგან შესყიდული პირუტყვისათვის ანგარიშსწორება უნდა წარმოებდეს დამამზადებელი ორგანიზაციების სალაროების მეშვეობით, აგრეთვე საფოსტო გზავნილებით.

13. დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს და გზათა სამინისტროს მიიღონ საჭირო ზომები, რათა აღმოიფხვრას ცოცხალი წონის დანაკარგი და პირუტყვის ნაკვებობის შემცირება მისი ტრანსპორტირების, გარეკვისა და დამამზადებელ პუნქტებსა და ხორცგადამმუშავებელ საწარმოებში დაკვლისწინა შენახვის დროს.

პირუტყვის მიყვანა ხორცკომბინატებში ახლო მანძილზე უნდა ხდებოდეს, როგორც წესი, სპეციალიზებული საავტომობილო ტრანსპორტით ან გარეკვით.

14. იმ მიზნით, რომ თავიდან იქნას აცილებული პირუტყვის დანაკარგი წონაში და ნაკვებობის შემცირება ხორცკომბინატებსა და სასაკლაო პუნქტებში მისი გარეკვის დროს, დაევალოთ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიიღონ საჭირო ზომები პირუტყვის გარეკვის მოსაწესრიგებლად, რისთვისაც:

ა) მიუჩინონ პირუტყვდამამზადებელ და პირუტყვგამსუქებელ ორგანიზაციებს მუდმივი სარგებლობისათვის მიწის სავარგულები სახელმწიფო მარაგის მიწების ხარჯზე;

ბ) დააწესონ პირუტყვის გასარეკი მუდმივი ტრასები, უზრუნველყონ ისინი სარწყულებლითა და გზაში პირუტყვის დასასვენებელი ადგილებით, მოა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყონ გადასასვლელები, გამოყონ საბალახო ნაკვეთები, შექმნან საკვების საკმაო მარაგი პირუტყვის კვების პუნქტებში, ამასთან მოაწყონ მწვანე კონვეიერი ძოვების პერიოდში;

გ) უზრუნველყონ გარეკვის ყოველ ტრასაზე ვეტერინარული კონტროლი პირუტყვის მსვლელობის გზაზე;

დ) მოაწყონ ხანგრძლივი გარეკვის ტრასებზე პირუტყვის საიალაღო გასუქება მისი მსვლელობის გზაზე, ამასთან დააწესონ გასარეკი პირუტყვის წონამეტის დავალებანი;

ე) განამტკიცონ დამამზადებელი ორგანიზაციების ქსელი პირუტყვის კვალიფიციურ გამრეკთა მუდმივი კადრებით.

15. დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს და სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს:

ა) რკინიგზის ტრანსპორტით პირუტყვის გადაყვანის დროს მიიღონ ზომები, რათა უზრუნველყოფილ იქნას იგი საჭირო რაოდენობის საკვებით გზაში ყოფნის მთელი პერიოდისათვის;

ბ) უზრუნველყონ პირუტყვითა და ხორცით დატვირთული მარშრუტების დროულად გადმოტვირთვა, ამასთან არ დაუშვან მათი გაცდენა ხორცგადამმუშავებელ საწარმოებსა და მაცივრებში.

16. დაევალოთ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს მოაწყონ რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში სახელმწიფო შესყიდვის წესით შემოსული პირუტყვის ზრდის დამთავრების, ბაგურ კვებასა და იალაღებზე გასუქების სპეციალიზებული მეურნეობები, მსხვილი ხორცკომბინატების ზონებში საკონცენტრაციო ბაზების ჩათვლით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მისი თანაბარი მიწოდება გადასამუშავებლად.

17. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა დააწესონ, ადგილობრივი პირობების მიხედვით, გადასამუშავებლად პირუტყვის შემოსვლის მოცულობა ოლქების, მხარეებისა და ავტონომიური რესპუბლიკების მიხედვით. პირუტყვისა და ფრინველის მიწოდების გრაფიკებს ხორცგადამმუშავებელ და ფრინველგადამმუშავებელ საწარმოებს დაუმტკიცებენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, რომლებსაც საოლქო დაყოფა არა აქვთ, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

18. დაწესდეს, რომ მოსკოვისა და ლენინგრადის ხორცკომბინატები გასუქებული პირუტყვით მარაგდებიან მომარაგების მუდმივი ზონიდან, რომელიც დამტკიცებულია რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს მიერ ნებადართულ იქნას, როგორც გამონაკლისი, უახლოესი წლებისათვის მაღალი კონდიციების მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და ღორის შემოყვანა ქ. მოსკოვსა და ლენინგრადში უკრაინის სს რესპუბლიკიდან და ბელორუსიის სს რესპუბლიკიდან.

მუნიციპალური ბიბლიოთეკა

19. დაევალოთ დამამზადებელ ორგანიზაციებს აწარმოონ გადასახლებულთა მიერ ჩასაბარებელი პირუტყვის მიღება მათი გამოსვლის ადგილებში ისე, რომ გაიცეს სახელობითი ქვითრები პირუტყვის მიღებაზე.

პირუტყვის მიღება მეურნეობებისაგან, რომლებიც გეგმიანი წესით გადასახლდებიან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში და მათთვის პირუტყვის მიცემა ჩასახლების ადგილებში წარმოებს იმ წესით, რაც დადგენილია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 13 მარტის № 259 დადგენილების შესაბამისად დამტკიცებული ინსტრუქციით.

პირუტყვის შეფასება დამამზადებელი ორგანიზაციების მიერ გადასახლებულებისაგან მისი მიღების დროს გამოსვლის ადგილებში, აგრეთვე ჩასახლების ადგილებში მათთვის პირუტყვის მიცემის დროს წარმოებს სახელმწიფო შესასყიდ ფასებში.

20. დაეკისროს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებულ „სოიუზპლემჟივობედინენიეს“ ჯიშიანი პირუტყვის, აგრეთვე ჯიშიანი ბოცვრისა და ფრინველის შესყიდვა.

იმ ჯიშიანი პირუტყვის ცოცხალი წონა, რომელსაც კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო მეურნეობები გაყიდიან სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებული „სოიუზპლემჟივობიედინენიეს“ სისტემის ორგანიზაციების მეშვეობით, მის გამომზრდელ მეურნეობებს ჩაეთვლებათ სახელმწიფოსათვის პირუტყვისა და ფრინველის მიყიდვის გეგმის შესრულებაში შემდეგი ანგარიშით: კილოგრამი კილოგრამში.

21. დაევალოთ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს და სხვა სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებსაც თავიანთ მეურნეობებში ჰყავთ ჯიშიანი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ცხვრის, ღორისა და ცხენის სულადობა, გამოზარდონ და მიყიდონ ჯიშიან პირუტყვზე მოქმედ ფასებში კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვა მეურნეობებს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებული „სოიუზპლემჟივობიედინენიეს“ სისტემის, ორგანიზაციების მეშვეობით ჯიშიანი მოზარდეული, რომელიც წარმოსდგება მაღალპროდუქტიული ცხოველებისაგან და არ არის გამოყენებული მეურნეობებში ჯოგის რემონტისათვის.

22. დაწესდეს, რომ იმ პირუტყვის ხარისხის კონტროლს, რომელსაც სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებული „სოიუზპლემჟივობიედინენიეს“ სისტემის ორგანიზაციები აწვდიან კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, და სარეალიზაციო პირუტყვის მოქმედი ფასების დაცვისადმი კონტროლს განახორციელებენ სანაშენო საქმისა და სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ხელოვნური დათესლვის სახელმწიფო სადგურების, აგრეთვე რაიაღმასკომების სოფლის მეურნეობის სამმართველოების ვეტერინარი მუშაკები.

23. აეკრძალოთ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებულ „სოიუზპლემჟივობიედინენიეს“ სისტემის ორგანიზაციებს გასასუქებლად და შემდგომ სახორცედ დასაკლავად განკუთვნილი პირუტყვის შესყიდვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწესდეს, რომ ამ ორგანიზაციების ამოცანას შეადგენს ჯიშიანი და ადგილობრივი გაუმჯობესებული პირუტყვის დამზადება და მისი მიყიდვა კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის მხოლოდ კვლავწარმოებისა და ჯოგის შევსების მიზნით.

24. რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობათა გამგეობებს:

ა) დადონ სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებთან და რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სამონადირეო მეურნეობისა და ნაკრძალების მთავარი სამმართველოს სახელმწიფო სამრეწველო მეურნეობებთან ხელშეკრულებანი მათთვის ტყისა და სხვა გარეული ფრინველის ჩაბარების შესახებ;

ბ) დახმარება გაუწიონ კოლმეურნე მონადირეებს ტყისა და სხვა გარეული ფრინველის წარმატებით მოპოვებაში, ხელი არ შეუშალონ კოლმეურნეებს, რომლებიც განაცხადებენ გარეული ფრინველის მოპოვების სურვილს.

25. დაეკისროთ რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სამონადირეო მეურნეობისა და ნაკრძალების მთავარ სამმართველოს სახელმწიფო სამრეწველო მეურნეობებს ტყის და სხვა გარეული ფრინველის შესყიდვა კოლმეურნეობებთან, აგრეთვე იმ კოლმეურნეებთან სახელშეკრულებო საწყისებზე, რომლებიც ცხოვრობენ სამონადირეო სავარგულების სახელმწიფო სამრეწველო მეურნეობებისათვის მიჩენილ ტერიტორიაზე.

26. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა საჭირო დახმარება გაუწიონ დამამზადებელ ორგანიზაციებს გარეული ფრინველის შესყიდვის საქმეში.

27. დაევალოს რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს:

ა) აცნობოს სარეწაო რაიონების კოლმეურნეობებს, რომლებსაც მონადირეთა ბრიგადები ჰყავთ, ტყის ფრინველის მოპოვების და სახელმწიფოსათვის მიყიდვის დავალებანი;

ურჩიოს სარეწაო რაიონების კოლმეურნეობებს შეიტანონ ტყის ფრინველის მოპოვება თავიანთ საწარმოო-საფინანსო გეგმებში;

ბ) გამოყოს სარეწაო რაიონებში საჭირო რაოდენობის მონადირეები ტყისა და სხვა გარეული ფრინველის მოსაპოვებლად, აგრეთვე დახმარება გაუწიოს დამამზადებელ ორგანიზაციებს გარეული ფრინველის გამოზიდვაში შესყიდვის ადგილებიდან კონცენტრაციის ბაზებსა და მაცივრებში.

28. დაევალოს სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს უზრუნველყოს სახელშეკრულებო პირობებში ტყის იმ ფრინველის გადმოყვანა შეღავათიანი ტარიფის გამოყენებით თვითმფრინავებით, რომელსაც „ცენტროსოიუზი“ და რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამონადირეო მეურნეობისა და ნაკრძალების მთავარი სამმართველოს სახელმწიფო სამრეწველო მეურნეობები შეისყიდიან, შესყიდვის ადგილებიდან, განსაკუთრებით შორეული რაიონებიდან და უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებიდან,

29. დაევალოს სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს მიიღოს დამამზადებლებისაგან სამინისტროს სისტემის მაცივრებში გასაყინავად და შესანახად ტყის წყლისა და ველის ფრინველი.

მუხ. 98
ეროვნული
ბიბლიოთეკა

30. ამ დადგენილებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებანი თანდართული ნუსხის თანახმად.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **კ. მაზუროვი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
1970 წლის 31 ივლისის № 627
დადგენილებით

ნუსხა

სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებებისა, რომლებიც ცნობილია ძალადაკარგულად

1. შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1930 წლის 26 თებერვლის დადგენილება „სრულიად საკავშირო კვერცხფრინველის გაერთიანება „სოიუზპტიცეპროდუქტის“ მოწყობის შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1930 წ. № 15 მუხ. 167; 1931 წ. № 44, მუხ. 304).

2. შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1952 წლის 15 აპრილის დადგენილება „ცხენდამამზადებელი აპარატის რეორგანიზაციის შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1932 წ. № 28, მუხ. 176).

3. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1933 წლის 4 ივნისის № 1126 დადგენილება „ცხენდამამზადებელი აპარატის რეორგანიზაციის შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1933 წ. № 36, მუხ. 215).

4. პუნქტები 2-4 სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1934 წლის 20 მაისის № 1196 დადგენილებისა „მუშათა მომარაგების განყოფილებების მეცხოველეობის მეურნეობებისათვის პირუტყვის დამზადების წესის შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1934 წ. № 29, მუხ. 228).

5. პუნქტი 10 სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1939 წლის 25 მარტის № 360 დადგენილებისა „მეცხოველეობის განვითარების 1939 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ“ (სსრკ დადგ. კრ. 1939 წ. № 22, მუხ. 137).

6. პუნქტი 6 სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1939 წ. 17 სექტემბრის № 1498 დადგენილებისა „1940 წელს სახელმწიფოსათვის ხორცის სავალდებულო მიწოდების გატარების წესის შესახებ“ (სსრკ დადგ. კრ. 1939 წ. № 53, მუხ, 466).

7. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1942 წლის 25 აგვისტოს № 16276 განკარგულება.

8. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1942 წლის 1 ნოემბრის № 20777 განკარგულება.

9. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1942 წლის 20 დეკემბრის № 24417 განკარგულება.

10. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 9 თებერვლის № 2609 განკარგულება.

11. პუნქტი 11 სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 29 მაისის № 619 დადგენილებისა „აზერბაიჯანის სსრ სოფლის მეურნეობისათვის დახმარების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“.

12. პუნქტი 7 სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 18 აგვისტოს № 1126 დადგენილებისა „1944-1945 წლის შემოდგომა-ზამთრის სეზონში ტყის ფრინველის დამზადების, 1944 წელს წყლისა და ველის გარეული ფრინველის დამზადების შესახებ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. „ხორცის რესურსების გადიდების შესახებ“ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 4 ნოემბრის № 1551 დადგენილების 11 განაყოფის მე-3 პუნქტი და 111 განაყოფის მე-3 პუნქტი.

14. პუნქტი 5 სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1945 წლის 8 იანვრის № 60 დადგენილებისა „სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის ცხენთსაშენების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

15. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1945 წლის 28 იანვრის № 183 დადგენილება „კოლმეურნეობებში ღორის სულადობის გადიდებისა და მისი გასუქების შესახებ“.

16. პუნქტი 22 სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1945 წლის 21 თებერვლის № 318 დადგენილებისა „კურგანის ოლქის სოფლის მეურნეობის დახმარების ღონისძიებათა შესახებ“.

17. პუნქტი 3 სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1945 წლის 21 მაისის № 1120 დადგენილებისა „საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობებში მეცხვარეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

18. „ნაზმატყლიანი და ნახევრადმქისემატყლიანი მეცხვარეობის აღდგენისა და განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 24 ივნისის № 2207 დადგენილების II განაყოფის პუნქტი 14.

19. „ყაზახეთის სს რესპუბლიკაში მეცხოველეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 27 ივნისის № 2254 დადგენილების III განაყოფის პუნქტი 7.

20. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 1 ოქტომბრის № 14296 განკარგულება.

21. პუნქტი 7 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 4 ოქტომბრის № 3498 დადგენილებისა „სოჭი-მაცესტის და გაგრის კურორტების ბოსტნეულით, რძით, ხორცითა და კვერცხით მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

22. პუნქტები 5 და 6 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 10 დეკემბრის № 3978 დადგენილებისა „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს „სოიუზჟივკანტორის“ სისტემაში დამზადება-გასაღების მუშაობის დამახინჯებებისა და პირუტყვის მასობრივი განიავების შესახებ“.

23. პუნქტი I სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 27 იანვრის № 887 განკარგულებისა.

24. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 30 მარტის № 3664 განკარგულება.

25. პუნქტი 6 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 22 ივნისის № 2260 დადგენილებისა „სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს ხაზით პირუტყვის ბაგურ კვებასა და იალაღებზე გასუქების და ზრდის დამთავრების 1948 წლის გეგმის შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“.

26. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 3 დეკემბრის № 18102 განკარგულება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

27. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 5 დეკემბრის № 1953 განკარგულება.

28. პუნქტი 6 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 13 აპრილის № 1551 დადგენილებისა „ბრუცელოზის წინააღმდეგ ბრძოლის დამატებით ღონისძიებათა შესახებ“.

29. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 25 ოქტომბრის № 17262 განკარგულება.

30. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 17 ნოემბრის № 18625 განკარგულება.

31. პუნქტი 13 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 25 ივნისის № 2167 დადგენილებისა „1951-1955 წლებისათვის მატყლის დამზადების გადიდებისა და მეცხვარეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

32. პუნქტები 5 და 6 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 18 აგვისტოს № 3034 დადგენილებისა „ჯიშიანი პირუტყვით კოლმეურნეობების უზრუნველყოფის საქმის ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ“.

33. „1952 წელს ხორცის რესურსების გადიდების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 18 აპრილის № 1881 დადგენილების № 2 დანართის პუნქტი 1, № 3 დანართის 1 პუნქტის ქვეპუნქტი „ლ“ და პუნქტი II.

34. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 11 აგვისტოს № 20424 განკარგულება.

35. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 12 სექტემბრის № 23633 განკარგულება.

36. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 31 ოქტომბრის № 28600 განკარგულება.

37. პუნქტები 1, 2 და 5 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 5 თებერვლის № 2587 განკარგულებისა.

38. პუნქტები 3, 6, 10 და 14 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 31 ოქტომბრის № 2740 დადგენილებისა „ტყის ფრინველის შესყიდვის გეგმის შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“.

39. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 29 დეკემბრის № 16813 განკარგულება.

40. პუნქტი 2 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 15 მაისის № 918 დადგენილებისა „იმ მოქალაქეებისათვის დახმარების გაწევის ღონისძიებათა შესახებ, რომლებმაც სურვილი განაცხადეს გადასახლდნენ ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონებში“ იმ ნაწილში, რომელიც შეეხება გადასახლებულთა მიერ პირუტყვის ჩაბარებას და ჩასახლების ადგილებში მათთვის სამაგიეროს მიცემას.

41. პუნქტი 10 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 2 ივლისის № 1326 დადგენილებისა „დაწუნებული ცხენების სახორცედ გამოყენების შესახებ“.

42. პუნქტები 14 და 15 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 20 სექტემბრის № 1975 დადგენილებისა „პირუტყვის მიღებისა და გადამუშავების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეზონისათვის სსრ კავშირის ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის მინისტროს ხორცის მრეწველობის საწარმოებისა და „პირუტყვდამამზადებელი ორგანიზაციების მომზადების არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობის შესახებ“.

43. პუნქტი 1 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 4 იანვრის № 37 განკარგულებისა იმ ნაწილში, რომელიც შეეხება გადასახლებულთა მიერ პირუტყვის ჩაბარებას და ჩასახლების ადგილებში მათთვის პირუტყვის მიცემის წესს.

44. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 14 აგვისტოს № 2321 განკარგულება.

45. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 12 ოქტომბრის № 3043 განკარგულება პირუტყვისა და ფრინველის ნაწილში.

46. დანართი № 1 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 30 ივნისის № 690 დადგენილებისა „სავალდებულო ჩაბარებისა და მტს-ების სამუშაოთა ნატურსაზღაურის გაუქმების, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ახალი წესის, ფასებისა და პირობების შესახებ“ (სსრკ დადგ. კრ. 1958 წ. № 11, მუხ. 92) იმ ნაწილში, რომელიც შეეხება იმ ორგანიზაციებსა და საწარმოებს, რომლებსაც პირუტყვის, ფრინველისა და კვერცხის მიღება ეკისრებათ.

47. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 15 აგვისტოს № 2662 განკარგულება.

48. „სავალდებულო ჩაბარებისა და მტს-ების მიერ შესრულებულ სამუშაოთა ნატურსაზღაურის გაუქმებასთან და სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ახალი წესის, ფასებისა და პირობების დადგენასთან დაკავშირებით, სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 10 სექტემბრის № 1053 დადგენილებით დამტკიცებულ ცვლილებათა 11 პუნქტის ქვეპუნქტი „გ“.

49. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 10 იანვრის № 59 განკარგულება.

50. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 15 აგვისტოს № 893 დადგენილება „1963 წლის მეორე ნახევარში პირუტყვის გადამუშავებისა და ხორცისა და რძის პროდუქტების განლაგების ღონისძიებათა შესახებ“.

51. „ხორცის მრეწველობის საწარმოებისა და პირუტყვდამამზადებელი ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 16 აპრილის № 316 დადგენილების 1 პუნქტის „დ“ და „ი“ ქვეპუნქტები.

52. პუნქტი 36 სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1942 წლის 11 მარტის № 327 დადგენილებისა „კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოზარდეულის შენარჩუნებისა და პირუტყვის სულადობის გადიდების ღონისძიებათა შესახებ“.

53. „კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობის განვითარების 1945 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ“ სსრ კავშირის სახკომსაბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭოს და საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების 1 განაყოფის პუნქტი 8 და IV განაყოფის პუნქტი 7.

54. პუნქტი 4 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის 26 მაისის № 2153 დადგენილებისა „მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების შესახებ“ (სსრკ დადგ. კრ. 1949 წ. № 9, მუხ. 67).

55. „ჩვენს ქვეყანაში მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისა და კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების სავალდებულო მიწოდების ნორმების შემცირების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის 21 სექტემბრის № 2457 დადგენილების 1 განაყოფის მე-9 პუნქტის მესამე აბზაცი.

56. „მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისა და სახელმწიფო შესყიდვის 1956 და 1957 წლების გეგმის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 8 დეკემბრის № 2064 დადგენილების მე-17 პუნქტი, მე-19 პუნქტის პირველი აბზაცი და 21 პუნქტი.

57. პუნქტი 12 და 16 სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 18 სექტემბრის № 1089 დადგენილებისა „პირუტყვისა და ფრინველის გადამუშავების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

58. სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 28 ივლისის № 739 დადგენილება „სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 8 დეკემბრის № 2064 დადგენილების 21-ე პუნქტის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ“. (სსრკ დადგ. კრ. 1967 წ. № 20, მუხ. 138).

ეროვნული ბიბლიოთეკა

99 შრომის მყარი უუნაროებით დაავადებულთა აღდგენითი მკურნალობის შემდგომი გაუმჯობესებისა და მათი შრომითი მოწყობის შესახებ

რესპუბლიკის მოსახლეობაში ინვალიდობის შემდგომი შემცირების, შრომის მყარ და დროებით უუნაროთა აღდგენითი მკურნალობის დონის ამაღლების და ინვალიდთა საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიების რეკომენდაციების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს სისტემატურად განიხილონ საკითხი, რომ შემდგომ გაუმჯობესდეს ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების და სხვა დაინტერესებული დაწესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელობა ინვალიდთა სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის განხორციელებისადმი.

2. სოციალური უზრუნველყოფის და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტმა, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა გააუმჯობესონ ინვალიდთა რაციონალური შრომითი მოწყობის საქმიანობის კოორდინაცია მათი დაავადების თავისებურების, შრომის უნარის დაკარგვის ხარისხისა და პროფესიული მომზადების გათვალისწინებით.

3. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ და მისმა ორგანოებმა უზრუნველყონ ინვალიდთა რიგსგარეშე მომსახურება საქვეუწყებო საწარმოებში.

4. სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ მიიღოს ზომები, რათა შემდგომ გაუმჯობესდეს ინვალიდთა სახლებსა და პანსიონატებში მყოფი ინვალიდების შენახვა და უფრო ფართოდ იქნან ისინი ჩაბმული შრომითს საქმიანობაში, აგრეთვე განვითარდეს ამ დაწესებულებათა ქსელი;

ა) ინვალიდთა მოძრაობის სისტემატური ანალიზის, მშრომელთა შორის ინვალიდობის მიზეზების შესწავლისა და ინვალიდობის შემცირებისაკენ მიმართულ წინადადებათა შემუშავების მიზნით, მოაწყოს 1971 წელს საექიმო-შრომითი ექსპერტიზის სტაციონართან ორგანიზაციულ-მეთოდური კაბინეტი;

ბ) გააუქმოს მცირეძალოვანი საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიები და მოაწყოს სარაიონთაშორისო საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიები, სადაც ეს საჭირო და შესაძლებელია, დააკომპლექტოს ისინი მუდმივი კადრებით ამ კომისიების პერსონალის რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში;

გ) გამოუყოს ყოველდღიურად მოქმედი საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების ექიმებს თვეში ორ-ორი მეთოდური დღე პროფილაქტიკური მუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაობისათვის საწარმოებში, ხოლო დანარჩენი საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების ექიმებს — თითო დღე თვეში;

დ) მოაწყოს ქ. თბილისში საქალაქო კარდიოლოგიური და ტრავმატოლოგიური საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიები თითოეული 3 ექიმისა და 2 მედიცინის დის შემადგენლობით, სამინისტროსათვის დამტკიცებული შრომის გეგმის ფარგლებში.

5. დაევალოთ ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის და განათლების სამინისტროებს გაითვალისწინონ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971—1975 წლების გეგმებში, რომ გაფართოვდეს ქსელი სპეციალიზებული საწარმოებისა და საამქროებისა ინვალიდთა შრომის გამოსაყენებლად, სამკურნალო-შრომითი სახელოსნოებისა სპეციალური სკოლამდელი და სასკოლო დაწესებულებების სამედიცინო დაწესებულებათა გონებრივი და ფიზიკური განვითარების დეფექტიანი ბავშვებისათვის, აგრეთვე სპეციალიზებული სანატორიუმებისა.

6. დაევალოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს:

ა) განახორციელოს ღონისძიებანი, რომელთა მიზანია შრომის მყარ და დროებით უუნაროთა აღდგენითი მკურნალობის გადაჭრით გაუმჯობესება, აგრეთვე კონსულტაციური მუშაობის გაშლა სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში და შრომისუნარიანობის ექსპერტიზის ამაღლება;

ბ) შეიმუშაოს საჭირო ღონისძიებანი, რათა გაძლიერდეს სამედიცინო კონტროლი მუშათა პროფესიული შერჩევისა და მოზარდთა პროფესიული ორიენტაციისადმი, როდესაც ისინი იწყებენ მუშაობას, განსაკუთრებით შრომის ძავნეპირობებიან საწარმოებში;

.გ) გააძლიეროს სანიტარული ზედამხედველობა შრომის პირობებისადმი სამრეწველო საწარმოებში, მშენებლობაზე, ტრანსპორტზე და სოფლის მეურნეობაში, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ქვანახშირის, მეტალურგიული, მანქანათმშენებლობის, სატყეო, ხე-ტყის დამმუშავებელი და მსუბუქი მრეწველობის მუშათა შრომის პირობებს;

დ) მიიღოს ზომები, რათა შემდგომ გაუმჯობესდეს სამრეწველო საწარმოთა მუშებისადმი სამედიცინო დახმარება, ამაღლდეს პერიოდული სამედიცინო შემოწმებების და იმ ქრონიკულ ავადმყოფთა და ინვალიდობის მქონე პირთა დისპანსერიზაციის ეფექტიანობის ხარისხი, რომლებიც ხშირად და ხანგრძლივად ავადმყოფობენ;

ე) სისტემატურად შეისწავლოს სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგების საწარმოებში მომუშავეთა შორის ინვალიდობის მიზეზები, აგრეთვე შეიმუშაოს და განახორციელოს დაინტერესებულ ორგანოებთან ერთად საჭირო ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ინვალიდობის თავიდან აცილებას და შემცირებას;

ვ) გადაწყვიტოს საკითხი, რომ უფრო ფართოდ დაინერგოს ავადმყოფთა აღდგენითი მკურნალობის პროცესში სამკურნალო ფიზკულტურა, შრომითი თერაპია, მკურნალობის ფიზიოთერაპიული მეთოდები და ფართოდ იქნას გამო-

ყენებული ადგილობრივი ბუნებრივი ფაქტორები, სამკურნალო ტალახები და წყაროები;

ზ) მიიღოს ზომები სპეციალისტთა მომზადებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის შრომისუნარიანობის ექსპერტიზის დარგში, ყოველწლიურად მოაწყოს შრომისუნარიანობის ექსპერტიზის ხაზით და საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიებში მომუშავე ექიმთა ატესტაცია;

თ) საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების მუშაობისათვის საჭირო პირობების შექმნის მიზნით, გამოუყოს მათ სათანადო სადგომები სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებთან.

7. დაევალოს განათლების სამინისტროს:

ა) გააუმჯობესოს მუშაობა იმისათვის, რომ ბავშვობიდან ფიზიკური დეფექტების მქონე მოზარდებმა შეიძინონ შრომითი ჩვევები და პროფესიული ორიენტაცია მათი აღზრდისა და სწავლების პროცესში, გააძლიეროს სპეციალიზებულ სასკოლო დაწესებულებათა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა ამ სკოლების კურსდამთავრებულთა შრომითი მოწყობისათვის;

ბ) მიიღოს კონკრეტული ზომები, რათა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს მუშაობა მოზარდთა პროფესიული ორიენტაციისათვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში.

8. ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროებმა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან ერთად მოაწყონ სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების კომპლექსური შემოწმება ინვალიდობის მიზეზების გამოსავლინებლად და დასახონ პრაქტიკული ღონისძიებანი ამ მიზეზების აღმოფხვრისათვის.

9. ეთხოვოს საქართველოს პროფსაბჭოს დაავალოს პროფკავშირთა საოლქო საბჭოებს და რესპუბლიკურ კომიტეტებს:

— გააძლიერონ კონტროლი შრომისა და უსაფრთხოების ტექნიკის დარგში მდგომარეობისადმი მრეწველობის საწარმოებში, მშენებლობებზე, ტრანსპორტზე, სოფლის მეურნეობაში, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ქალთა და მოზარდთა შრომის დაცვას.

— გააძლიერონ პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობა საწარმოებში ისეთ გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა უზრუნველყოფისათვის, რომლებიც თავიდან აგვაცილებენ მუშათა დაავადებას შრომის მყარი და დროებითი უუნარობით, განსაკუთრებით პროფესიულ დაავადებასა და საწარმოო ტრავმატიზმს;

— უზრუნველყოს პროფკავშირულ ორგანიზაციათა უფრო ფართო მონაწილეობა ისეთი საკითხების გადაწყვეტაში, როგორიცაა შრომის მყარ უუნარო მუშათა ხელახალი კვალიფიკაცია და პროფესიული სწავლება და მათი რაციონალური შრომითი მოწყობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 15 სექტემბერი, № 506

ეროვნული ბიბლიოთეკა

100 არასაკმაო ტენიანობის რაიონების სიის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წინადადება და დამტკიცდეს არასაკმაო ტენიანობის რაიონების წარმოდგენილი სია, დანართის თანახმად.

2. სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის სამინისტროებმა, რესპუბლიკის სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა განახორციელონ არასაკმაო ტენიანობის რაიონებში მდებარე საბჭოთა მეურნეობების მუშათა შრომის ანაზღაურება აღნიშნული დადგენილების მტკიცე შესაბამისობით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 18 სექტემბერი, № 509

მუზეუმ-ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1970 წლის 18 სექტემბრის № 509
დადგენილების დანართი

ს ი ა

საქართველოს სსრ არასაკმაო ტენიანობის რაიონებისა

ახალქალაქის
ადიგენის
ახალციხის
ასპინძის
ბოგდანოვკის
დმანისის
ბორჯომის
ხაშურის
კასპის
მცხეთის
დუშეთის
ლენინგორის
ჯავის
ცხინვალის
ზნაურის
თიანეთის
თეთრიწყაროს
წითელწყაროს
სიღნაღის
საჩხერის
ჭიათურის
ორჯონიკიძის
ამბროლაურის
ონის
ახმეტის
თელავის
გურჯაანის
ყვარლის
საგარეჯოს
გარდაბნის
მარნეულის
ბოლნისის
გორის
ქარელის

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

101 დაბა მესტიის ტერიტორიის ზონირების შესახებ

აღინიშნოს, რომ ზემო სვანეთი და კერძოდ დაბა მესტია საქართველოს ერთადერთი კუთხეა, სადაც დღემდის შემონახულია ქართული ეროვნული კულტურისა და საერთოდ ხუროთმოძღვრების უნიკალური ნიმუშები მთლიანი კომპლექსების სახით, რომელნიც სახელმწიფოებრივ დაცვას მოითხოვენ.

იმასთან დაკავშირებით, რომ დაბა მესტია, როგორც რაიონული ადმინისტრაციულ-კულტურული ცენტრი, აგრეთვე ალპინიზმისა და ტურიზმის მნიშვნელოვანი კერა, მოითხოვს შემდგომ ზრდა-განვითარებას, რაც დაკავშირებულია ახალ მშენებლობასთან, რომელმაც არ უნდა დაარღვიოს არსებული, ისტორიულად ჩამოყალიბებული განაშენიანების სახე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ხ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სახმშენის წინადადება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 3 აპრილის № 166 დადგენილების შესაბამისად, დაბა მესტიის ტერიტორიის ზონებად დაყოფის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს არქიტექტურული ნაკრძალის, შეზღუდული მშენებლობისა და სამეურნეო-სასაწყობო და სატრანსპორტო ზონების დადგენას.

2. ამ დადგენილების პირველი პუნქტის შესაბამისად არქიტექტურულ ნაკრძალად გამოცხადდეს დაბა მესტიის შემდეგი უბნები:

ა) ლეხთაგი, რომლის სამხრეთი საზღვარი დაწესდეს ლენინის ქუჩიდან საშუალოდ 80 მეტრის დაშორებით;

ბ) სეტის ნაწილი, ლენინის ქუჩის ჩრდილოეთით, მისგან საშუალოდ 40 მეტრის დაცილებით;

გ) ლანჩვალი, ლენინის ქუჩის ჩრდილოეთით, მისგან საშუალოდ 60 მეტრის დაცილებით;

დ) ლაღამი, ლენინის ქუჩის გაგრძელებიდან ჩრდილო-დასავლეთით, მისგან საშუალოდ 30 მეტრის დაცილებით.

აღნიშნული ნაკრძალის ტერიტორიაზე აიკრძალოს ყოველგვარ ახალ ნაგებობათა მშენებლობა.

ამავე ფარგლებში, არსებულ შენობათა აღდგენისა და რეკონსტრუქციის სამუშაოები ნებადართულ იქნეს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მხოლოდ საქართველოს სსრ სახმშენთან შეთანხმებით.

3. აიკრძალოს ყოველგვარი მშენებლობა კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ ფერდობზე ლეხთაგის, სეტის, ლანჩვალის და ლაღამის არსებული განაშენიანების ფარგლებს გარეთ.

4. დაბა მესტიის მთელი ტერიტორია, მისი მომავალი განვითარების ფარგლებში, მდინარეების მესტიის-ჭალისა და მულახურას ორივე ნაპირზე, გარდა ნაკრძალისა, გამოცხადდეს შეზღუდული მშენებლობის ზონად, რომელშიაც ყოველგვარი მშენებლობა უნდა წარმოებდეს საქართველოს სსრ სახმშენთან შეთანხმებით დაბა მესტიის გენერალური გეგმის დამტკიცებამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. სამეურნეო-სასაწყობო და სატრანსპორტო ზონად ჩაითვალოს ტერიტორია მესტიის დასავლეთ ნაწილში არსებული განაშენიანების ფარგლებს გარეთ, მდინარესა და მთავარ საავტომობილო გზას შორის, ამ უკანასკნელიდან 50 მეტრის დაშორებით.

6. ზემოხსენებული ნაკრძალის საზღვრები დაზუსტდეს დაბა მესტიის გენერალურ გეგმაში, რომლის დამტკიცების შემდეგ გადატანილ იქნეს ადგილზე არსებული წესის შესაბამისად.

7. ამ დადგენილების განხორციელების ზედამხედველობა დაევალოს საქართველოს სსრ სახმშენს და მესტიის რაიალმასკომს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 18 სექტემბერი, № 510

102 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაწყებითი კლასების იმ მასწავლებელთა შრომითი მოწყობის შესახებ, რომლებიც სკოლაში მუშაობისაგან თავისუფლდებიან იმასთან დაკავშირებით, რომ IV კლასები გადაყვანილი არიან მეცნიერებათა საფუძვლების სისტემატურ სწავლებაზე და დროებით შემცირდა დაწყებითი კლასების მოსწავლეთა რიცხვი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა ხელმძღვანელებს მოაწყონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებლები, რომლებიც თავისუფლდებიან სკოლაში მუშაობისაგან IV კლასების მეცნიერებათა საფუძვლების სისტემატურ სწავლებაზე გადაყვანასთან და დაწყებითი კლასების მოსწავლეთა რიცხვის დროებით შემცირებასთან დაკავშირებით, ისეთ სამუშაოზე, რომელიც მოითხოვს შესაბამისი განათლების დონეს, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მმართველობის ადგილობრივ ორგანოებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, აგრეთვე სხვა დაწესებულებებსა, ორგანიზაციებსა და საწარმოებში.

№ 5
ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაწესდეს, რომ აღნიშნული მუშაკები სარგებლობენ კულტურის, ვაჭრობის, საანგარიშო-საფინანსო დარგის მუშაკთა და სხვა სპეციალობის მუშაკთა მოსამზადებელ კურსებსა და კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე პირველ რიგში ჩარიცხვის უფლებით.

2. დაწესდეს, რომ ამ დადგენილების 1 პუნქტში აღნიშნულ მასწავლებლებს ეძლევათ შემდეგი შეღავათები და უპირატესობანი:

ა) სკოლაში მუშაობისაგან განთავისუფლებულ I-IV კლასების მასწავლებლებს შეუნარჩუნდებათ:

კულტურის, ვაჭრობის, საანგარიშო-საფინანსო დარგის მუშაკთა და სხვა სპეციალობის მუშაკთა მოსამზადებელ კურსებზე სწავლების დროისათვის საშუალო ხელფასი, რასაც ისინი იღებდნენ წინანდელ ძირითად სამუშაო ადგილზე, ვადით არა უმეტეს 3 თვისა;

მუშაობის განუწყვეტელი სტაჟი, თუ მუშაობის შეწყვეტა არ აღემატება 3 თვეს, მუშაობის ახალ ადგილზე გადასვლის დროის ჩაუთვლელად;

მასწავლებელთათვის დაწესებული მოქმედი შეღავათები და უპირატესობანი იმ დღიდან ორი წლის განმავლობაში, რაც მასწავლებლები განთავისუფლებული იქნენ სკოლაში მუშაობისაგან;

ბ) აძლიონ სხვა ადგილებში სამუშაოდ გადაყვანილ I-IV კლასების მასწავლებლებს ერთდროული დახმარება ორი თვის თანამდებობრივი განაკვეთის (ხელფასის სარგოს) ოდენობით, ხოლო იმ მასწავლებლებს, რომლებიც გადაყვანილი არიან სამუშაოდ უკიდურესი ჩრდილოეთის და უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებთან გათანაბრებულ რაიონებში, აგრეთვე ურალის, ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის და ყაზახეთის რაიონებში — სამი თვის თანამდებობრივი განაკვეთის (ხელფასის სარგოს) ოდენობით. აძლიონ მასწავლებლის ოჯახის თითოეულ მიმავალ წევრს ერთდროული დახმარება იმ დახმარების მეოთხედის ოდენობით, რაც მასწავლებელს ეძლევა, აგრეთვე აუნაზღაურონ თვით მასწავლებლის და მისი ოჯახის წევრების ახალ სამუშაო ადგილზე მგზავრობისა და ქონების გადაზიდვის ღირებულება. ახალ სამუშაო ადგილისაკენ მგზავრობისას გზაში ყოფნის დროისათვის აძლიონ მასწავლებლებს ხელფასი და დღიურები;

გ) ჩაუთვალონ I-IV კლასების მასწავლებლებს, რომლებსაც პედაგოგიური განათლება აქვთ ან პედაგოგიურ სასწავლებლებში სწავლობენ:

ბიბლიოთეკებში სამუშაოდ შესულ პირებს საბიბლიოთეკო მუშაობის სტაჟში მათი პედაგოგიური სტაჟი;

იმათ, ვინც მუშაობა დაიწყო სოფლად მდებარე საწარმოებსა, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, აგრეთვე ტურისტულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ტურისტულ-საექსკურსიო ორგანიზაციებში, მმართველობის ადგილობრივ ორგანოებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში და სასწავლო-დამხმარე პერსონალის თანამდებობებზე განათლების დაწესებულებებში, — პედაგოგიურ სტაჟში ის დრო, რაც მათ იმუშავეს ამ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში 1970-დან 1977 წლამდე პერიოდში (ჩათვლით). აღნიშნული მუშაობის დრო შეტანილ უნდა იქნას აგრეთვე სპეციალობის მიხედვით მუშაობის სტაჟში წელთა ნამსახურობისათვის პენსიის დასანიშნავად, სსრ კავშირის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 17 დეკემბრის № 1397 დადგენილების შესაბამისად.

3. დაევალოთ ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს და ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს აძლიონ ამ დადგენილების 1 პუნქტში მოხსენებულ მასწავლებლებს და მათ ოჯახებს სხვა რაიონებში მუდმივ სამუშაოდ გადაყვანის დროს საცხოვრებელი ფართობი და ადგილები მათი შვილებისათვის საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებებში რიგს გარეშე, საცხოვრებელი ფართობისა და საბავშვო დაწესებულებების უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 18 სექტემბერი, № 513.

103 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აგვისტოს № 250 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებულ სიას იმ საწარმოებისა და დაწესებულებებისა, რომელთა სახლებიდან საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 327 მუხლის შესაბამისად დაიშვება გამოსახლება სასამართლო წესით საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად იმ მუშებისა და მოსამსახურეებისა, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა საკუთარი სურვილით დათხოვნასთან დაკავშირებით, ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, ანდა დანაშაულის ჩადენისათვის, შემდეგი პუნქტი:

„121. საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს მეტეხის საშენ მასალათა კომბინატის, გურჯაანის აგურის ქარხნის, ავჭალის სილიკატური საკედლე მასალების ქარხნის, ქუთაისის საშენ მასალათა კომბინატისა და აჯამეთის სილიკატური აგურის ქარხნის საცხოვრებელი სახლები“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 18 სექტემბერი № 514

№ 5 ეროვნული ბიბლიოთეკა

104 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებულ სიას იმ საწარმოებისა და დაწესებულებებისა, რომელთა სახლებიდან, საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 327 მუხლის შესაბამისად, დაიშვება მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება სასამართლო წესით საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა საკუთარი სურვილით დათხოვნასთან დაკავშირებით ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, ანდა დანაშაულის ჩადენისათვის, — შემდეგი პუნქტი:

122. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის საცხოვრებელი სახლები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი 1970 წლის 22 სექტემბერი, № 520

105 საქართველოს სსრ ტერიტორიაზე იმ პირთა შრომითი მოწყობის წესის დამტკიცების შესახებ, ვინც თავს არიდებს საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 23 თებერვლის № 136 დადგენილების და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 14 მაისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე იმ პირთა შრომითი მოწყობის წესი, ვინც თავს არიდებს საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას, დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 24 სექტემბერი, № 526

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1970 წლის 24 სექტემბრის № 526
დადგენილებით

წ ე ს ი

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე იმ პირთა შრომითი მოწყობისა, ვინც თავს არიდებს საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას

1. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ წარმოდგენილი იმ მასალების საფუძველზე, რომლებიც შეეხება საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის თავისამრიდებელ პირთა შრომითს მოწყობას, იღებს გადაწყვეტილებას ამ პირთა შრომაში ჩაბმის შესახებ, ამასთან მხედველობაში იღებს მათს სპეციალობას და გზავნის საწარმოებში (მშენებლობებზე), მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, რომლებიც, როგორც წესი, განლაგებულია ამ პირთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის რაიონში ან სხვა ადგილებში საქართველოს სს რესპუბლიკის ფარგლებში.

2. გადაწყვეტილებას საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის თავისამრიდებელ პირთა შრომაში ჩაბმის შესახებ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი აცნობებს იმ საწარმოს (მშენებლობის) ადმინისტრაციას, სადაც ეს პირი იგზავნება შრომითი მოწყობისათვის, აგრეთვე აცნობებს შრომითი რესურსების გამოყენების ორგანოებს და შინაგან საქმეთა ორგანოებს გადაწყვეტილების შესრულებისადმი კონტროლის გასაწევად.

3. იმ საწარმოს (მშენებლობის) ადმინისტრაცია, სადაც სამუშაოდ იგზავნება საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის თავისამრიდებელი პირი, მოვალეა სამი დღის ვადაში აცნობოს მისი შრომითი მოწყობის შესახებ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება შრომითი მოწყობის შესახებ, აგრეთვე შრომითი რესურსების გამოყენების ორგანოებს.

4. „იმ პირთა პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ, ვინც თავს არიდებს საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას და ეწევა ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 14 მაისის ბრძანებულების მე-3 მუხლის შესაბამისად იმ საწარმოს (მშენებლობის) ადმინისტრაცია და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სადაც სამუშაოდ გაიგზავნა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის თავისამრიდებელი პირი, მოვალენი არიან უზრუნველყონ მისი შრომითი მოწყობა, გასწიონ მასთან აღმზრდელობითი მუშაობა, მიიღონ ზომები იმისათვის, რომ ეს პირი დარჩეს საწარმოო კოლექტივში.

ასეთ პირთა დათხოვნის ყველა შემთხვევა საწარმოს (მშენებლობის) ადმინისტრაციამ სამი დღის ვადაში უნდა აცნობოს მშრომელთა დეპუტატების საბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭოს იმ აღმასრულებელ კომიტეტს, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება შრომითი მოწყობის შესახებ, და შრომითი რესურსების გამოყენების შესაბამის ორგანოს.

5. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები, მუშახელზე არსებული მოთხოვნილების შესაბამისად ყოველწლიურად ამტკიცებენ იმ საწარმოთა (მშენებლობათა) ნუსხას, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, სადაც მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით უნდა გაიგზავნოს საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის თავისამრიდებელი პირი.

აღნიშნული ნუსხით გათვალისწინებული საწარმოები (მშენებლობანი) ყოველთვიურად წარუდგენენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს შესაბამის აღმასრულებელ კომიტეტს და შრომითი რესურსების გამოყენების ორგანოებს მონაცემებს მუშახელის სპეციალობით გამოყენებაზე არსებული მოთხოვნილების შესახებ.

106 კურორტების ტერიტორიის და დასვენების ზონების განაშენიანებისა და სანატორიულ-საკურორტო, დასასვენებელ დაწესებულებათა მშენებლობის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ

იმ მიზნით, რომ განსაკუთრებით რაციონალურად იქნეს გამოყენებული საკურორტო მიწები, სამკურნალო საშუალებანი და საკურორტო ფაქტორები, აღმოიფხვრას კურორტებისა და დასვენების ზონების განაშენიანებაში არსებული ნაკლოვანებანი და შემდგომ გაუმჯობესდეს სანატორიულ-საკურორტო მშენებლობა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 28 აგვისტოს № 723 დადგენილება სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად დაეგზავნოს საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს.

მიღებულ იქნეს ცნობად, რომ აღნიშნული დადგენილებით კურორტები ქობულეთი, გაგრა, ბიჭვინთა, ახალი ათონი, ბორჯომი და წყალტუბო განეკუთვნა საერთო-საკავშირო მნიშვნელობის კურორტებს.

2. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ ორი თვის ვადაში შემოიტანოს მინისტრთა საბჭოში დასამტკიცებლად:

ა) საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად — წარდგინება იმ კურორტების შესახებ, რომლებიც უნდა განეკუთვნონ რესპუბლიკური მნიშვნელობის კურორტებს;

ბ) საქართველოს პროფსაბჭოსთან ერთად — წარდგინება იმ კურორტების შესახებ, რომლებიც უნდა განეკუთვნონ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებს (ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის გარდა).

მუნიციპალური ბიბლიოთეკა

3. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ ორი თვის ვადაში შეიტანოს საქართველოს პროფსაბჭოსთან ერთად აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომში წარდგინება იმ კურორტების შესახებ, რომლებიც უნდა განეკუთვნონ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებს.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა განიხილონ და დაამტკიცონ იმ კურორტების ნუსხა, რომლებიც განეკუთვნა ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებს.

4. რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების დასამტკიცებელ ნუსხებში შეტანილ იქნეს ტერიტორიები, რომლებიც შემდგომ გამოდგება სანატორიულ-საკურორტო მშენებლობისა და დასასვენებელი ბაზების შექმნისათვის.

5. დაწესდეს, რომ სამრეწველო საწარმოებისა და სხვა იმ ობიექტების მშენებლობა, რომლებიც უშუალოდ არ არიან დაკავშირებულნი მოსახლეობის და დამსვენებელთა საჭიროების, აგრეთვე სანატორიულ-საკურორტო და საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის საჭიროების დაკმაყოფილებასთან, საქართველოს სსრ რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებზე განხორციელდეს გამონაკლისის სახით მინისტრთა საბჭოს ნებართვით, სახმშენისა და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წარდგინებით და საკავშირო პროფსაბჭოსთან შეთანხმებით. ამასთან, აღნიშნული ობიექტები განლაგდეს ზუსტად კურორტების, ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების რაიონული დაგეგმარების პროექტებისა და გენერალური გეგმების შესაბამისად, რომლებიც დამტკიცებულია მინისტრთა საბჭოს მიერ.

6. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და იმ რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, რომელთა ტერიტორიაზე მდებარეობს საერთო-საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის კურორტები, მოაწყონ პროფკავშირთა კურორტების მართვის საქართველოს საბჭოსთან ერთად 1971 წლის 1 იანვრის მდგომარეობით იმ მიწის ნაკვეთების ინვენტარიზაცია, რომლებიც გამოყოფილი აქვთ სამინისტროებს, უწყებებს, საწარმოებს და დაწესებულებებს ახალ სანატორიულ-საკურორტო და ტურისტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა მშენებლობისა და მოქმედ დაწესებულებათა რეკონსტრუქცია-გაფართოებისათვის (თუ ამ ნაკვეთებზე მშენებლობა არ დაწყებულა, ან არ დამთავრებულა), ამასთან გაითვალისწინონ აუთვისებელი ტერიტორიის უფრო რაციონალური გამოყენება.

ინვენტარიზაციის მონაცემები წარუდგინონ სახმშენს 1971 წლის 1 მარტამდე.

სახმშენმა სოფლის მეურნეობის, კომუნალური მეურნეობის სამინისტროებთან ერთად და საკავშირო პროფსაბჭოს მონაწილეობით განიხილოს ინვენტარიზაციის მასალები და 1971 წლის 1 მაისისათვის წარმოუდგინოს ინვენტარიზაციის შედეგები მინისტრთა საბჭოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ შეიმუშაოს კომუნალური მეურნეობის სამინისტროსთან, პროფკავშირთა კურორტების მართვის საქართველოს საბჭოსთან ერთად და აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, შესაბამისი ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებთან შეთანხმებით პირველი რიგის ღონისძიებანი რესპუბლიკის კურორტების, უწინარეს ყოვლისა საერთო-საკავშირო მნიშვნელობის კურორტების, სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ამასთან გაითვალისწინოს, რომ ეს ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს უახლოეს წლებში იმ სახსრების გამოყენებით, რომლებიც შეიძლება აღნიშნული მიზნებისათვის დადგენილი წესით გამოჰყონ დაინტერესებულმა სამინისტროებმა და უწყებებმა, და წარმოუდგინონ მათი ნუსხა 1971 წლის 1 მაისამდე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად განსახილველად და დასამტკიცებლად.

8. სახმშენმა 1970 წლის 1 ნოემბრამდე რესპუბლიკის დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით მოამზადოს სსრ კავშირის სახმშენთან არსებულ სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტში წარსადგენი წინადადებანი იმ საპროექტო ორგანიზაციათა შესახებ, რომლებმაც უნდა შეასრულონ რესპუბლიკის კურორტების დაგეგმარება-განაშენიანების საპროექტო სამუშაოები, აგრეთვე სამუშაოები სანატორიუმების, პანსიონატების, დასასვენებელი სახლებისა და სხვა საკურორტო დაწესებულებათა დასაპროექტებლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 1 ოქტომბერი, № 534

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო
დადგენილება № 723

1970 წლის 28 აგვისტო

მოსკოვი, კრემლი

კურორტების ტერიტორიის და დასვენების ზონების განაშენიანებისა და სანატორიულ-საკურორტო, დასასვენებელ დაწესებულებათა მშენებლობის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ

იმ მიზნით, რომ განსაკუთრებით რაციონალურად იქნეს გამოყენებული საკურორტო მიწები, სამკურნალო საშუალებანი და საკურორტო ფაქტორები, აღმოიფხვრას კურორტებისა და დასვენების ზონების განაშენიანების საქმეში არსებული ნაკლოვანებანი და შემდგომ გაუმჯობესდეს სანატორიულ-საკურორტო მშენებლობა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საჭიროდ იქნეს მიჩნეული, დაწესდეს კურორტების დაყოფა საერთო-საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებად.

კურორტებს მიაკუთვნებენ:

საერთო-საკავშირო მნიშვნელობის კურორტებს — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო საკავშირო პროფსაბჭოს, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ერთობლივი წარდგინებით;

რესპუბლიკური მნიშვნელობის კურორტებს — მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები საკავშირო პროფსაბჭოსა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროთა ერთობლივი წარდგინებით;

ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებს — ოლქებად დაუყოფელი მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, ან ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, მშრომელ.ია დეპუტატების საოლქო, სამხარეო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოების (ხოლო რუსეთის სფს რესპუბლიკაში — საკავშირო პროფსაბჭოს) და მოკავშირე რესპუბლიკათა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების ერთობლივი წარდგინებით.

მიღებულ იქნეს შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან შეთანხმებული საკავშირო პროფსაბჭოს, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წინადადება, რომ კურორტები განეკუთვნონ საერთო-საკავშირო მნიშვნელობის კურორტებს დანართის თანახმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო, სამხარეო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა დაამტკიცონ 1970 წელს რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების ნუსხა, იმ ტერიტორიის ჩათვლით, რომელიც შემდგომ გამოდგება სანატორიულ-საკურორტო მშენებლობისა და დასასვენებელი ბაზების მოწყობისათვის.

2. საერთო-საკავშირო მნიშვნელობის კურორტების რაიონული დაგეგმარების პროექტებს და გენერალურ გეგმებს ამტკიცებენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები საკავშირო პროფსაბჭოსა და სსრ კავშირის სახმშენთან არსებულ სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით, ხოლო რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებისას — მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები რესპუბლიკის სახმშენის წარდგინებით, რომელიც შეთანხმებულია პროფკავშირების რესპუბლიკურ საბჭოსთან (ხოლო რუსეთის სფს რესპუბლიკაში — საკავშირო პროფსაბჭოსთან) და მოკავშირე რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან.

დაწესდეს, რომ ახალ სანატორიულ-საკურორტო და დასასვენებელ დაწესებულებათა მშენებლობისა და მოქმედ დაწესებულებათა გაფართოებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფამდე მათი ადგილმდებარეობის საკითხს წყვეტენ:

ახალ სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა მშენებლობისათვის — საკავშირო პროფსაბჭო და სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან შეთანხმებით, ამასთანავე იმავდროულად მიღებულ უნდა იქნეს ამ დაწესებულებათა შექმნის ნებართვა სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლების 46-ე მუხლის შესაბამისად;

სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა გაფართოებისათვის, ახალ დასასვენებელ დაწესებულებათა მშენებლობისა და მოქმედ დაწესებულებათა გაფართოებისათვის საერთო-საკავშირო მნიშვნელობის კურორტებზე — საკავშირო პროფსაბჭო და სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან შეთანხმებით, ხოლო რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებზე და კურორტებს მიუკუთვნებელ ადგილებში, — პროფკავშირების რესპუბლიკური საბჭოები (რუსეთის სფს რესპუბლიკაში — საკავშირო პროფსაბჭო) და მოკავშირე რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო შესაბამისად მოკავშირე ან ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან, ანდა მშრომელთა დეპუტატების საოლქო, სამხარეო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით.

3. საკავშირო პროფსაბჭომ სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სასარგებლო წიაღისეული მარაგის სახელმწიფო კომისიასთან, სსრ კავშირის სახმშენთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებულ სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით შეიმუშაოს და წარმოუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კურორტების ტიპობრივი დებულების პროექტი.

4. აიკრძალოს, როგორც წესი, კურორტებზე მშენებლობა და გაფართოება მოქმედი სამრეწველო საწარმოების და სხვა იმ ობიექტებისა, რომლებიც უშუალოდ არ არის დაკავშირებული მოსახლეობის და დამსვენებელთა საჭიროების, აგრეთვე სანატორიულ-საკურორტო და საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის საჭიროების დაკმაყოფილებასთან.

დაწესდეს, რომ სამრეწველო საწარმოებისა და სხვა ობიექტების მშენებლობა შეიძლება განხორციელდეს, გამონაკლისის სახით:

საერთო-საკავშირო მნიშვნელობის კურორტებზე — ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ნებართვით;

რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებზე — იმ წესით, რომელსაც განსაზღვრავენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები საკავშირო პროფსაბჭოსთან შეთანხმებით.

5. საჭიროდ იქნეს მიჩნეული, რომ სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებების, დასასვენებელი სახლების, პანსიონატებისა და დასასვენებელი ბაზების მშენებლობა განხორციელდეს უპირატესად მსხვილ კომპლექსებად, რაც ეკონომიურია მშენებლობასა და ექსპლოატაციაში.

საკურორტო კომპლექსების დაპროექტებისა და მშენებლობისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მოწინავე სამამულო და საზღვარგარეთული გამოცდილება, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს არქიტექტურის მაღალი დონე, მშენებლობის, ინჟინერული მოწყობილობის და კეთილმოწყობის ხარისხი და გამოყენებულ იქნეს თანამედროვე საშენ-მოსაპირკეთებელი მასალები.

6. დაწესდეს, რომ სამინისტროებსა და უწყებებს შესაბამის პროფკავშირთა ცენტრალურ, რესპუბლიკურ კომიტეტებთან ან პროფკავშირთა საბჭოებთან შეთანხმებით შეუძლიათ გააერთიანონ სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობებისა და ორგანიზაციების ძიერ სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდიდან, საწარმოთა ფონდიდან და სხვა არაცენტრალიზებული წყაროებიდან გამოყოფილი სახსრები და გადასცენ ისინი საკავშირო პროფსაბჭოს სახელშეკრულებო საწყისებზე მშენებარე სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებების, დასასვენებული სახლების, პანსიონატების დასაფინანსებლად, იმ ანგარიშით, რომ შემდგომ საკავშირო პროფსაბჭოსაგან ხელშეკრულების შესაბამისად მიიღონ ახლად აშენებული ჯანმრთელობის კერების საგზურები.

სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებების, დასასვენებელი სახლებისა და პანსიონატების, მათ შორის პროფესიულ დაავადებათა სამკურნალო (ფილტვების და ბრონქების გამტვერიანება, კანისა და ლორწოვანი გარსის ანთება, ვიბრაციული დაავადებანი და სხვ.) სპეციალიზებული სანატორიუმების მშენებლობა, გამონაკლისის სახით, შეიძლება აწარმოონ სამინისტროებმა ან უწყებებმა საკავშირო პროფსაბჭოსთან, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტეტთან და სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე. სამინისტროთა და უწყებათა მიერ აშენებული სანატორიუმების, დასასვენებელი სახლებისა და პანსიონატების საგზურებს ანაწილებენ ეს სამინისტროები ან უწყებანი შესაბამის პროფკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან ერთად.

პროფილაქტორიუმებისა და დასასვენებელი ბაზების მშენებლობა ამ მიზნებისათვის დადგენილი წესით გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე შეიძლება აწარმოონ საწარმოებმა და ორგანიზაციებმა დასვენების ადგილობრივ ზონებში, რომლებსაც გამოჰყოფენ ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, სამხარეო საბჭოების აღმასკომები, ხოლო ოლქებად დაუყოფელ მოკავშირე რესპუბლიკებში—მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები ან, მათი დავალებით, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული საბჭოების აღმასკომები. აღნიშნული პროფილაქტორიუმები და დასასვენებელი ბაზები ბალანსში რჩებათ მათ ამშენებელ საწარმოებსა და ორგანიზაციებს.

მიზანშეუწონლად იქნეს მიჩნეული, რომ ჩვენი ქვეყნის კურორტებზე სანატორიუმები, პანსიონატები და სხვა დასასვენებელი დაწესებულებანი აშენონ ცალკეულმა სახელმწიფო საწარმოებმა და კოლმეურნეობებმა.

7. დაევალოთ რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს, ლიტვის სსრ მინისტრთა საბჭოს, ლატვიის სსრ მინისტრთა საბჭოს, სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს, თურქმენეთის სსრ მინისტრთა საბჭოს და ესტონეთის სსრ მინისტრთა საბჭოს საკავშირო პროფსაბჭოს მონაწილეობით ძოაწყონ 1971 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მიწის იმ ნაკვეთების ინვენტარიზაცია საერთო-საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის კურორტებზე, რომლებიც მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების გადაწყვეტილებით გამოყოფილია ახალ სანატორიულ-საკურორტო და ტურისტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა მშენებლობისა და მოქმედ დაწესებულებათა რეკონსტრუქცია-გაფართოებისათვის (თუ ამ ნაკვეთებზე მშენებლობა არ დაწყებულა, ან არ დამთავრებულა), ამასთან გაითვალისწინონ აუთვისებელი ტერიტორიის უფრო რაციონალური გამოყენება.

8. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა საკავშირო პროფსაბჭოსა და სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან ერთად შეიმუშაონ და დაამტკიცონ იმ პირველი რიგი ღონისძიებათა ნუსხა, რომლებიც უნდა განხორციელდეს საერთოდ კურორტების, და უწინარეს ყოვლისა, საერთო-საკავშირო მნიშვნელობის კურორტების სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ამასთან გაითვალისწინონ, რომ ეს ღონისძიებანი განახორციელონ უახლოეს წლებში იმ სახსრების გამოყენებით, რომლებიც ამ მიზნით, დადგენილი წესის შესაბამისად, შეუძლიათ გამოჰყონ დაინტერესებულმა სამინისტროებმა და უწყებებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. მიღებულ იქნეს საკავშირო პროფსაბჭოს წინადადება იმის შესახებ, რომ პროფკავშირთა კურორტების მართვის ცენტრალურ საბჭოს დაეკისროს სანატორიულ-საკურორტო და გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, — საქმიანობის კოორდინაციის მოვალეობანი, კერძოდ, იმ ნაწილში, რომელიც შეეხება სამკურნალო საშუალებათა და საკურორტო ფაქტორების გამოყენებას და სანატორიულ-საკურორტო რეჟიმის ორგანიზაციას.

10. სსრ კავშირის სახმშენთან არსებულმა სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტმა მოკავშირე რესპუბლიკების სახმშენებთან ერთად, საკავშირო პროფსაბჭოსა და სსრ კავშირის დაინტერესებულ სამინისტრო-უწყებებთან შეთანხმებით დაამტკიცოს 1970 წელს იმ საპროექტო ორგანიზაციათა ნუსხა, რომლებმაც უნდა შეასრულონ კურორტების დაგეგმარება-განაშენიანების საპროექტო სამუშაოები, აგრეთვე სანატორიუმების, პანსიონატების, დასასვენებელი სახლებისა და სხვა საკურორტო დაწესებულებათა დაპროექტების სამუშაოები, ამასთან განსაზღვროს მთავარი ინსტიტუტები, ქვეყნის ზონების მიხედვით, აღნიშნულ სამუშაოთა კოორდინაციისა და ამ ზონებში სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებებისა და დასასვენებელი სახლების დაპროექტებისადმი კონტროლის გაწევისათვის.

11—13. საოქმოდ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ა. კოსიგინი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი.**

№ 5
ეროვნული
ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
1970 წლის 28 აგვისტოს № 723
დადგენილების დანართი

ნუსხა

საერთო-საკავშირო მნიშვნელობის კურორტებისა

რუსეთის სფსრ

კრასნოდარის მხარის შავისზღვისპირა კურორტები
კურორტი კისლოვოდსკი
კურორტი ესენტუკი
კურორტი პიატიგორსკი
კურორტი ჟელეზნოვოდსკი
კურორტი ნალჩიკი
კურორტი სერგიევსკის მინერალური წყლები, კუიბიშევის ოლქი
კურორტი ბელოკურიხა, ალტაის მხარე
ლენინგრადის ფინეთისყურისპირა საკურორტო ზონა
კურორტი შმაკოვკა, ზღვისპირეთის მხარე

უკრაინის სსრ

ყირიმის შავიზღვისპირა კურორტები
კურორტი საკი
კურორტი ტრუსკავეცი
კურორტი მორშინი
ოდესის კურორტების ჯგუფი
კურორტი ბერდიანსკი

საქართველოს სსრ

კურორტები ქობულეთი, გაგრა, ბიჭვინთა, ახალი ათონი
კურორტი ბორჯომი
კურორტი წყალტუბო

აზერბაიჯანის სსრ

კურორტი ნაფთალანი
კურორტი ისტი-სუ
დასავლეთ კასპიისზღვისპირა საკურორტო ზონა

ლატვიის სსრ

კურორტი კემერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყირგიზეთის სსრ

ისიკ-ყულის საკურორტო რაიონი

სომხეთის სსრ

კურორტი ჯერმუკი

თურქმენეთის სსრ

კურორტი ბაირამ-ალი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი.**

107 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველოს თანდართული დებულება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 7 ოქტომბერი, № 542

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1970 წლის 7 ოქტომბრის № 542
დადგენილებით

დებულება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველოს შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველო (საქმონტაჟსპეცმშენი) საკავშირო-რესპუბლიკური ორგანოა და ექვემდებარება როგორც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ისე სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტროს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველო ხელმძღვანელობს სახალხო მეურნეობაში ტექნოლოგიური მოწყობილობის, ლითონის კონსტრუქციათა, ელექტროტექნიკური, სანიტარიულ-ტექნიკური და სავენტილაციო მოწყობილობის დამონტაჟების სამუშაოთა, თბოიზოლაციის, სამრეწველო კავშირგაბმულობის და სხვა იმ სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მოწყობას და განხორციელებას, რომლებიც გათვალისწინებულია გეგმით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველო პასუხს აგებს ქვესაუწყებო ორგანიზაციათა ძიერ განხორციელებულ სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მოწყობისა და ტექნიკური დონისათვის, საწარმოო სიმძლავრეებისა და ობიექტების ამოქმედების დავალებათა დროული შესრულებისათვის, სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა ხარისხისათვის და სახარჯთაღრიცხვო ღირებულების დაცვისათვის, აგრეთვე სამშენებელო ინდუსტრიის მდგომარეობის, განვითარებისა და სამშენებლო-სამონტაჟო და სპეციალიზებულ ორგანიზაციების სიმძლავრეთა გადიდებისათვის დამტკიცებული გეგმის შესაბამისად.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველოს მთავარი ამოცანებია:

შეასრულოს საწარმოო სიმძლავრეებისა და ობიექტების ამოქმედების დავალებანი, საიჯარო და სუბსაიჯარო სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა გეგმები, აგრეთვე უზრუნველყოს სახელმწიფო დისციპლინის მტკიცედ დაცვა;

აამაღლოს სამშენებლო-სამონტაჟო წარმოების ეფექტიანობა და გააუმჯობესოს ძირითადი ფონდების, შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების გამოყენება;

განახორციელოს შემდგომი ინდუსტრიალიზაცია, სრულყოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა ორგანიზაცია და ტექნოლოგია, განავითაროს სამშენებლო-სამონტაჟო და სპეციალიზებულ ორგანიზაციათა საწარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვოო ბაზა, აამაღლოს ამ მიზნით გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობა, განახორციელოს სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა და სამრეწველო საწარმოთა სპეციალიზაცია, აგრეთვე სამინისტროს სისტემის საწარმოთა კოოპერირება;

უზრუნველყოს შრომისნაყოფიერების ზრდა, სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირება;

განუხრელად აამაღლოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა ხარისხი, აგრეთვე შეამციროს მათი ხანგრძლივობა;

გაატაროს ერთიანი ტექნიკური პოლიტიკა საქმონტაჟსპეცმშენის სისტემის ორგანიზაციათა მიერ განხორციელებულ სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა წარმოებაში, დანერგოს მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები და მოწინავე გამოცდილება, უზრუნველყოს წარმოების მაღალი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები;

დანერგოს შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაცია, უზრუნველყოს საქმონტაჟსპეცმშენის სისტემის ორგანიზაციები, საწარმოები და დაწესებულებანი მუდმივი კვალიფიციური კადრებით, შექმნას პირობები იმისათვის, რომ რაც შეიძლება უკეთ გამოიყენოს მუშაკთა ცოდნა და გამოცდილება, დააწინაუროს ხელმძღვანელ სამუშაოზე ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი;

გაუუმჯობესოს საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები საქმონტაჟსპეცმშენის სისტემის ორგანიზაციათა, საწარმოთა და დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებს, უზრუნველყოს მათი შრომის უსაფრთხო პირობები, დანერგოს საწარმოო ტრავმატიზმის თავიდან აცილების ახალი საშუალებანი და ხერხები.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველო უზრუნველყოფს ხელმძღვანელობის ეკონომიური და ადმინისტრაციული მეთოდების სწორ შეხამებას, ისეთი ეკონომიური ბერკეტების მაქსიმალურ გამოყენებას, როგორიცაა მოგება, ფასი, პრემია და კრედიტი, მართვის ეფექტიანი სისტემების დანერგვას, მართვის სტრუქტურის და ორგანიზაციული ფორმების სრულყოფას.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველო უზრუნველყოფს ხელმძღვანელი სამეურნეო, ინჟინერული და მეცნიერული კადრების შერჩევის, დაწინაურებისა და განაწილების ლენინური პრინციპების განხორციელებას, ძირითად ყურადღებას აქცევს იმის შემოწმებას და კონტროლს, თუ როგორ ასრულებენ ხელმძღვანელი მუშაკები პარტიისა და მთავრობის დირექტივებსა და გადაწყვეტილებებს, ეწევა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მონაწილეობით მუშაობას, რათა აღზარდოს კადრები შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, სახელმწიფო ინტერესებისა და დისციპლინის მკაცრად დაცვის სულისკვეთებით, უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წარმოების აღმავლობის მატერიალური და მორალური სტიმულების სწორ შეხამებას და ყოველი მუშაკის პასუხისმგებლობის ამაღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებას მისთვის დაკისრებული საქმისა და კოლექტივის საერთო შედეგებისათვის.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამონტაჟო სამუშაოთა სამმართველო უძღვება ორგანიზაციებს, საწარმოებსა და დაწესებულებებს უშუალოდ თვითონ ან დადგენილი წესით შექმნილი ორგანოების მეშვეობით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველო, სამშენებლო ინდუსტრიის, სამშენებლო, სამონტაჟო, ამმოქმედებელ-გამმართავი საწარმოები, სატრანსპორტო მეურნეობანი და სხვა ქვესაუწყებო ორგანიზაციები, საწარმოები და დაწესებულებანი ქმნიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველოს ერთიან სისტემას.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველო წყვეტს თავისი დარგის ყველა საკითხს მინიჭებული უფლებების ფარგლებში, და შეუძლია მის კომპეტენციაში შემავალი ცალკეული საკითხების გადაწყვეტა დაავალოს ქვესაუწყებო ორგანიზაციებს, საწარმოებსა და დაწესებულებებს.

სამმართველო მოვალეა მკაცრად დაიცვას ქვესაუწყებო ორგანიზაციების, საწარმოებისა და დაწესებულებების უფლებანი, რომლებიც გათვალისწინებულია სოციალისტური სახელმწიფო სამრეწველო საწარმოს დებულებით და მოქმედი კანონმდებლობის სხვა აქტებით, და ყოველი ღონისძიებით შეუწყოს ხელი მათი სამეურნეო დამოუკიდებლობისა და ინიციატივის განვითარებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველო ქმნის, გარდაქმნის და აუქმებს საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს დადგენილი წესით.

სამმართველო თავისი საქმიანობით ამყარებს კონტაქტს და მჭიდრო თანამშრომლობას რესპუბლიკის სხვა სამინისტროებთან და უწყებებთან დარგთშორისი საკითხების შემუშავებასა და გადაწყვეტაში.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველო უზრუნველყოფს მართვის დემოკრატიული საწყისების განვითარებას, ქმნის პირობებს მშრომელებისა და მათი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინიციატივის გამოვლენისა და აქტიური მონაწილეობისათვის, რათა გაუმჯობესდეს წარმოება და აღმოიფხვრას საქმონტაჟ-სპეცმშენისა და მისი ქვესაუწყებო ორგანიზაციების, საწარმოებისა და დაწესებულებების საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებანი.

მუშებისა და მოსამსახურეების შრომის და ყოფაცხოვრების საკითხებს სამმართველო წყვეტს საბჭოთა და პროფკავშირული ორგანოების წინადადებათა გათვალისწინებით, ხოლო იმ შემთხვევებში, რომლებიც გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით, — ამ ორგანოებთან ერთად ან მათთან შეთანხმებით.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით, აგრეთვე სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტროს ბრძანებებითა და ინსტრუქციებით და სხვა სანორმატივო აქტებით, ამ დებულებით, და უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორად შეფარდებას საქმონტაჟსპეცმშენის სისტემის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში.

სამმართველო განაზოგადებს კანონმდებლობის შეფარდების პრაქტიკას იმ საკითხებში, რომლებიც მის კომპეტენციას განეკუთვნება, შეიმუშავებს წინადადებებს მისი სრულყოფისათვის და შეაქვს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტროს განსახილველად.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველო მასზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) განსაზღვრავს იმ სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა განვითარებისა და სრულყოფის ძირითად მიმართულებებს, რომლებსაც ასრულებენ ქვესაუწყებო ორგანიზაციები;

ბ) განსაზღვრავს სახალხო მეურნეობის განვითარების საკონტროლო ციფრების საფუძველზე და აცნობებს ქვესაუწყებო ორგანიზაციებს, საწარმოებს და დაწესებულებებს პერსპექტიული და წლიური გეგმების ციფრებს;

გ) შეიმუშავებს სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრებისა და საქმონტაჟსპეცმშენის სისტემის საწარმო-ორგანიზაციათა მიერ წარმოდგენილი გეგმების პროექტების საფუძველზე სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა განვითარების პერსპექტიული და წლიური გეგმების პროექტებს და წარადგენს დასამტკიცებლად დადგენილი წესის თანახმად;

დ) განიხილავს ქვესაუწყებო ორგანიზაციათა, საწარმოთა, დაწესებულებათა მონაწილეობით და დაუმტკიცებს მათ პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს დადგენილი მაჩვენებლების მიხედვით სახალხო-სამეურნეო გეგმის დავალებათა შესაბამისად, ამასთან უზრუნველყოფს ამ გეგმების ყველა ნაწილის და მაჩვენებლის შესაბამისობას;

ე) საჭიროების შემთხვევაში შეუცვლის დადგენილი წესით ქვესაუწყებო ორგანიზაციებს, საწარმოებსა და დაწესებულებებს წარმოების, სამუშაოთა მოცულობის, კაპიტალური მშენებლობის, შრომისა და ხელფასის და სხვა მაჩვენებლების დავალებებს იმ საგეგმო დავალებათა ფარგლებში, რომლებიც დაწესებულია სამმართველოსათვის;

ვ) უზრუნველყოფს დაწესებული გეგმების შესრულებას საქმონტაჟსპეცმშენის სისტემის ყველა ორგანიზაციის საწარმოთა და დაწესებულების მიერ;

ზ) უზრუნველყოფს, რომ საქმონტაჟსპეცმშენის სისტემის ორგანიზაციები დროულად ასრულებდნენ სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა გეგმებს, უწინარეს ყოვლისა ასამოქმედებელ მშენებლობებზე და კომპლექ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სებში, აგრეთვე იმ ობიექტებზე, რომლებიც შენდება უცხოური ლიცენზიების გამოყენებით და იმპორტული კომპლექტური მოწყობილობის ბაზაზე.

საწარმოო სიმძლავრეებისა და ობიექტების დროული ამოქმედების უზრუნველსაყოფად სამმართველო ეწევა სამონტაჟო საშუალებების, აგრეთვე რესპუბლიკის მშენებლობებზე დასაქმებული სამშენებლო-სამონტაჟო და სპეციალიზებულ ორგანიზაციათა კადრების მანევრირებას;

თ) ორგანიზაციას უწევს იმ სამუშაოთა პროექტების შემუშავებას და პროექტების სპეციალური ნაწილების შემუშავებას, რომლებსაც ახორციელებენ საქმონტაჟსპეცმშენის სისტემის სამშენებლო-სამონტაჟო და სპეციალიზებული ორგანიზაციები. უზრუნველყოფს შესრულებული სამონტაჟო და სპეციალური სამშენებლო სამუშაოების შესრულებისათვის ანგარიშსწორების პროგრესული ფორმების დანერგვას;

ი) შეიმუშავებს საქმონტაჟსპეცმშენის სისტემის საწარმო-ორგანიზაციათა განვითარებისა და განლაგების სქემებს, უთანხმებს მათ სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტროს, აგრეთვე ახორციელებს მუშაობას ამ საწარმოთა და ორგანიზაციათა სტრუქტურისა და ქსელის გაუმჯობესებისათვის; დადგენილი წესით ქმნის, გარდაქმნის და აუქმებს საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს სამმართველოსათვის მინიჭებული უფლებებისა და დაწესებული შრომის გეგმის ფარგლებში, ამტკიცებს სამმართველოს საწარმოთა წესდებებს, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა დებულებებს (წესდებებს);

კ) მონაწილეობს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ მშენებლობათა სატიტულო სიების განხილვისას და სახალხო მეურნეობის დარგების სიმძლავრეებისა და ობიექტების ამოქმედების ვადების შეთანხმებისას;

ლ) ახორციელებს ღონისძიებებს, რათა გაუმჯობესდეს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა ხარისხი, დაინერგოს მშენებლობებზე სამუშაოთა წარმოების პროგრესული პროექტები და მოწინავე ტექნოლოგია, ამაღლდეს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მექანიზაციის დონე და ეფექტიანად იქნეს გამოყენებული მანქანები ამ სამუშაოებზე, განხორციელდეს სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა გამსხვილება და სპეციალიზაცია;

მ) უზრუნველყოფს საქმონტაჟსპეცმშენის საწარმოებში დამტკიცებული გეგმების შესაბამისად ლითონის, ელექტროტექნიკური, სანიტარიულ-ტექნიკური და სხვა იმ კონსტრუქციების, ნამზადებისა და ნაკეთობების წარმოებას რაც საჭიროა სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა გასახორციელებლად, აგრეთვე ეწევა მუშაობას აღნიშნულ კონსტრუქციათა, ნამზადთა და ნაკეთობათა ტიპიზაციისათვის;

ნ) უზრუნველყოფს სამუშაოთა წარმოებას საქმონტაჟსპეცმშენის სისტემის ორგანიზაციებისა და საწარმოების ძალებით პროექტების, სამშენებლო ნორმებისა და წესების, სახელმწიფო სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების შესაბამისად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ო) ორგანიზაციას უწევს საშენ მასალათა, ნაკეთობათა და კონსტრუქციათა გადაზიდვას ტექნოლოგიური და სხვა სპეციალიზებული ტრანსპორტით;

პ) ხელმძღვანელობს მუშაობას, რათა ქვესაუწყებო ორგანიზაციებმა დადონ სამონტაჟო და სპეციალური სამშენებლო სამუშაოების საიჯარო და სუბსაიჯარო ხელშეკრულებანი, უზრუნველყოფს ამ ხელშეკრულებათა როლის ამაღლებას;

ჟ) ახორციელებს ლითონკონსტრუქციების, არატიპობრივი არასტანდარტიზებული ნაკეთობებისა და კვანძების, სამონტაჟო ნაკეთობათა კომპლექტურ მიწოდებას;

რ) ამტკიცებს ან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დასამტკიცებლად წარადგენს საქმონტაჟსპეცმშენის სისტემის საწარმოთა და ორგანიზაციათა პროდუქციის და მომსახურების ფასებს და ტარიფებს; კონტროლს უწევს იმას, თუ რამდენად სწორად იყენებენ ფასებს და ტარიფებს ქვესაუწყებო ორგანიზაციები, საწარმოები და დაწესებულებანი;

ს) ხელმძღვანელობს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარების საქმეს, შეიმუშავებს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის პერსპექტიულ და მიმდინარე თემატიკურ გეგმებს, უზრუნველყოფს გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვას, ამ სამუშაოს საქმონტაჟსპეცმშენი ეწევა მშენებლობის და საშენ მასალათა მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან და გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სრულიად საკავშირო საზოგადოების საქართველოს საბჭოსთან ერთად.

ორგანიზაციას უწევს მეცნიერულ-ტექნიკურ ინფორმაციას, უზრუნველყოფს, რომ დადგენილი წესით მომზადდეს და გამოიცეს დარგობრივი სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურა;

ტ) უზრუნველყოფს საბჭოური და უცხოური საპატენტო მასალების ფართო შესწავლას და გამოყენებას ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შემუშავებისას და არსებულის სრულყოფისას; უზრუნველყოფს, რომ ორგანიზაციებმა და საწარმოებმა დადგენილი წესით წარადგინონ განაცხადები სსრ კავშირში საავტორო მოწმობების გასაცემად და, საჭიროების შემთხვევაში, გამოგონებათა პატენტის ასაღებად საზღვარგარეთ; შეიმუშავებს და სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტროს წარუდგენს წინადადებებს იმის შესახებ, რომ საზღვარგარეთ შესყიდულ იქნეს ტექნიკურ-ეკონომიური თვალსაზრისით ყველაზე პროგრესული მანქანა-მოწყობილობის, მასალების და ტექნოლოგიური პროცესების ლიცენზიები, უზრუნველყოფს შესყიდული ლიცენზიებით პროდუქციის წარმოების უსწრაფეს ათვისებას;

უ) ორგანიზაციას უწევს ძირითადი ფონდების კაპიტალურ რემონტს, ამასთან უზრუნველყოფს მოწყობილობის მოდერნიზაციას, ტექნიკური დონის და მწარმოებლურობის ამაღლებას, აგრეთვე შენობა-ნაგებობათა ტექნიკური და საექსპლოატაციო მდგომარეობის გაუმჯობესებას; ახორციელებს ღონისძიებებს რემონტის ხარისხის გაუმჯობესებისა და გაიაფებისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფ) ეწევა კაპიტალურ მშენებლობას, უზრუნველყოფს, რომ ეფექტიანად იქნეს გამოყენებული კაპიტალური დაბანდებანი, რაციონალურად განლაგდეს ახალი მშენებლობა, კაპიტალური დაბანდებანი უწინარეს ყოვლისა მოხმარდეს მოქმედ საწარმოთა ხელახალ ტექნიკურ შეიარაღებას, კაპიტალური დაბანდებანი თავმოყრილ იქნეს ასამოქმედებელ მშენებლობებზე და შემცირდეს დაუმთავრებელი მშენებლობა;

ქ) შეიმუშავებს და ამტკიცებს დადგენილი წესით მშენებლობათა და საპროექტო-საძიებო სამუშაოთა სატიტულო სიებს; უზრუნველყოფს საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დროულ შემუშავებას, დამტკიცებას და მშენებლობებისათვის მიცემას, ახორციელებს კონტროლს საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ხარისხისადმი და მშენებლობის დამტკიცებული სახარჯთაღრიცხვო ღირებულების დაცვისადმი, აგრეთვე ტექნიკურ ზედამხედველობას სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა და მშენებარე ობიექტებისათვის მიწოდებული მოწყობილობის ხარისხისადმი; უწევს საავტორო მეთვალყურეობას მშენებლობას;

უზრუნველყოფს საკუთარ კაპიტალურ მშენებლობათა დაფინანსებას და მომარაგებას იმ მოწყობილობით, მასალებითა და ნაკეთობებით, რომელთა მიწოდება შემკვეთს ეკისრება; შეიმუშავებს ღონისძიებებს მშენებლობაში შინარეზერვების მობილიზაციისათვის და კონტროლს უწევს მათს შესრულებას.

უზრუნველყოფს საწარმოო სიმძლავრეებისა და ძირითადი ფონდების დროულ ამოქმედებას, აგრეთვე საწარმოო სიმძლავრეთა ათვისებას მოკლე ვადაში.

ნიშნავს თავის კომპეტენციის ფარგლებში მშენებლობადამთავრებული საწარმოების, შენობებისა და ნაგებობების საექსპლოატაციოდ მიმღებ სახელმწიფო კომისიებს, ამტკიცებს მათი მიღების აქტებს და გამოაქვს გადაწყვეტილებანი სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო კრებსითი ანგარიშების დახურვის შესახებ;

ღ) განსაზღვრავს საქმონტაჟსპეცმშენის სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მოთხოვნილებას ნედლეულზე, სათბობზე, მოწყობილობასა და სხვა მატერიალურ რესურსებზე; ანაწილებს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ხელახლა ეწევა სამმართველოსათვის გამოყოფილი მატერიალური რესურსების ფონდების გადანაწილებას, ახორციელებს კონტროლს მათი რეალიზაციისადმი, უზრუნველყოფს, რომ სამმართველოს სისტემის საწარმო-ორგანიზაციებმა სწორად შეინახონ და გამოიყენონ მასალები, სათბობი, მოწყობილობა და სხვა მატერიალური რესურსები, იღებს ზომებს ზედმეტი და გამოუყენებელი მატერიალური რესურსების რეალიზაციისათვის; შეიმუშავებს და ახორციელებს ღონისძიებებს მასალების, ნედლეულისა და სათბობის მომჭირნედ ხარჯვისათვის, საწარმოო დანაკარგების შემცირებისათვის და სხვა იმ ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ მატერიალური რესურსების ეფექტიანად გამოყენებას;

ყ) ახორციელებს ღონისძიებებს, რათა განამტკიცოს სამეურნეო ანგარიში, აამაღლოს საქმონტაჟსპეცმშენის საწარმო-ორგანიზაციათა რენტაბელობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მაქსიმალურად გაადიდოს მათი დაგროვება, ეფექტიანად გამოიყენოს ძირითადი ფონდები, საბრუნავი საშუალებანი და ბანკის კრედიტები.

აფინანსებს დადგენილი წესით საქმონტაჟსპეცმშენის საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, ხელმძღვანელობს მათს საფინანსო საქმიანობას, ახორციელებს კონტროლს სამმართველოს სისტემაში ფინანსური რესურსების სწორად გამოყენებისადმი.

უზრუნველყოფს ქვესაუწყებო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ საფინანსო გეგმების შესრულებას, საკუთარ საბრუნავ საშუალებათა დაცვას, დროულ ანგარიშსწორებას მუშა-მოსამსახურეებთან, ბიუჯეტთან, მიმწოდებლებთან, ბანკებთან, თვალყურს ადევნებს სახსრების გამოყენებას საფინანსო გეგმით გათვალისწინებული სხვა მიზნებისათვის; ქმნის დადგენილი წესით ცენტრალიზებულ ფონდებს, აგრეთვე რეზერვს საწარმო-ორგანიზაციებისათვის ფინანსური დახმარების გასაწევად;

შ) ამტკიცებს სამმართველოს განყოფილებათა ანგარიშებს და ტრესტების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ბალანსებს, ადგენს კრებსით ანგარიშებსა და ბალანსებს საქმონტაჟსპეცმშენის საქმიანობის სახეობათა მიხედვით;

ჩ) ორგანიზაციას უწევს საქმონტაჟსპეცმშენის სისტემაში საკონტროლო-სარევიზიო მუშაობას, უზრუნველყოფს რევიზიების რეგულარულ მოწყობას, ეკონომიკის მდგომარეობის ყოველმხრივ ანალიზს, ფულადი სახსრების და მატერიალურ ფასეულობათა დაცვა-შენახვის, მომჭირნეობის რეჟიმის დაცვის შემოწმებას; ახორციელებს კონტროლს სამმართველოს სისტემის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში აღრიცხვა-ანგარიშგების სწორად წარმოებისა და სინამდვილისადმი, აგრეთვე ღონისძიებებს სახელმწიფო საკუთრების დაცვისათვის, მისი მოფრთხილებისა და მიყენებული მატერიალური ზარალის დროული ანაზღაურებისათვის;

ც) აწყობს პირველადს აღრიცხვას საქმონტაჟსპეცმშენის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, იღებს დადგენილი წესით სტატისტიკურ და საბუღალტრო ანგარიშგებას, ახორციელებს ღონისძიებებს სააღრიცხვო სამუშაოთა ცენტრალიზაციისათვის, აღრიცხვის პროგრესული მეთოდების დანერგვისათვის;

ძ) განსაზღვრავს მოთხოვნილებას და უზრუნველყოფს სამმართველოს სისტემის საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს კვალიფიციური კადრებით, ორგანიზაციას უწევს კადრების მომზადებას და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას; სწავლობს კადრებს, უზრუნველყოფს ძველი გამოცდილი კადრებისა და ახალი უნარიანი მუშაკების შეხამებას; ქმნის პირობებს იმისათვის, რომ ხელმძღვანელ სამუშაოზე დააწინაურონ პოლიტიკურად მომწიფებული სპეციალისტები, რომლებმაც კარგად იციან თავიანთი საქმე და მოხვეჭილი აქვთ კოლექტივის ავტორიტეტი და ნდობა; იღებს ზომებს ახალგაზრდა სპეციალისტთა რაციონალურად გამოყენებისათვის და ახორციელებს ღონისძიებებს მუდმივი კადრების შესაქმნელად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

წ) შეიმუშავებს შრომის მეცნიერული ორგანიზაციის სრულყოფის ძირითად მიმართულებებს და ხელმძღვანელობს მუშაობას, რათა საქმონტაჟსპეცშენის ორგანიზაციებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში დაინერგოს შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაცია. უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხო პირობების შექმნას სამმართველოს სისტემის საწარმო-ორგანიზაციებში, უსაფრთხოების ტექნიკის, სახანძრო უსაფრთხოების წესების და საწარმოო სანიტარიის მოთხოვნების მკაცრად დაცვას; ახორციელებს ღონისძიებებს სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების მოქმედი საშუალებებისა და მეთოდების სრულყოფისა და ახლის შექმნისათვის, პროფესიულ დაავადებათა პროფილაქტიკისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლისათვის, მონაწილეობს უსაფრთხოების ტექნიკის წესებისა და მეთოდების შემუშავებაში;

პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად აწყობს მუშაობას გამომუშავების (მომსახურების) ნორმების გადასასინჯად საქმონტაჟსპეცმშენის ორგანიზაციებსა და საწარმოებში და ახორციელებს სხვა ღონისძიებებს შრომის ნორმირების სრულყოფისათვის.

შეიმუშავებს წინადადებებს ქვესაუწყებო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების შესახებ;

უზრუნველყოფს შრომის ანაზღაურებისა და პრემირების მოქმედი პირობების სწორ გამოყენებას, აგრეთვე სწორ თანაფარდობას შრომისნაყოფიერების ზრდასა და ხელფასის ზრდას შორის; ახორციელებს კონტროლს ხელფასის ფონდებისა და წასახალისებელი ფონდების ხარჯვისადმი.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უწესებს და უცვლის თანამდებობრივ სარგოს სამმართველოს ცენტრალური აპარატის მუშაკებს, ამასთან იცავს თანამდებობრივი სარგოს სქემებს და საშუალო თანამდებობრივი განაკვეთის საფუძველზე გამოანგარიშებული ხელფასის ფონდის ფარგლებს;

ჭ) პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად:

ხელმძღვანელობს კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადებას და ახორციელებს კონტროლს მათი შესრულებისადმი;

უზრუნველყოფს საქმონტაჟსპეცმშენის ორგანიზაციების, საწარმოებისა და დაწესებულებების მუშაკთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, აგრეთვე გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა განხორციელებას;

აწყობს სოციალისტურ შეჯიბრებას, ამტკიცებს სამმართველოს ორგანიზაციათა და საწარმოთა რესპუბლიკური შეჯიბრების პირობებს, ხელს უწყობს კომუნისტური შრომისათვის, წარმოების მაღალი კულტურისათვის მოძრაობის განვითარებას. აჯამებს სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს და გამარჯვებულ კოლექტივებს ანიჭებს გარდამავალ წითელ დროშებსა და ფულად პრემიებს, ანიჭებს საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებს კომუნისტური შრომის კოლექტივის წოდებას; ორგანიზაციას უწევს შრომის მოწინავე მეთოდებისა და მოწინავე გამოცდილების შესწავლას, განზოგადებასა და გავრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცელებას; დადგენილი წესით აჯილდოებს სამმართველოს სისტემის მოწინავე მუშაკებს სამკერდე ნიშნებითა და საპატიო სიგელებით, იყენებს სხვა სახის წახალისებას.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველო თავის მუშაობას წარმართავს კოლეგიურობისა და ერთმმართველობის შეხამების საფუძველზე დარგის ხელმძღვანელობის ყველა საკითხის განხილვა-გადაწყვეტაში, ამასთან ზუსტად განსაზღვრავს თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობას მინდობილ სამუშაო უბანზე საქმეთა მდგომარეობისა და გარკვეულ დავალებათა შესრულებისათვის.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველოს სათავეში უდგას უფროსი, რომელსაც, საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად, ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, ხოლო სესიებს შორის პერიოდში—საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელიც შემდგომ წარუდგენს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველოს უფროსს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. უფროსის მოადგილეებს შორის ძოვალეობებს ანაწილებს სამმართველოს უფროსი.

12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველოს უფროსი პერსონალურად აგებს პასუხს სამმართველოზე დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობების შესრულებისათვის, განსაზღვრავს სამმართველოს უფროსის მოადგილეთა და სხვა ქვეგანყოფილებათა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობას საქმონტაჟსპეცმშენის სისტემის ორგანიზაციების, საწარმოებისა და დაწესებულებების საქმიანობისათვის.

13. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველოს უფროსი სამმართველოს კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მოქმედი კანონების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა და განკარგულებათა, აგრეთვე სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტროს ბრძანებებისა და ინსტრუქციების საფუძველზე და შესასრულებლად ბრძანებებს და ინსტრუქციებს და იძლევა მითითებებს, რომლებიც სავალდებულოა საქმონტაჟსპეცმშენის სისტემის ორგანიზაციების, საწარმოების და დაწესებულებების მიერ შესასრულებლად, და ამოწმებს მათს შესრულებას.

საჭიროების შემთხვევაში სამმართველოს უფროსი სხვა სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებთან ერთად გამოსცემს ერთობლივ ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

14. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველოში იქმნება კოლეგია, რომელშიც შედიან სამმართველოს უფროსი (თავმჯდომარე) და სამმართველოს უფროსის მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილები თანამდებობის მიხედვით, აგრეთვე სამმართველოს სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

სამმართველოს კოლეგიის წევრებს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

15. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველოს კოლეგია თავის სხდომებზე, რომლებიც რეგულარულად იმართება, განიხილავს ქვესაუწყებო ორგანიზაციებისა და საწარმოების საწარმოო-საფინანსო საქმიანობის, სამშენებლო, სამონტაჟო წარმოების განვითარებისა და სრულყოფის, სამშენებლო-სამონტაჟო და სპეციალიზებულ ორგანიზაციათა საწარმოო ბაზის განვითარებისა და სრულყოფის ძირითად საკითხებს და სამმართველოს საქმიანობის სხვა საკითხებს, განიხილავს საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევისა და გამოყენების საკითხებს, უმნიშვნელოვანესი ბრძანებებისა და ინსტრუქციების პროექტებს, ისმენს სამმართველოს განყოფილებათა, საქმონტაჟსპეცმშენის სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ანგარიშებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ხორციელდება, როგორც წესი, სამმართველოს უფროსის ბრძანებებით. სამმართველოს უფროსსა და კოლეგიას შორის უთანხმოების შემთხვევაში სამმართველოს უფროსი ახორციელებს თავის გადაწყვეტილებებს, ამასთან წამოჭრილ უთანხმოებას მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს, თავის მხრივ, შეუძლიათ თავიანთი შეხედულება აცნობონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

16. სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა ინდუსტრიალიზაციის, ამ სამუშაოთა ორგანიზაციისა და ტექნოლოგიის სრულყოფის ძირითად საკითხებსა და სხვა ტექნიკურ-ეკონომიურ საკითხებზე წინადადებების განსახილველად, საბჭოური და საზღვარგარეთული მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა და მოწინავე გამოცდილების გამოყენებისა და წარმოებაში დანერგვის რეკომენდაციათა შესამუშავებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველოში იქმნება სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო, რომელშიც შედიან თვალსაჩინო მეცნიერები, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, თავიანთი სისტემის წარმოების ნოვატორები, აგრეთვე სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა და სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლები, საზოგადოებრივ საწყისებზე.

სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს შემადგენლობას და დებულებას ამტკიცებს საქართველოს სსრ სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველოს უფროსი.

17. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველოს შეუძლია სამმართველოს ორგანიზაციათა, საწარმოთა და დაწესებულებათა შორის წამოჭრილი სამეურნეო დავის განსახილველად შექმნას საუწყებო არბიტრაჟი. სამმართველოს არბიტრაჟს უფლება ენიჭება გამოსცეს ბრძანებები თავის გადაწყვეტილებათა იძულებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესრულებინების შესახებ. არბიტრაჟის დებულებას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველოს უფროსი.

18. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველო დადგენილი წესით იწვევს აქტივის თათბირს საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მონაწილეობით, რომელზეც ისმენს და განიხილავს მოხსენებებს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების ღონისძიებათა შესახებ, დარგის განვითარების უმნიშვნელოვანეს პრობლემებს, აგრეთვე განიხილავს გაშლილი კრიტიკისა და თვითკრიტიკის საფუძველზე საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია სამმართველოს და მისი ქვესაუწყებო ორგანიზაციების, საწარმოებისა და დაწესებულებების საქმიანობის გაუმჯობესებასთან.

19. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველო ორგანიზაციას უწევს მშრომელთა წერილების (განცხადებების და საჩივრების) დროულ და გულისხმიერ განხილვას. ამასთან იბრძვის მათში დასმული საკითხების სწორი გადაწყვეტისათვის, აგრეთვე იღებს ზომებს საქმონტაჟსპეცმშენის ორგანიზაციათა, საწარმოთა და დაწესებულებათა საქმიანობაში არსებულ იმ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რომელთა შესახებ იტყობინებიან მშრომელები თავიანთ წერილებში.

20. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველოს ცენტრალური აპარატის მუშაკთა სტრუქტურას და რიცხოვნობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

სამმართველოს ცენტრალური აპარატის საშტატო განრიგს, აგრეთვე სამმართველოს განყოფილებათა დებულებას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველოს უფროსი.

სამმართველოს უფროსს შეუძლია სამეურნეო ანგარიშზე გადაიყვანოს სამმართველოს განყოფილებანი.

21. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველოს აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და მისი სახელწოდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

108 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 17 ივლისის № 558 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

„მშენებლობაში ზედნადები ხარჯების ნორმების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 2 დეკემბრის № 950 დადგენილებასთან დაკავშირებით „სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 17 ივლისის № 558 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 10 ოქტომბრის № 1137 დადგენილება „მშენებლობაში ზედნადები ხარჯების ოდენობის შესახებ“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 18 მარტის № 196 დადგენილება „მშენებლობაში ზედნადები ხარჯების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 7 ოქტომბერი, № 543

109 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 20 ივლისის № 567 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

„საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 28 მაისის № 392 დადგენილებასთან დაკავშირებით „სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 20 ივლისის № 567 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. „ხე-ტყის დამზადების მექანიზაციისა, ტყის ახალი მასივების ათვისებისა და საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სამინისტროს მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური კადრების დასამაგრებლად აუცილებელი პირობების შექმნის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 2 სექტემბრის №953 დადგენილების მე-7 პუნქტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. „მუშათა მომარაგების განყოფილებების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 10 მარტის № 188 დადგენილების 24-ე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 7 ოქტომბერი, № 544

110 აკრძალულ კუსტარულ-ხელოსნური სარეწების ნუსხაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 21 თებერვლის № 113 დადგენილების პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის აბზაცი:

„აიკრძალოს რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფელ ადგილებში საფლავის ძეგლებისა და საფლავის ქვების დამზადებაზე სარეგისტრაციო მოწმობების გაცემა“.

ამასთან დაკავშირებით, აღნიშნული დადგენილების პირველი პუნქტის მეორე აბზაციდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „სასაფლაო ძეგლებისა და საფლავის ქვების დამზადებაზე . . .“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 8 ოქტომბერი, № 548

ეროვნული ბიბლიოთეკა

111 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 13 ივლისის № 537 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

„სსრ კავშირის ახალი ვეტერინარული წესდების დამტკიცებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 13 ივლისის № 537 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჭიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 16 ოქტომბერი, № 564

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1970 წლის 16 ოქტომბრის № 564
დადგენილებით

ნუსხა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა, რომლებმაც ძალა დაკარგეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 13 ივლისის № 537 დადგენილებასთან დაკავშირებით:

1. „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ 1946 წლის 29 მარტის „სამრეწველო სამინისტროთა სოფლის მეურნეობის განვითარების 1946 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ“ მიღებული № 705 დადგენილების განხორციელების ღონისძიებებზე“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 13 აპრილის № 61 დადგენილების მე-18 პუნქტი.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 5 აპრილის № 336 დადგენილება „ბრუცელოზის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“.

3. „საქზოოვეტმომარაგების საქონლის ზეგეგმითი ნაშთების რეალიზაციის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 27 დეკემბრის № 1771 დადგენილების მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

4. „ვეტერინარულ-სანიტარული საქმის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 4 ოქტომბრის № 1310 დადგენილების პირველი პუნქტის „ა“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები, მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი და მე-4 და მე-7 პუნქტები.

5. „პირუტყვისა და ფრინველის მიღება-გადამუშავების გაუმჯობესების ზომების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 25 ივლისის № 608 დადგენილების მე-4 პუნქტი.

6. „საქართველოს სს რესპუბლიკაში თევზსამეურნეო წყალსატევებისადმი სახელმწიფო ვეტერინარული ზედამხედველობის მოწყობის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 19 აპრილის № 240 დადგენილების პირველი და მესამე პუნქტები.

7. „საქართველოს სს რესპუბლიკაში ვეტერინარული საქმის გაუმჯობესებისა და ვეტერინარული კონტროლის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 8 თებერვლის № 56 დადგენილების პირველი პუნქტის მეორე აბზაცი, მე-2 პუნქტი, მე-7 პუნქტის მეორე აბზაცი, მე-16 პუნქტის პირველი, მესამე, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე და მერვე აბზაცები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

112 საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების (საქწყალმაშველი) წესდების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების (საქწყალმაშველი) თანდართული წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 16 ოქტომბერი, № 566

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1970 წლის 16 ოქტომბრის № 566
დადგენილებით

წესდება

საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოებისა (საქწყალმაშველი)

I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოება (საქწყალმაშველი) არის ნებაყოფლობითი მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომლის მიზანია დაიცვას ადამიანთა სიცოცხლე მდინარეებში, ტბებში, წყალსატევებში და შავიზღვისპირა უბნებში.

საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების საქმიანობას საფუძვლად უდევს ეს წესდება და ხორციელდება მჭიდრო კონტაქტში სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სახელმწიფო ორგანოების საქმიანობასთან.

2. საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების ძირითადი ამოცანებია:

ა) აქტიური მონაწილეობა მიიღებინოს ფართო საზოგადოებრიობას მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლეობას შორის განმარტებითს და ორგანიზატორულ მუშაობაში წყალში უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად;

ბ) ორგანიზაცია გაუწიოს საზოგადოების წევრთა და მისი აქტივის სწავლებას და მონაწილეობა მიაღებინოს მდინარეებში, ტბებში, წყალსატევებსა და ზღვისპირა უბნებში ადამიანთა სიცოცხლის დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში;

გ) დახმარება გაუწიოს და ყოველი ღონისძიებით შეუწყოს ხელი სახელმწიფო სამაშველო სამსახურს მასზე დაკისრებულ მოვალეობათა განსახორციელებლად; ორგანიზაცია გაუწიოს სამაშველო საქმის სპეციალისტთა მომზადებას;

დ) აქტიური მონაწილეობა მიიღოს მოსახლეობისათვის ცურვის მასობრივად სწავლებაში (სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის როგორც სავალდებულო პროფილაქტიკური ღონისძიება) და განახორციელოს წყალში გადარჩენის ხერხებისა და საშუალებათა სწავლების სისტემის კოორდინაცია;

ე) მონაწილეობა მიიღოს მოქალაქეთა კუთვნილი მცირე ზომის გემების რეგისტრაციისა და აღრიცხვის განხორციელებაში და კონტროლი გაუწიოს მათ ტექნიკურ მდგომარეობას, სწორ ექსპლოატაციასა და უსაფრთხო ნაოსნობას; შეიმუშაოს ამ გემებით სარგებლობის ტექნიკური და საექსპლოატაციო ნორმები და წესები, დებულებანი მცირე ზომის გემების წამყვანთა (მოყვარულთა) მომზადებისა და გამოცდების ჩაბარების წესის შესახებ;

ვ) მონაწილეობა მიიღოს სამაშველო ტექნიკის, საცურაო საშუალებათა ახალი ნიმუშების შექმნის, მაშველი სადგურების პროექტების შედგენის ორგანიზაციაში და ხელი შეუწყოს წყალში გადარჩენის თეორიული პრობლემების მეცნიერულ დამუშავებას.

3. მის წინაშე დასმული ამოცანების განსახორციელებლად საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოება:

ა) მოიზიდავს ფართო საზოგადოებრიობას მოსახლეობისათვის ცურვისა და წყალში გადარჩენის ხერხების მასობრივ სწავლებაში მონაწილეობის მისაღებად და საჭირო დახმარებას გაუწევს დაინტერესებულ ორგანიზაციებს ამ მუშაობის განხორციელებაში;

ბ) ორგანიზაციას უწევს დადგენილი წესით და მონაწილეობს იმ ლიტერატურის, პერიოდული ბეჭდვითი გამოცემების, კინოფილმების, დიაფილმების, პლაკატების, სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების გამოშვებაში, რომლებიც შეეხება წყალში უბედური შემთხვევების თავიდან აცილებას, აგრეთვე მონაწილეობს ამ საკითხზე რადიო და ტელეგადაცემების ორგანიზაციაში;

გ) მონაწილეობს სამაშველო ტექნიკის, მცირე საცურაო საშუალებათა ახალი ნიმუშების შექმნასა და მაშველი სადგურების პროექტების შემუშავებაში, ხელს უწყობს წყალში გადარჩენის თეორიული პრობლემების მეცნიერულ დამუშავებას, აყალიბებს სამაშველო ტექნიკის შემქმნელ ლაბორატორიებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) მონაწილეობას იღებს იმ კომისიების მუშაობაში, რომლებსაც დროებით ქმნიან შესაბამისი ორგანოები წყლის სეზონური ადიდების, წყალდიდობისა და წყალში მომხდარი სხვა სტიქიური უბედურებისას;

ე) ახორციელებს პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა ორგანიზაციებთან ერთად ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნას ბავშვთა უსაფრთხო დასვენება წყალსატევების მახლობლად მოთავსებულ პიონერთა ბანაკებსა და ტურისტულ ბაზებში;

ვ) შეაქვს შესაბამისი ორგანოების განსახილველად წინადადებანი წყალმაშველი სამსახურის ორგანიზაციისა და მუშაობის გაუმჯობესების შესახებ;

ზ) იზიდავს საქწყალმაშველის აქტივს სახელმწიფო მაშველი სადგურების, საგუშაგოების, სამანევრო-საძიებო ჯგუფებისა და საუწყებო მაშველი საგუშაგოების მუშაობაში მონაწილეობისათვის;

თ) კავშირს ამყარებს სხვა მოკავშირე რესპუბლიკების წყალმაშველ საზოგადოებებთან და დადგენილი წესით—საზღვარგარეთის ქვეყნების ანალოგიურ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან;

ი) ორგანიზაციას უწევს და აწყობს ლექციებს, ექსკურსიებს, კონკურსებს, გამოფენებს წყალში ადამიანთა სიცოცხლის დაცვის საკითხებზე;

კ) სწავლობს, განაზოგადებს და ავრცელებს წყალში ადამიანთა სიცოცხლის დაცვის მოწინავე გამოცდილებას, პროპაგანდას უწევს მეცნიერებისა და პრაქტიკის მიღწევებს ამ საქმეში;

ლ) მონაწილეობას იღებს მასობრივი წყალჯომარდობის სპორტული ასპარეზობის მოწყობაში;

მ) აყალიბებს ზამთარ-ზაფხულ ცურვის, გემიხ წამყვანთა (მოყვარულთა), სამაშველო მრავალჭიდის, ნორჩ მეზღვაურთა, მემდინარეთა და სხვათა ფედერაციებსა და კლუბებს;

ნ) ქმნის (გარდაქმნის, აუქმებს) დადგენილი წესით სასწავლო ცენტრებსა და სკოლებს ცურვის, წყალში შველის ინსტრუქტორებისა და სამაშველო საქმის სხვა სპეციალისტთა მოსამზადებლად, წყალჯომარდობის ბაზებს და მცირე ზომის გემების ნავმისადგომებს, მაშველ სადგურებს, საგუშაგოებს და სამანევრო-საძიებო ჯგუფებს, სამეურნეო ანგარიშზე მომუშავე საწარმოებსა და სხვა ორგანიზაციებს, რომლებიც შეესაბამებიან საზოგადოების მიზნებსა და ამოცანებს.

4. საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოება, მისი რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო და რაიონული ორგანიზაციები სარგებლობენ იურიდიული პირის უფლებებით, აქვთ ბეჭედი თავისი სახელწოდებით და შტამპი, რომლებიც მტკიცდება დადგენილი წესით.

5. საქართველოს წყალში მაშველ საზოგადოებას აქვს ალამი, ემბლემა და ვიმპელი, ხოლო საზოგადოების წევრებისათვის — სამკერდე ნიშანი და სპორტული ფორმა, რომლებსაც ამტკიცებს საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. საზოგადოების წევრები, მათი უფლება-მოვალეობანი

6. საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების წევრები შეიძლება იყვნენ:

ა) სსრ კავშირის მოქალაქენი, რომელთაც შეუსრულდათ 14 წელი, იზიარებენ საზოგადოების წესდებას და მონაწილეობენ მისი ერთ-ერთი პირველადი ორგანიზაციის მუშაობაში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ის პირნი, ვისაც ჯერ 14 წელი არ შესრულებია, ერთიანდებიან საზოგადოების პირველადს ორგანიზაციებთან არსებულ ნორჩ მშველელთა სექციებში, რომლებიც მოქმედებენ საზოგადოების ცენტრალური საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე;

ბ) სახელმწიფო საწარმოები, დაწესებულებანი და ორგანიზაციები, სასწავლებლები, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები (კოლექტიური წევრები).

7. საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების წევრებად იღებენ:

სსრ კავშირის მოქალაქეებს — პირველადი ორგანიზაციები;

სახელმწიფო საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, სასწავლებლებს, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს (საზოგადოების კოლექტიურ წევრებად) — საზოგადოების რაიონული, საქალაქო, საოლქო, რესპუბლიკური (ასსრ) ორგანიზაციების საბჭოების პრეზიდიუმები ან საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი.

საჩივრებს საზოგადოების წევრად მიღებაზე უარის თქმის გამო განიხილავენ შესაბამისი ზემდგომი ორგანიზაციების საბჭოების პრეზიდიუმები.

8. საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების წევრები მოვალენი არიან:

ა) ყოველი ღონისძიებით შეუწყონ ხელი საზოგადოების როლის ამაღლებას მის წინაშე დასმული ამოცანების განხორციელებაში;

ბ) დაეუფლონ მეცნიერების, ტექნიკის მიღწევებს და მოწინავე გამოცდილებას წყალში გადარჩენის საქმეში;

გ) შეასრულონ საზოგადოების წესდების მოთხოვნები, საზოგადოების ყრილობების, კონფერენციების, კრებებისა და ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილებანი;

დ) ყოველწლიურად გადაიხადონ საწევრო შესატანი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: საზოგადოების წევრები, რომლებსაც არასაპატიო მიზეზით ორი წლის მანძილზე არ გადაუხდიათ საწევრო შესატანი, გაირიცხებიან საზოგადოების წევრთა შემადგენლობიდან პირველადი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით.

9. საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების წევრებს უფლება აქვთ:

ა) მონაწილეობა მიიღონ გადამწყვეტი ხმის უფლებით საზოგადოების წევრთა კრებებსა და თათბირებში; 18 წლის ასაკიდან აირჩიონ და არჩეულ იქნან ყრილობებსა და კონფერენციებზე, აგრეთვე საზოგადოების ხელმძღვანელ და სარევიზიო ორგანოებში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) გაერთიანდნენ სპორტულ-ტექნიკურ და თვითმოქმედ კლუბებში;

გ) დადგენილი წესის თანახმად შეღავათიანი პირობებით ისარგებლონ კანჯოებით, კატარღებით, იახტებით და საზოგადოების სხვა ინვენტარით;

დ) შეიტანონ წინადადებანი საზოგადოების ყველა ორგანოში წყალში ადამიანთა სიცოცხლის დაცვის საკითხებზე.

10. საზოგადოებაში პროფილაქტიკური მუშაობის აქტიურად შესრულებისათვის, წყალწაღებულთა გადარჩენისას გამოჩენილი ვაჟკაცობისა და მამაცობისათვის საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების წევრთა წახალისება ხდება მოქმედი დებულების საფუძველზე.

განსაკუთრებით თვალსაჩინო დამსახურებისათვის საზოგადოების წევრები შეიძლება წარდგენილ იქნენ კანონით დადგენილი წესით დასაჯილდოებლად.

11. საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების წესდების დარღვევისათვის საზოგადოების წევრთა მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომები, ხოლო თუ საჭირო გახდა, გაირიცხონ საზოგადოების წევრთა შემადგენლობიდან.

საზოგადოების წევრთა შემადგენლობიდან გარიცხვის გადაწყვეტილებაზე აღძრულ საჩივრებს განიხილავენ საზოგადოების ზემდგომი ორგანიზაციები.

III. საზოგადოების სტრუქტურა და მისი ხელმძღვანელი ორგანოები

12. საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების ორგანიზაციები ყალიბდება ავტონომიურ რესპუბლიკებში, ოლქში, ქალაქებში, რაიონებში, დაბებში, სოფლის დასახლებულ პუნქტებში, საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, ტრანსპორტზე, ნავსადგურებში და ფლოტის გემებზე, სასწავლებლებში, სახლმმართველობებთან, ქუჩის კომიტეტებთან, სხვა ორგანიზაციებთან და მოქმედებენ ამ წესდების საფუძველზე.

13. საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების ცენტრალური საბჭოს და ცენტრალური სარევიზიო კომისიის, საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო, რაიონული, სადაბო და პირველადი ორგანიზაციების ხელმძღვანელი ორგანოების და სარევიზიო კომისიების არჩევნები, აგრეთვე საზოგადოების ყრილობებისა და კონფერენციების დელეგატთა არჩევნები ეწყობა ღია კენჭისყრით.

საზოგადოების ყრილობების, კონფერენციების, კრებებისა და სხვა ხელმძღვანელი ორგანოების ყველა გადაწყვეტილება მიიღება ხმის უბრალო უმრავლესობით.

14. საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა საზოგადოების ყრილობა, რომელსაც ცენტრალური საბჭო იწვევს ოთხ წელიწადში ერთხელ მაინც. რიგგარეშე ყრილობები შეიძლება მოწვეულ იქნეს საზოგადოების ცენტრალური საბჭოს გადაწყვეტილებით ან საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო და რაიონული ორგანიზაციების სულ ცოტა ერთი მესამედის მოთხოვნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყრილობის მოწვევისა და დღის წესრიგის შესახებ ცხადდება არა უგვიანეს ერთი თვისა ყრილობის მუშაობის დაწყებამდე.

ყრილობაზე წარმომადგენლობის ნორმას და დელეგატთა არჩევის წესს განსაზღვრავს საზოგადოების ცენტრალური საბჭო.

საზოგადოების ყრილობა უფლებამოსილად ითვლება, თუ მას არჩეულ დელეგატთა საერთო რაოდენობის ნახევარი მაინც ესწრება.

15. საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების ყრილობა:

ა) შეცვლის და დამატებებს შეიტანს საზოგადოების წესდებაში;

ბ) ირჩევს საზოგადოების ცენტრალურ საბჭოს და ცენტრალურ სარევიზიო კომისიას. ცენტრალური საბჭოს და ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრთა რაოდენობას განსაზღვრავს ყრილობა;

გ) განიხილავს და დაამტკიცებს საზოგადოების ცენტრალური საბჭოს და ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიშებს, უსახავს მათ მორიგ ამოცანებს;

დ) განიხილავს და გადაწყვეტს საზოგადოების საქმიანობის სხვა საკითხებს.

16. საზოგადოების ცენტრალური საბჭო აირჩევა ოთხი წლის ვადით და საზოგადოების ყრილობებს შორის პერიოდში წარმოადგენს საზოგადოების უმაღლეს აღმასრულებელ და ხელმძღვანელ ორგანოს.

საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პლენუმებს იწვევს საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი წელიწადში ორჯერ მაინც. საზოგადოების ცენტრალური საბჭოს რიგგარეშე პლენუმი მოიწვევა ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით ან ცენტრალური საბჭოს წევრთა სულ ცოტა ერთი მესამედის მოთხოვნით.

17. საზოგადოების ცენტრალური საბჭო თავისი შემადგენლობიდან აირჩევს ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმს, რომელშიც შედიან თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები, პასუხისმგებელი მდივანი და პრეზიდიუმის წევრები ცენტრალური საბჭოს მიერ განსაზღვრული რაოდენობით.

ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმს შეუძლია თავის შემადგენლობიდან აირჩიოს აღმასრულებელ-საორგანიზაციო ბიურო.

ცენტრალური საბჭო განიხილავს და დაამტკიცებს ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის მუშაობის ანგარიშებს და გეგმებს, საზოგადოების ბიუჯეტს და წყვეტს საზოგადოების საქმიანობის სხვა საკითხებს.

18. საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი:

ა) ხელმძღვანელობს საზოგადოების საქმიანობას ცენტრალური საბჭოს პლენუმებს შორის პერიოდში;

ბ) შეიმუშავებს და დაამტკიცებს საზოგადოების მუშაობის გეგმებს, ბიუჯეტს, თვალყურს ადევნებს მათს შესრულებას;

გ) იწვევს საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პლენუმებს და ამზადებს მოხსენებებს, ანგარიშებსა და სხვა მასალებს საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პლენუმის სხდომებისა და საზოგადოების ყრილობისათვის;

დ) ამტკიცებს საზოგადოების ორგანიზაციათა და საწარმოთა დებულებებს;

ე) განიხილავს და დაამტკიცებს საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების ანგარიშებსა და ხარჯთაღრიცხვებს; ქმნის ფულად ფონდს და განსაზღვრავს მისი გამოყენების წესს;

ვ) განაგებს საზოგადოების საქმეებს, ქონებას და სახსრებს და ახორციელებს საზოგადოების უფლებებს და ფუნქციებს, გარდა იმ უფლება-ფუნქციებისა, რომლებიც საზოგადოების ყრილობისა და ცენტრალური საბჭოს პლენუმის კომპეტენციაში შედის;

ზ) წარმომადგენლობს საზოგადოების სახელით სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.

19. საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების ადგილობრივ ორგანიზაციათა უმაღლესი ორგანოა რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო და რაიონული კონფერენციები, რომელთა მოწვევა ხდება ორ წელიწადში ერთხელ მაინც.

კონფერენციის მოწვევისა და დღის წესრიგის შესახებ ცხადდება არა უგვიანეს ერთი თვისა მისი მუშაობის დაწყებამდე.

რიგგარეშე კონფერენციები შეიძლება მოწვეულ იქნეს საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების გადაწყვეტილებით ან საზოგადოების წევრთა სულ ცოტა ერთი მესამედის მოთხოვნით.

კონფერენციაზე წარმომადგენლობის ნორმას და დელეგატთა არჩევის წესს განსაზღვრავს საზოგადოების შესაბამისი საბჭო.

კონფერენცია უფლებამოსილად ითვლება თუ მას არჩეულ დელეგატთა ორი მესამედი მაინც ესწრება.

20. საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო და რაიონული ორგანიზაციების კონფერენციები განიხილავენ და დაამტკიცებენ შესაბამისი ადგილობრივი საბჭოებისა და სარევიზიო კომისიების ანგარიშებს, ირჩევენ რესპუბლიკურ (ასსრ), საოლქო, საქალაქო და რაიონულ საბჭოებს და სარევიზიო კომისიებს შესაბამისი კონფერენციების მიერ განსაზღვრული ოდენობით და წყვეტენ სხვა საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოების საქმიანობასთან.

21. რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოები აირჩევა ორი წლის ვადით და კონფერენციებს შორის პერიოდში ხელმძღვანელობენ საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო და რაიონული ორგანიზაციების მთელ საქმიანობას.

22. რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოები საზოგადოების შესაბამის ორგანიზაციათა საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავენ მორიგ პლენუმებზე, რომლებსაც ამ საბჭოების პრეზიდიუმები წელიწადში ორჯერ მაინც იწვევენ.

23. რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო ან რაიონული საბჭო თავის შემადგენლობიდან ირჩევს საბჭოს პრეზიდიუმს.

24. საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო ან რაიონული ორგანიზაციის კონფერენცია, საბჭო, საბჭოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრეზიდიუმი თავის საქმიანობას ახორციელებს იმ წესის შესაბამისად, რომელიც ამ წესდებით გათვალისწინებულია საზოგადოების ყრილობისათვის, ცენტრალური საბჭოსა და ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმისათვის.

25. საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო და რაიონული ორგანიზაციები მუშაობენ ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის ხელმძღვანელობით.

26. საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების საქალაქო და რაიონული ორგანიზაციები ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქში მუშაობენ საზოგადოების ზემდგომი ორგანიზაციის საბჭოს ხელმძღვანელობით, რომელიც ამტკიცებს მათს ხარჯთაღრიცხვას, ანგარიშებს, ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის რიცხოვნობას შრომის გეგმის ფარგლებში, რასაც საზოგადოების ცენტრალური საბჭო განსაზღვრავს დადგენილი წესის შესაბამისად.

27. ფულადი დოკუმენტების ხელმოწერის წესს განსაზღვრავს საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი.

28. პირველადი ორგანიზაციები საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების (საქწყალმაშველი) საფუძველია და იქმნება საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, ტრანსპორტზე, ნავსადგურებში და ფლოტის გემებზე, სასწავლებლებში, სახლმმართველობებთან, ქუჩის კომიტეტებთან და სხვა ორგანიზაციებთან, თუ ჰყავთ საზოგადოების სულ ცოტა სამი წევრი. საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების პირველადს ორგანიზაციას იურიდიული პირის უფლებები არ გააჩნია.

29. საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა საერთო კრება, რომელიც მოიწვევა საჭიროებისამებრ, მაგრამ წელიწადში ორჯერ მაინც, და რომელზეც ირჩევენ საბჭოს და სარევიზიო კომისიას პირველადი ორგანიზაციის საერთო კრების მიერ განსაზღვრული შემადგენლობით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: პირველადს ორგანიზაციებში, რომლებიც საზოგადოების 50-ზე ნაკლებ წევრს აერთიანებენ, აირჩევა რევიზორი.

30. საზოგადოების პირველადი ორგანიზაციები მუშაობას ეწევიან აქტივის ფართოდ ჩაბმით, ადგილობრივ საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირში.

31. საზოგადოების პირველადს ორგანიზაციებში, სადაც 100-ზე მეტი წევრია (დიდი ქარხნები, საბჭოთა მეურნეობანი, უმაღლესი სასწავლებლები, დაწესებულებანი), საჭიროების შემთხვევაში, რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო ან რაიონული ორგანიზაციის საბჭოს პრეზიდიუმის ნებართვით შეიძლება შეიქმნას ძირეული ორგანიზაციები (უჯრედები) საამქროების, უბნების, ფაკულტეტების, ფერმების, ბრიგადების, განყოფილებების, საცხოვრებელი უბნების (მიკრორაიონების) მიხედვით.

ძირეული ორგანიზაციების (უჯრედების) შექმნისა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოების პირველადს ორგანიზაციებში, სადაც 300-ზე მეტი წევრია, საერთო კრებებზე (კონფერენციებზე) შეიძლება არჩეულ იქნენ დელეგატები საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების საბჭოების მიერ დადგენილი ოდენობით.

კრება (კონფერენცია) უფლებამოსილად ითვლება, თუ მას ესწრება საზოგადოების წევრთა სულ ცოტა ორი მესამედი, რომლებიც შედიან პირველადს ორგანიზაციაში, ან არჩეული არიან კონფერენციის დელეგატებად.

საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების საბჭო მუშაობს შესაბამისი რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო ან რაიონული საბჭოს პრეზიდიუმის ხელმძღვანელობით.

32. საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების სარევიზიო კომისიები ამოწმებენ საფინანსო გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების შესრულებას, სახსრების ხარჯვის და მატერიალურ ფასეულობათა გამოყენების სისწორეს, აღრიცხვა-ანგარიშგების საქმის დაყენებას, ახორციელებენ კონტროლს მშრომელთა წერილებისა და განცხადებების დროულად განხილვისადმი, აგრეთვე საზოგადოების ორგანიზაციათა მუშაობის გეგმებისა და გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი.

სარევიზიო კომისიები მუშაობენ ზემდგომი სარევიზიო კომისიების ხელმძღვანელობით და თავიანთი საქმიანობის ანგარიშს აბარებენ საზოგადოების ყრილობებს, კონფერენციებს და საზოგადოების წევრთა საერთო კრებებს შესაბამისი საბჭოების ერთდროულად.

სარევიზიო კომისიები თავიანთი შემადგენლობიდან ირჩევენ თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს და მდივანს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სარევიზიო კომისიაში არ შეიძლება არჩეულ იქნენ საზოგადოების მოცემული ორგანიზაციის შტატის მუშაკები ან საბჭოს წევრები.

33. საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების სარევიზიო კომისიების წევრებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ საზოგადოების შესაბამისი საბჭოების პლენუმებისა და პრეზიდიუმების სხდომების მუშაობაში სათათბირო ხმის უფლებით.

34. სარევიზიო კომისიები რევიზიებს აწყობენ საჭიროებისამებრ, მაგრამ სულ ცოტა ნახევარ წელიწადში ერთხელ.

სარევიზიო კომისიის დადგენილებანი და წინადადებანი ჩატარებულ რევიზიათა და გამორკვევათა შედეგების თაობაზე უნდა განიხილონ სარევიზიო კომისიის მოთხოვნით შესაბამისი საბჭოს, საბჭოს პრეზიდიუმის პლენუმის სხდომებზე, პირველადი ორგანიზაციის საერთო კრებაზე.

სარევიზიო კომისიების საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯების გაღება ხდება შესაბამისი საბჭოების სახსრების ხარჯზე.

IV. საზოგადოების სახსრები

35. საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების სახსრებია:

ა) შესასვლელი შესატანები და საწევრო შესატანები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) საგამომცემლო და სამეურნეო საქმიანობით მიღებული შემოსავალი;

გ) ორგანიზაციებისა და ცალკეული პირების მიერ ნაჩუქარი სახსრები და ქონება.

36. შესასვლელი შესატანი 10 კაპიკის ოდენობით გადაიხდება საზოგადოების წევრად გახდომისას. მუშებს, კოლმეურნეებსა და მოსამსახურეებს საწევრო შესატანი უწესდებათ 30 კაპიკის ოდენობით წელიწადში, მოსწავლეებს, დიასახლისებსა და პენსიონერებს, რომლებიც არ მუშაობენ, — 10 კაპიკი წელიწადში.

საბავშვო სახლების აღსაზრდელნი და ვადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეები თავისუფლდებიან შესასვლელი და საწევრო შესატანების გადახდისაგან.

საზოგადოების კოლექტიურ წევრთა შესასვლელი და საწევრო შესატახების ოდენობას ერთობლივად განსაზღვრავენ საზოგადოების კოლექტიური წევრი და ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი ან შესაბამისი ადგილობრივი ორგანიზაციის საბჭო. საზოგადოების კოლექტიური წევრი შეიძლება განთავისუფლდეს შესასვლელი და საწევრო შესატანის გადახდევინებისაგან.

საწევრო შესატანებისა და საზოგადოების სხვა ფულადი შენატანების თანხებიდან პირველადს, სადაბო, რაიონულ, საქალაქო, საოლქო, რესპუბლიკურ (ასსრ) ორგანიზაციებს და საზოგადოების ცენტრალურ საბჭოს გადაერიცხება სახსრები იმ ოდენობით, რაც დაწესებულია საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის მიერ.

საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების ცენტრალური საბჭოსა და ადგილობრივი ორგანიზაციების მთელი თავისუფალი ფულადი სახსრები ინახება სსრ კავშირის სახბანკის შესაბამის დაწესებულებებსა და შემნახველ სალაროებში.

V. საზოგადოების ემბლემისა და ალმის აღწერილობა

37. საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების (საქწყალმაშველი) ემბლემა არის მაშველი რგოლის გამოსახულება, რომლის ზედა ნახევარი შეღებილია თეთრად და ნარინჯისფერი ასოებით აწერია „საქწყალმაშველი“, ქვედა — ნარინჯისფერია და თეთრი ასოებით აწერია „საქართველოს სსრ“. მაშველი რგოლის ცენტრში გამოსახულია წითელი ჯვარი ორი გადაჭდობილი ღუზისა და შუქი ლურჯი შტურვალის ფონზე.

ემბლემა განკუთვნლია საზოგადოების ყველა ორგანიზაციის ბეჭდებზე, გარდამავალ დროშებზე, პლაკატებზე, წიგნებსა და პერიოდულ გამოცემებზე, მატერიალურ ნაწილსა და საზოგადოების ფირნიშებზე გამოსახვისათვის.

38. საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების ალამი ღია ცისფერია, აქვს სწორკუთხედის ფორმა, რომლის გვერდების თანაფარდობაა 2:1. ალმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუა გულში მოთავსებულია საქართველოს წყალში ძაშველი საზოგადოების ემბლემა, ზემოთა მარცხენა კუთხეში — საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბის გამოსახულება.

VI. საზოგადოების ლიკვიდაციის წესი

39. საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოება შეწყვეტს თავის საქმიანობას:

ა) საზოგადოების ყრილობის გადაწყვეტილებით;

ბ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

113 სუპერელიტური, ელიტური და ჯიშიანი სათესლე კარტოფილის ფასების ფულადი ჯიშობრივი დანამატების ოდენობის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ 1970 წლის მოსავლიდან დაწყებული, იმ სუპერელიტური, ელიტური და ჯიშიანი სათესლე კარტოფილის შესყიდვა, რომელიც მოიყვანეს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა საცდელმა მეურნეობებმა, უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების სასწავლო-საცდელმა მეურნეობებმა და სხვა ელიტური მეთესლეობის მეურნეობებმა, წარმოებს საგვიანო სასურსათო კარტოფილის შესასყიდი ფასებით, რაც დაწესებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 3 სექტემბრის № 487 დადგენილებით, ამასთან, ამ ფასებთან ერთად გადახდილ უნდა იქნეს ფულადი ჯიშობრივი დანამატები შემდეგი ოდენობით:

(საგვიანო სასურსათო კარტოფილის შესასყიდი ფასების პროცენტულად)

	სუპერელიტური კარტოფილი	ელიტური კარტოფილი	ჯიშიანი სათესლე კარტოფილი	
			I კატეგორიისა	II კატეგორიისა
საშუალსაგვიანო	250	200	—	—
I და II რეპროდუქციისა	—	—	95	85
III და IV რეპროდუქციისა	—	—	75	65
V და მომდევნო რეპროდუქციისა . .	—	—	55	50

2. დაწესდეს, რომ სუპერელიტურ, ელიტურ და ჯიშიან კარტოფილს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა საცდელი მეურნეობები, უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების სასწავლო-საცდელი მეურნეობები და სხვა ელიტური მეთესლეობის მეურნეობები, აგრეთვე გაერთიანება „საქჯიშთესლბოსტნეული“ მიჰყიდიან კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა მომხმარებლებს საგვიანო სასურსათო კარტოფილის შესასყიდ ფასებში, ამასთან გადაახდევინებენ ფულად ჯიშობრივ დანამატებს ამ დადგენილების თანახმად.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 3 ივლისის № 456 დადგენილების მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 23 ოქტომბერი, № 570

ეროვნული ბიბლიოთეკა

114 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 10 სექტემბრის № 751 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

„სანაშენე პირუტყვის ფასების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 10 სექტემბრის № 751 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 25 ოქტომბრის № 669 დადგენილება „ჯიშიანი და ადგილობრივი გაუმჯობესებული პირუტყვის, ჯიშიანი ცხენების, ბეწვიანი ნადირისა და ფრინველის ფასების შესახებ“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 21 იანვრის № 24 დადგენილება „ჯიშიანი და ადგილობრივი გაუმჯობესებული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ჯიშიანი ცხვრისა და ღორის ფასების დანამატების დაწესების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 27 ოქტომბერი, № 572

115 ნ. პ. კანდელაკის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს კულტურის სამინისტროს, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიისა და საქართველოს მხატვართა კავშირის თხოვნა და:

1. მიეკუთვნოს საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის ნ. პ. კანდელაკის სახელი ქ. ბათუმის სამხატვრო ტექნიკუმს.

2. დაწესდეს თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ნ. პ. კანდელაკის სახელობის ერთი სტიპენდია თვეში 50 მანეთის ოდენობით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 29 ოქტომბერი, № 575

ეროვნული ბიბლიოთეკა

116 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნავთობპროდუქტების მომარაგებისა და გასაღების მთავარი სამმართველოს საკითხები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნავთობპროდუქტების მომარაგებისა და გასაღების მთავარი სამმართველოს ცენტრალური აპარატის სტრუქტურა და ამ სამმართველოს დებულება №№ 1 და 2 დანართების თანახმად.

2. დაწესდეს მთავარი სამმართველოს ცენტრალური აპარატის შტატი № 3 დანართის თანახმად 64 ერთეულის ოდენობით და 8048 მანეთი და 25 კაპიკი ხელფასის თვიური ფონდით, ამასთან გათვალისწინებულ იქნეს, რომ მისი შტატი გამონაკლისის სახით შეიძლება გაიზარდოს 13 ერთეულით ხელფასის თვიური ფონდის შესაბამისად, კერძოდ, დაწესდეს მთავარი სამმართველოს უფროსის მესამე მოადგილის — კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსის თანამდებობაც, რომლის თვიური სარგოა 250 მანეთი.

შტატის, ხელფასის თვიური ფონდის და ამასთან დაკავშირებული სხვა ხარჯების გადიდება მოხდეს ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის ხელფასის ყოველთვიური ფონდის, შტატებისა და მმართველობის აპარატის შენახვის ასიგნებათა ფარგლებში, რაც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 23 ივნისის № 357 დადგენილებით ამ მთავარი სამმართველოს სისტემის 1969 წელს მოქმედი ორგანიზაციებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 30 ოქტომბერი, № 581

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1970 წლის 30 ოქტომბრის № 581
დადგენილების დანართი № 1

ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქმთავარნავთობმომარაგებაგასაღების ცენტრალური აპარატისა

1. ხელმძღვანელობა

3. ტექნიკური განყოფილება

4. კაპიტალური მშენებლობის განყოფილება

5. მიწოდების განყოფილება

6. მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების განყოფილება

7. ბუღალტერია

8. საგეგმო-საფინანსო, შრომისა და ხელფასის განყოფილება

9. სარევიზიო ჯგუფი

10. ინსპექციისა და ხარისხის ჯგუფი

11. ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1970 წლის 30 ოქტომბრის № 581
დადგენილების დანართი № 2

დ ე ბ ა ნ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნავთობპროდუქტების მომარაგებისა და გასაღების მთავარი სამმართველოს (საქმთავარ-ნავთობმომარაგებაგასაღება) შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნავთობპროდუქტების მომარაგებისა და გასაღების მთავარი სამმართველო (საქმთავარნავთობმომარაგებაგასაღება) თავის საქმიანობაში ემორჩილება უშუალოდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და იმყოფება სამეურნეო ანგარიშზე.

2. საქმთავარნავთობმომარაგებაგასაღების ძირითადი ამოცანებია:

ა) დადგენილი ნომენკლატურის მიხედვით მოამარაგოს ნავთობპროდუქტებით საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოები, მშენებლობანი, ორგანიზაციები და დაწესებულებანი, რომლებიც ექვემდებარებიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, საერთო საკავშირო, საკავშირო-რესპუბლიკურ და რესპუბლიკურ სამინისტროებს და უწყებებს, კოლმეურნეობები და სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციები;

ბ) სახალხო-სამეურნეო გეგმის, სარესპუბლიკათაშორისო მიწოდების გეგმისა და სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის ცალკეულ გადაწყვეტილებათა შესაბამისად გაგზავნოს სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში და საექსპორტოდ ნავთობპროდუქტები, რომლებსაც მიიღებს სხვა მოკავშირე რესპუბლიკებიდან;

გ) მიაწოდოს ნავთობპროდუქტები სხვა მოკავშირე რესპუბლიკების საწარმოებს, დაწესებულებებს იმ ოდენობით, რაც დაწესებულია სარესპუბლიკათაშორისო მიწოდების გეგმით.

3. საქმთავარნავთობმომარაგებაგასაღებას ეკისრება:

ა) ააშენოს და ექსპლუატაცია გაუწიოს ნავთობბაზებს, ავტოგასაწყობ სადგურებსა და სხვა საწარმოებს, სამსახურებრივ შენობებსა და საცხოვრებელ სახლებს, აწარმოოს მათი მიმდინარე და კაპიტალური რემონტი;

ბ) გადაცალოს ნავთობი და ნავთობპროდუქტები ერთი სახეობის ტრანსპორტიდან მეორეში მომხმარებლებისათვის გასაგზავნად;

გ) გაუგზავნოს ნავთობპროდუქტები წარმოების პუნქტებიდან საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობას, სხვა მოკავშირე რესპუბლიკებსა და საექსპორტოდ;

დ) განახორციელოს ნავთობპროდუქტების შენახვა და გაგზავნა სახელმწიფო რეზერვში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო მატერიალური რეზერვების მთავარ სამმართველოსთან შეთანხმებით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) გააწყოს ავტოგასაწყობ სადგურებში საწვავ-საზეთი მასალებით სახელმწიფო ორგანიზაციების, აგრეთვე სსრ კავშირის მოქალაქეთა და უცხოელ ავტოტურისტთა კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებანი. აწარმოოს ზეთების, კონსისტენტური საზეთების, მოქალაქეთა კუთვნილი მსუბუქი ავტომობილებისა და სხვა სატრანსპორტო საშუალებათა პირველი საჭიროების მარაგნაწილების საცალო გაყიდვა, აგრეთვე მთელ რიგ სახეობათა ტექნიკური მომსახურება (სალტეს გაბერვა, წყლის ჩასხმა, ავტომობილის გაწყობა სამუხრუჭე და სააკუმულატორო სითხით და სხვ.).

ვ) კონტროლი გაუწიოს რესპუბლიკაში ნავთობპროდუქტების მიწოდების, სხვა მოკავშირე რესპუბლიკებისათვის, აგრეთვე საექსპორტოდ მიწოდების გეგმებისა და დავალებათა შესრულებას.

4. საქმთავარნავთობმომარაგებაგასაღება:

ა) გამოავლენს რესპუბლიკის, აგრეთვე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო დაქვემდებარების ორგანიზაციების მოთხოვნილებას დეცენტრალიზებულად დასაგეგმავ ნავთობპროდუქტებზე, აგრეთვე ცენტრალიზებულად დასაგეგმავ რესპუბლიკის მომხმარებელთათვის, შეადგენს განაცხადს და წარუდგენს სსრ კავშირის სახმომარაგებასთან არსებულ „საკმთავარნავთს“;

ბ) დაგეგმავს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების მიხედვით სარესპუბლიკათაშორისო მიწოდების გეგმით მიღებული ნავთობპროდუქტების მიწოდებას;

გ) შეადგენს წლიურ, კვარტალურ და თვიურ განაცხადებს ნავთობტვირთის გადასაზიდად რკინიგზისა და სანაოსნო ტრანსპორტით და შეუთანხმებს გადაზიდვის გეგმებს სატრანსპორტო სამინისტროებს დადგენილი წესით;

დ) ოპერატიულად მოაწესრიგებს ნავთობპროდუქტების გაგზავნას მომხმარებლებისათვის, რომლებიც იმყოფებიან საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, მოკავშირე რესპუბლიკებში და საექსპორტოდ;

ე) შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს საერთო სარგებლობის ავტოგასაწყობი სადგურების რაოდენობის გასადიდებლად.

ვ) ორგანიზაციას გაუწევს მომხმარებლებთან ნავთობპროდუქტების მიწოდებაზე ხელშეკრულებათა დადებას დამტკიცებული გეგმების შესაბამისად და ტრანსპორტის ორგანოებთან — ნავთობპროდუქტების გადაზიდვაზე;

ზ) შეადგენს ნავთობბაზების განვითარების, ნავთობბაზებში, ავტოგასაწყობ სადგურებსა და სხვა საწარმოებში მექანიზაციის და ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაციის, ახალი ტექნიკის დანერგვის გეგმებს, კაპიტალურ დაბანდებათა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა, საპროექტო-საძიებო სამუშაოთა, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმებს, საწარმოო და საფინანსო გეგმებს, შრომის, წარმოებისა და მიმოქცევის ხარჯების გეგმებს და წარუდგენს ამ გეგმებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილი წესით დასამტკიცებლად;

თ) დანერგავს ახალ, მოწინავე ტექნიკას, ტექნიკურად სრულყოფილ საშუალებებსა და გამოგონებებს, წარმოების სრულყოფილ ტექნოლოგიას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი) განახორციელებს ღონისძიებებს ნავთობპროდუქტების შენახვის, ტრანსპორტირების, მიღებისა და გაცემის დროს დანაკარგების წინააღმდეგ საბრძოლველად;

კ) ხელმძღვანელობას გაუწევს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის დარგში მუშაობას, დახმარებას გაუწევს გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს მათს საქმიანობაში, მოაწყობს მოწინავე გამოცდილების გაზიარებას გამოგონებათა და ტექნიკურ გაუმჯობესებათა დარგში;

ლ) შეიმუშავებს პროფკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობით და განახორციელებს ღონისძიებებს შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად, უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის გასაუმჯობესებლად; კონტროლს გაუწევს შრომის კანონმდებლობის და შრომის ანაზღაურების დებულებათა დაცვას, აგრეთვე კოლექტიურ ხელშეკრულებათა დროულად დადებას და შესრულებას საქვეუწყებო საწარმო-ორგანიზაციებში;

მ) შეიმუშავებს და დასამტკიცებლად წარადგენს დადგენილი წესით სამრეწველო საბითუმო ფასების და ახალი ან შეცვლილი ხარისხის, სორტის (მარკის) ნავთობპროდუქტების საცალო ფასების პროექტებს;

ნ) განახორციელებს ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა შერჩევასა და განაწილებას, განახორციელებს ღონისძიებებს საწარმო-ორგანიზაციათა კადრებით უზრუნველსაყოფად და ამ კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებლად;

ო) განახორციელებს გასამხედროებული, სადარაჯო და სახანძრო დაცვის საქმიანობის ხელმძღვანელობას საქვეუწყებო საწარმოებში;

პ) ხელმძღვანელობას გაუწევს საქვეუწყებო საწარმო-ორგანიზაციების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას, განუსაზღვრავს მათ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკისა და სსრ კავშირის მშენებლობის ბანკის კრედიტების ლიმიტებს დამტკიცებული საკრედიტო გეგმის შესაბამისად, გადაუნაწილებს დადგენილი წესით სახსრებს საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებს, შეასრულებს კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებას, განახორციელებს ღონისძიებებს საწარმო-ორგანიზაციათა რენტაბელობის ასამაღლებლად და საბრუნავ საშუალებათა ბრუნვადობის დასაჩქარებლად;

ჟ) ორგანიზაციას გაუწევს საქვეუწყებო საწარმოთა და ორგანიზაციათა მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას;

რ) ისარგებლებს ბანკის კრედიტით და ბანკის მომსახურების სხვა სახეობებით, გახსნის და დახურავს საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებს ბანკებში;

ს) ორგანიზაციას და კონტროლს გაუწევს საბუღალტრო და სტატისტიკური აღრიცხვა-ანგარიშგების დაყენების საქმეს ყველა საქვეუწყებო საწარმოსა და ორგანიზაციაში, განიხილავს და დაამტკიცებს კრებსით ანგარიშებსა და ბალანსებს, შეადგენს პერიოდულ და წლიურ საბუღალტრო ანგარიშებსა და ბალანსებს, მოაწყობს საბიუჯეტო ასიგნებათა გამოყენების აღრიცხვას, გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახორციელებს შიდასაუწყებო კონტროლს და ჩაატარებს დოკუმენტურ რევიზიებს საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

5. საქმთავარნავთობმომარაგებაგასაღების საფინანსო და სამეურნეო საქმიანობის წლიურ ანგარიშებს განიხილავს ფინანსთა სამინისტრო და შეიტანს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში დასამტკიცებლად.

6. საქმთავარნავთობმომარაგებაგასაღებას სათავეში უდგას უფროსი. საქნავთობმომარაგებაგასაღების უფროსს და მის მოადგილეებს დანიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

7. საქმთავარნავთობმომარაგებაგასაღების უფროსი:

ა) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს და ინსტრუქციებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მოქმედი კანონების, სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა საფუძველზე და შესასრულებლად, აგრეთვე შეამოწმებს მათს შესრულებას;

ბ) დანიშნავს და გაათავისუფლებს საქმთავარნავთობმომარაგებაგასაღების მუშაკებს და მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელ მუშაკებს;

გ) მისცემს საქმთავარნავთობმომარაგებაგასაღების მუშაკებს პრემიებსა და ფულად დახმარებას გამოყოფილი სახსრების ხარჯზე;

დ) დაამტკიცებს დებულებებს საქმთავარნავთობმომარაგებაგასაღების განყოფილებათა შესახებ, აგრეთვე დაქვემდებარებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა დებულებებსა და წესდებებს;

ე) შექმნის, გარდაქმნის და გააუქმებს დადგენილი წესით საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს.

8. საქმთავარნავთობმომარაგებაგასაღების ცენტრალური აპარატის სტრუქტურას, მუშაკთა რიცხოვნობას და ხელფასის თვიურ ფონდს დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

საქმთავარნავთობმომარაგებაგასაღების უფროსი დაამტკიცებს საშტატო განრიგს და შეცვლის მთავარი სამმართველოს ცენტრალური აპარატის სტრუქტურას ცენტრალური აპარატის მუშაკთა რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში (რაც დაირიცხება თანამდებობრივი სარგოს სქემის საშუალო განაკვეთების მიხედვით), თანამდებობრივი სარგოს სქემების დაცვით.

9. საქმთავარნავთობმომარაგებაგასაღებას აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და მისი სახელწოდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1970 წლის 30 ოქტომბრის № 581
დადგენილების დანართი № 3

საშტატო განრიგი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქმთავარნავთობ-მომარაგებაგასაღების ცენტრალური აპარატისა

სტრუქტურულ ქვედანაყოფთა და თანამდებობათა დასახელება	საშტატო ერთეულების რაოდენობა	ხელფასის ოფიციალური ფონდი
1. ხელმძღვანელობა		
მთავარი სამმართველოს უფროსი	1	
მთავარი ინჟინერი—მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე	1	
მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე — მიწოდების განყოფილების უფროსი	1	
მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე — კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსი	1	
იურისკონსულტი	1	
სულ	5	1,160
უფროსი ინსპექტორი კარდების დარგში	1	
სულ	2	245
III. ტექნიკური განყოფილება		
განყოფილების უფროსი — მთავარი ინჟინრის მოადგილე	1	
მთავარი მექანიკოსი	1	
უფროსი ინჟინერ-ენერგეტიკოსი	1	
უფროსი ინჟინერი ნავთობბაზების მეურნეობის დარგში	1	
უფროსი ინჟინერი ავტოგასაწყობი სადგურების დარგში	1	
უფროსი ინჟინერი შრომის მეცნიერული ორგანიზაციის სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის დარგში	1	
ინჟინერი უსაფრთხოების ტექნიკისა და გამომგონებლობის დარგში	1	
სულ	7	990

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტრუქტურულ ქვედანაყოფთა და თანამდებობათა დასახელება	საშტატო ერთეულების რაოდენობა	ხელფასის თვიური თანხა
IV. კაპიტალური მშენებლობის განყოფილება		
განყოფილების უფროსის მოადგილე	1	
უფროსი ინჟინერი	2	
უფროსი ინჟინერი	1	
ინჟინერი მოწყობილობის დარგში	1	
ინჟინერ-ეკონომისტი	1	
სულ	5	647—75
V. მიწოდების განყოფილება		
განყოფილების უფროსის მოადგილე	1	
უფროსი ინჟინერი გადაზიდვის დაგეგმვის დარგში	1	
უფროსი ინჟინერ-ეკონომისტი	1	
უფროსი ინჟინერი დაგეგმვის დარგში	1	
ეკონომისტი	2	
მგეგმავი ეკონომისტი	1	
ინჟინერ-ეკონომისტი	2	
ინჟინერ-დისპეტჩერი	1	
სულ	10	1222—75
VI. მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების განყოფილება		
განყოფილების უფროსი	1	
უფროსი ინჟინერი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დარგში	1	
ეკონომისტი	1	
უფროსი საქონელმცოდნე	1	
სულ	4	505
VII. ბუღალტერია		
მთავარი ბუღალტერი	1	
მთავარი ბუღალტრის მოადგილე	1	
უფროსი მეთოდისტ-ბუღალტერი	1	
უფროსი ბუღალტერი	4	
ფასეულობათა საწყობის გამგე	1	
ბუღალტერი	3	
მოანგარიშე	1	
მოლარე-ინკასატორი	1	
სულ	13	1361—50

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტრუქტურულ ქვედანაყოფთა და თანამდებობათა დასახელება	საშტატო ერთეულების რაოდენობა	ხელფასის თვიური ფონდი
VIII. საგეგმო-საფინანსო, შრომისა და ხელფასის განყოფილება		
განყოფილების უფროსი	1	
უფროსი ეკონომისტ-ფინანსისტი	1	
ეკონომისტ-ფინანსისტი	1	
ინჟინერი შრომის დარგში	1	
სულ	4	535
IX. სარევიზიო ჯგუფი		
უფროსი ბუღალტერ-რევიზორ-ინსტრუქტორი	1	
უფროსი ბუღალტერ-რევიზორი	2	
სულ	3	405
X. ინსპექციისა და ხარისხის ჯგუფი		
უფროსი ინჟინერი ხარისხის დარგში	1	
ინჟინერი ხარისხის დარგში	1	
სულ	2	245
XI. ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილება		
განყოფილების უფროსი	1	
უფროსი ინსპექტორი	1	
უფროსი საქმისმწარმოებელი-მემანქანე	1	
მდივანი-მემანქანე	1	
მემანქანეები	2	
შიკრიკი	1	
დამლაგებელი	1	
ტელეტიპის ტექნიკოსი	1	
სულ	9	731—25
	—	8048—25

მთლიანად 64 ერთეული, 8048 მანეთი და 25 კაპიკი **თვიური** ხელფასის ფონდით

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

117 მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატის სამკერდე ნიშნის ესკიზისა და აღწერილობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

„მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების დაწესების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 25 მარტის № 166 დადგენილების შესაბამისად დამტკიცდეს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატის სამკერდე ნიშნის ესკიზი და აღწერილობა, წარმოდგენილი საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტის მიერ, დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 30 ოქტომბერი, № 583

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1970 წლის 30 ოქტომბრის № 583
დადგენილების დანართი

ა ლ წ ე რ ი ლ ო ბ ა

მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატის სამკერდე ნიშნისა

მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ოქროს სამკერდე ნიშანი სწორი წრის ფორმისაა და აქვს მთლიანტვიფრული ყუნწი, რომლის დიამეტრია 22 მილიმეტრი.

სამკერდე ნიშნის გარეთა მხარეზე რელიეფურადაა გამოსახული საქართველოს სსრ ალმის ელემენტი — მზე, ნამგალი და ურო, რომლებსაც ქვემოდან დაფნის გვირგვინი აქვთ შემოვლებული.

მეორე მხარეზე ამოზნექილი ასოებით წერია „საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი“.

სამკერდე ნიშანი „საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი“ ტანსაცმელზე მიიბნევა ქინძისთავით, რომელიც დამაგრებულია 22 მილიმეტრი სიგანისა და 8 მილიმეტრი სიმაღლის ორჭრილიან სწორკუთხედ'ზე. სწორკუთხედს გადაკრული აქვს 6 მილიმეტრი სიგანის მუარის ლენტი. შემაერთებელი რგოლების საშუალებით სამკერდე ნიშანი ემაგრება სწორკუთხედს. ყუნწიანი სამკერდე ნიშანი და შემაერთებელი რგოლები ოქროსია, სწორკუთხედი — მოოქროვილი ვერცხლისა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი**.

ინდექსი — 76187
ეროვნული
ბიბლიოთეკა

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 5 1970 год

გამომცემელი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული
იურიდიული კომისია

ქაღალდის ფორმატი 70×108 1/16, ქაღალდი
ნაბეჭდი თაბახი 7,25 სააღრიცხვო თაბახი 7,8

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

ტირაჟი 2350 შეკვეთა 1240

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.

6 10/62
ეროვნული
ბიბლიოთეკა